


Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

5/2022

შეღარებოთი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch - Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



5/2022

შვედარეზიტი სამარტინს

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2022

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2022

© ავტორები, 2022

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge, www.lawjournal.ge, www.isl.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი

პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

ნოტარიუსი რიხარდ ბოკი

მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი

პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი

მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი

ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი

პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა

პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე

პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული

პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი

პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია

ფრანკ ჰუპფელდი

ხათუნა დიასამიძე

ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე

ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი

ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

დავით მაისურაძე

ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი

ადვოკატი თემურ ბიგვავა

ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი

ხატია პაპიძე

პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე

ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე

დემეტრე ეგნატაშვილი

ადვოკატი ქეთევან ბუაძე

ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე

თორნიკე დარჯანია

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

სულხან გველესიანი

ნატალი გოგიაშვილი

გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია

თათია ჯორბენაძე

ანა ბაიაძე

ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში გიორგი რუსიაშვილი	7
მოვალეთა სიმრავლე: შერჩეული საკითხები ქართულ და გერმანულ სამართალთან მიმართებით ულრიხ ჰაგენლოხი / თამარ ხაჭომია	22
ინვესტორის ინდივიდუალური დაცვა ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში თამარ ხავეთასი	58

უცხოური გადანაცვები

მსესხებელს არ შეუძლია მოსთხოვოს ბანკს, რომ ამ უკანასკნელმა წარუდგინოს მზღვეველს სარჩელი ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებების განხორციელებასთან დაკავშირებით დიუსელდორფის უმაღლესი სამხარეო სასამართლო	78
--	----

სასამართლო პრაქტიკა

სასამართლოს განსჯადობაზე შეთანხმება დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ხელშეკრულებაა, რომელიც წესრიგდება მატერიალური სამართლის ნორმებით (ბერულავა)	81
უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადანაცვეტილების საფუძველზე (ბერულავა)	82
ფაქტობრივი ზიანის დადგენა მომიჯნავე უფლებების დარღვევის გამო (ბერულავა)	82

კრედიტის დაზღვევა ქართულ და გერმანულ საბანკოსამართლებრივ პრაქტიკაში

ასოც. პროფ. გიორგი რუსიაშვილი

I. შესავალი

მოცემული სტატია ეხება როგორც ქართულ, ისე უცხოურ საბანკო პრაქტიკაში გავრცელებულ კრედიტის დაზღვევას, რომლის მეშვეობითაც ბანკი აზღვევს საკუთარი მოვალის გადახდისუუნარობის რისკს, და იმ საკითხს, თუ როგორ აისახება ეს დაზღვევა ბანკსა და მის კლიენტს შორის შიდა ურთიერთობაზე, კერძოდ, შეიძლება თუ არა დაეკისროს ბანკს ვალდებულება, ჯერ სადაზღვეო კომპანიისაგან სცადოს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდეგ წაუყენოს მოთხოვნა მსესხებელს/მის მემკვიდრეს. საერთაშორისო, კერძოდ, გერმანული პრაქტიკა ამ შეკითხვას ცალსახად უარყოფით პასუხს სცემს – ბანკი არ არის ვალდებული, წინმსწრებად ჯერ სადაზღვეო კომპანიას უჩივლოს და ერთხმად უარყოფილია, რომ თითქოს იგი მხოლოდ ამ დავის უშედეგოდ დასრულების შემდეგ მოიპოვებს უფლებას, მოითხოვოს მსესხებლისაგან დაკმაყოფილება. ეს იქნებოდა კრედიტის დაზღვევის, რომლის ტექნიკურ დასახელებაც არის „მონარჩენი ვალის დაზღვევა“, და რომელიც მხოლოდ ბანკის ინტერესის დაზღვევას წარმოადგენს, სრული აბერაცია და არასწორი განმარტება.

ამ კონტექსტში გერმანული სასამართლოს ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს OLG Düsseldorf, Urteil vom 30. 11. 2018 (I-7 U 10/18), რომელიც ქვევით დეტალურად იქნება განხილული. ამ გადაწყვეტილებაში, ისევე როგორც არაერთ სხვა წინამორბედ გადაწყვეტილებაში, გერმანული სასამართლო პირდაპირ ამბობს, რომ კრედიტის დაზღვევა

წარმოადგენს მხოლოდ ბანკის ინტერესების უზრუნველყოფ მექანიზმს (Eigenversicherung). ეს ურთიერთობა კონსტრუირებულია მხოლოდ ბანკის ამ ინტერესის გარშემო და მხოლოდ მის უკეთ დაცვას ემსახურება. ეს ნიშნავს იმას, რომ ბანკს იმით, რომ კრედიტი დააზღვია, მხოლოდ უნდა გაუფართოვდეს უფლებათა წრე და არ უნდა შეეკვეცოს ის უფლებები, რომლებიც დაზღვევის გარეშე ექნებოდა, მაგალითად, უფლება, თავისუფლად მოსთხოვოს მსესხებელს/მის მემკვიდრეს ვადამოსული სესხის გადახდა, სადაზღვეო კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ. ის ფაქტი, რომ მსესხებელი კრედიტის დაზღვევით იღებს გარკვეულ სარგებელს, კერძოდ, სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას მოიპოვებს საბოლოოდ სადაზღვეოსაგან დაკმაყოფილების უფლებას, ბანკის ინტერესის ექსკლუზიურად უზრუნველყოფის პარადიგმას არ ცვლის – მსესხებელს დაზღვევის საკომისიოს გადახდით ნაყიდი აქვს მხოლოდ ეს მოთხოვნა სადაზღვეოს მიმართ და არა ბანკის უფლების შეზღუდვა, რომ მას ვადამოსული სესხი გადაახდეინოს.

მიუხედავად ამისა, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში (უზენაესის სასამართლოს 2020 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება № ას-1113-2018) სწორედ ეს უკანასკნელი ტენდენცია იკვეთება, ამიტომაც, აუცილებელი ჩანს ამ კონტექსტზე დროული მითითება და, ამავდროულად, იმის ხაზგასმა, რომ მოცემულ ურთიერთობაში მსესხებლის ბანკის წინაშე პრივილეგიების მიზნის ცალკე ელემენტად გამოყოფა და მისი განხორციელება დაუშვებელია როგორც დოგმატური, ისე სამართლის პოლიტიკის კუთ-

ხით, რადგან ეს ურთიერთობა სწორედ საპირისპირო მიზანს ატარებს.

ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ედო საფუძვლად, იყო შემდეგი: ერთ-ერთ ქართულ ბანკს სადაზღვეო კომპანიასთან დადებული ჰქონდა დაზღვევის ხელშეკრულება საერთო პირობებით, რომელსაც შემდეგ უერთდებოდა კონკრეტული მსესხებელი, ანუ ამ სამ პირს შორის კონსტელაციაში ბანკი იყო დამზღვევი, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დაზღვეული პირის სტატუსით უთითებდა და უერთებდა უკვე არსებულ სადაზღვეო ხელშეკრულებას კონკრეტულ მსესხებელს. სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას – მსესხებლის გარდაცვალება, შრომისუუნარობა და ა. შ. – სადაზღვეო კომპანია (მზღვეველი) ვალდებული იყო დაეფარა მონარჩენი კრედიტი. მსესხებლის გარდაცვალების მიზეზი გახდა ნასვამ მდგომარეობაში ცხენიდან გადმოვარდა, რასაც სადაზღვეო კომპანია აერთიანებდა „გარდაცვალების ბრალეული გამოწვევის“ ცნების ქვეშ, რომელიც, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობის თანახმად, გამორიცხავდა სადაზღვეო ანაზღაურების გადახდას. ამ მიზეზით მან უარი უთხრა ბანკს გადახდაზე, რის შემდეგაც ბანკმა აღძრა სარჩელი მსესხებლის მემკვიდრის წინააღმდეგ სესხიდან წარმოშობილი დავალიანების გადახდის მოთხოვნით. საკასაციო სასამართლომ, მეორე ინსტანციისაგან განსხვავებით, მიიჩნია, რომ ბანკი ვალდებული იყო არა მხოლოდ წერილით მიემართა სადაზღვეო კომპანიისათვის, არამედ წინმსწრებად ედავა მასთან (მიუხედავად სარჩელის უპერსპექტივობისა) და ბანკი მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვებდა მსესხებლის მემკვიდრესთან დავის უფლებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს გადაწყვეტილება ვერც დოგმატური და ვერც სამართლის პოლიტიკის კუთხით კრიტიკას ვერ უძლებს, ეწინააღმდეგება ასევე გერმანულ პრაქტიკასაც, რომელიც იდენტური ნორმატიული კონსტრუქციისა და ინტერესთა გადანაწილების პირობებში საპირისპირო შედეგამდე მიდის. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია ამ საკითხის დაუმუშავებლობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რის გარეშეც პრაქტიკისათვის რთუ-

ლია სწორი ორიენტირის მონახვა და იმ ერთი შეხედვით დამაჯერებელი პოსტულატის გადალახვა, რომ კრედიტის დაზღვევა მსესხებლის პოზიციების (ბანკის წინაშე) გამყარებასაც უნდა ემსახურებოდეს, რასაც სამართლებრივ რეალობასთან არაფერი აქვს საერთო.

უკვე აქვეა სახსენებელი, რომ მსესხებელს, რომელიც სადაზღვეო პროდუქტში, უშუალოდ ბანკსა და სადაზღვეოს შორის შეთანხმებული პირობებისა და მათ შორის დადებული ხელშეკრულების ნიალობით, იხდის იმის მეთორმეტედს (0,40 დოლარს 4,7 დოლარის ნაცვლად, იხ. ქვევით), რისი გადახდაც მას მოუწევდა ბანკისაგან დამოუკიდებლად რომ დაეზღვია თავი, ვერ ექნება იმის მოლოდინი, რომ ამ გადახდებით ნაყიდი აქვს არა მხოლოდ მოთხოვნა სადაზღვეო კომპანიის მიმართ, არამედ ასევე პრივილეგია ბანკის მიმართ და იმუნიტეტი მისი მხრიდან მოთხოვნების წაყენებისაგან.

II. სხვისი (მესამე პირის) ინტერესის დაზღვევა

თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან და სირთულიდან გამომდინარე, სადაზღვეო ურთიერთობაში სადაზღვეო კომპანიასთან ხელშეკრულების დამდეგი პირი (დამზღვევი) ყოველთვის არ არის ამავედროულად დაზღვეული, არამედ სადაზღვეო ურთიერთობა შეიძლება წამოიშვას სამ პირს შორის, როდესაც დამზღვევი სადაზღვეო ხელშეკრულებაში დაზღვეულად უთითებს მესამე პირს, რომელთანაც რეალიზდება ის რისკი, რომელიც სადაზღვეო შემთხვევად არის მოხსენიებული. თუმცა სხვისი დაზღვევა ყოველთვის არ გულისხმობს, რომ დამზღვევი ამავედროულად ამ მესამე პირის რეალურ ეკონომიკურ ინტერესს აზღვევს. მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევის ხელშეკრულების დადებით დამზღვევი შეიძლება აზღვევდეს საკუთარ ინტერესს ან როგორც საკუთარ, ისე ამ მესამე პირის ინტერესს. ამ მიზეზით მესამე პირის დაზღვევა იყოფა სამ ტიპად: 1. „სხვა პირის ინტერესის“ დაზღვევად (დაზღვეულად მითითებული მესამე პირის ინტერესის დაზღვევა); 2. „სა-

კუთარი ინტერესის“ დაზღვევად (დამზღვევის ინტერესის დაზღვევა); 3. როგორც საკუთარი, ისე სხვისი ინტერესის დაზღვევად.

მესამე პირის დაზღვევა შეიძლება ემსახურებოდეს ამ მესამე პირის, ანუ დაზღვეულის, ინტერესების უზრუნველყოფას, რისი განმაპირობებელი ეკონომიკური ფაქტორები შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი: ის ანიჭებს შესაძლებლობას დამზღვევს, რომელიც დაინტერესებულია გარკვეული რისკის ფინანსურ განეიტრალებაში, ეს ინტერესი დაიკმაყოფილოს საკუთარი ხარჯით, დამოუკიდებლად იმისა, აქვს თუ არა მას უფლებები რისკის საგანზე. ამ ხელშეკრულების დადების საფუძველი შეიძლება იყო სხვადასხვა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი ვალდებულება, მესამე პირების ამ რისკებისაგან დასაცავად ხელსაყრელი სადაზღვეო პაკეტის მოპოვების შესაძლებლობა და ა. შ.

ამ ტიპის დაზღვევა მოიხსენიება „სხვა პირის სასარგებლოდ დაზღვევად“ (*Fremdversicherung*) და მისი მომწესრიგებელი სპეციალური რეგულაციები დაფიქსირებულია სკ-ის 836-ე-838-ე მუხლებში. ამრიგად, მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევა სახეზეა, როდესაც პირი (დამზღვევი), რომელიც დებს მზღვეველთან სადაზღვეო ხელშეკრულებას საკუთარი სახელით, ფარავს ამით იმ რისკებს, რომლებიც ეხება სხვა პირს (დაზღვეულს). დამზღვევა შეიძლება დააზღვიოს რამდენიმე განსხვავებული პირის ინტერესი. ეს შემთხვევაა სახეზე, როდესაც, მაგალითად, ცოლი აზღვევს მისი ქმრის მიერ ლიზინგით აღებულ ავტომანქანას,¹ როდესაც საზოგადოება აზღვევს მის წევრებს სამართლებრივი დავის ხარჯებთან დაკავშირებით,² ან თუ დამზღვევი მისგან განსხვავებული პირების, ლიზინგის მიმღებისა და ლიზინგის გამცემის ინტერესს აზღვევს.³ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ დადებული შენობის დაზღვევა იცავს ყველა ინდივიდუალური ბინათმესაკუთრის ინტერესს.⁴

მესამე პირის ინტერესის გარდა, დამზღვევმა შეიძლება თანადაზღვიოს ასევე საკუთარი ინტერესი.⁵ ამ შემთხვევებში – რაც ტიპურია ავტომანქანის დაზღვევისას – კომბინირებულია საკუთარი და სხვისი ინტერესის დაზღვევა. ამ დროს სადაზღვეო დაფარვის ის ნაწილი, რომელიც სხვის ინტერესებს ეხება, არის სხვისი ინტერესის დაზღვევა.⁶

მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევა წარმოადგენს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების ნაირსახეობას⁷ - „ნამდვილ“ ხელშეკრულებას მესამე პირის სასარგებლოდ⁸ სკ-ის 349-ე მუხლის მიხედვით⁹ -, რომელიც სკ-ის 836-ე-838-ე მუხლებში სპეციალურად არის მოწესრიგებული და მოდიფიცირდება მათ შემთხვევით.

III. საკუთარი ინტერესის დაზღვევა

მესამე პირის დაზღვევით დამზღვევი, რომელიც ფინანსურად ანეიტრალებს სხვა პირის პიროვნებასთან და ქონებრივ სიკეთებთან დაკავშირებულ რისკებს, შეიძლება აზღვევდეს მხოლოდ საკუთარ ინტერესს (*Eigenversicherung*) – მესამე პირის დაზღვევა საკუთარი ინტერესის უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაზე არ გამო-

⁵ *Prölss*, *Stille Teilhabe an fremden Versicherungsverträgen - zur konkludenten Einbeziehung von Drittinteressen in der Sachversicherung*, r+s 1997, 221; *Langheid/Wandt/Dageförde*, *Münchener Kommentar VVG*, 2. Aufl. 2016, § 43 Rn. 7

⁶ შდრ. OLG Karlsruhe r+s 2013, 121.

⁷ BGH VersR 2006, 686; BGH VersR 1979, 176; 1967, 343; BGH VersR 2013, 853; *Looschelders/Pohlmann/Koch*, *VVG-Kommentar*, 4. Aufl. 2022, § 43 Rn. 11 ff.

⁸ *Gottwald* in: *Münchener Kommentar BGB*, 8. Aufl. 2019, BGB § 328 Rn. 105; შდრ. მესამე პირის სასარგებლოდ რუსთაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), წიგნი 3, 2019, მუხ. 349 მე-8 და მომდევნო ველები.

⁹ შდრ. გერმანულ რეგულაციასთან დაკავშირებით სადაზღვეო ხელშეკრულების შესახებ კანონის 43-ე და მომდევნო მუხლები, იხ. BGH VersR 1979, 176; OLG Celle RuS 2010, 424 Rn. 594; *Prölss/Martin/Klimke*, *VVG*, 30. Aufl. 2018, Vor § 43 Rn. 14; *Schwintowski/Brömmelmeyer/Hübsch*, *VVG*, 3. Aufl. 2017, Vor §§ 43–48 Rn. 2.

¹ OLG Hamm NJW-RR 1996, 96; OLG Hamm VersR 1994, 1223.

² BGH VersR 2013, 853.

³ LG Dortmund ZfS 2018, 213.

⁴ BGH NJW-RR 2017, 4.

იყენება სკ-ის 836-ე და მომდევნო მუხლები. მაგალითად, ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის შემთხვევაში, დამზღვევის თანადაზღვეული მეუღლე არის, ჩვეულებრივ, საკუთარი ინტერესით დაზღვეული, რადგან ეს კონსტრუქცია ითვალისწინებს ასევე ამ თანადაზღვეული მეუღლის საკუთარ ინტერესსაც. მაგრამ საქმე განსხვავებულადაა, როდესაც დაზღვევის ხელშეკრულება დამზღვევის მცირეწლოვან შვილს ეხება. ამ ტიპის ხელშეკრულება, როგორც წესი, ეხება მხოლოდ რჩენის ვალდებულების მქონე დამზღვევის ინტერესს და იმ ფინანსური დანაკლისების განეიტრალებას, რომელიც მას ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში დააწვებოდა.¹⁰ როდესაც დაზღვეული ბავშვი სრულწლოვანი ხდება, საკუთარი ინტერესის დაზღვევა სხვისი ინტერესის დაზღვევად გარდაიქმნება, რამდენადაც დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველს აღარ წარმოადგენს დამზღვევის მხოლოდ საკუთარი, რჩენის ვალდებულებიდან გამომდინარე, ინტერესები.

IV. სადაზღვეო ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება

მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევისგან უნდა გაიმიჯნოს მზღვეველის მიმართ მოთხოვნის მესამე პირისათვის მინიჭება (*Bezugsberechtigung*), რომელსაც არ სჭირდება შეთანხმება მხარეებს შორის, არამედ შეიძლება მოხდეს დამზღვევის ცალმხრივი ნების გამოხატვის საფუძველზე.¹¹ მოთხოვნის სხვისთვის მინიჭება დასაშვებია საკუთარი ინტერესის დაზღვევის დროსაც, როდესაც დამზღვევი, რომელიც ამავდროულად თავად არის დაზღვეული, მოთხოვნის უფლებას ანიჭებს მესამე პირს (რომელსაც შეუძლია, ეს უფლება დამოუკიდებლად გამოიყენოს) და ფარავს ამით საკუთარ ინტერესს¹² – მაგ., მსესხებელი თავად აზღვევს საკუთარ კრედიტს მზღვეველთან და მოთხოვნის

ნის უფლებას (გამოუხმობადად ან გამოხმობადად) ანიჭებს კრედიტორს (იხ. ქვემოთ, მონარჩენი ვალის არანამდვილი ჯგუფური დაზღვევისა და ჯგუფური ჩარჩო დაზღვევის ხელშეკრულებები). ამ დროს საკუთარი ინტერესის დაზღვევაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგებაა სკ-ის 349-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, თუმცა არ არის, რა თქმა უნდა, მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევა სკ-ის 836-ე-837-ე მუხლების თანახმად. მზღვეველის მიმართ მოთხოვნის მინიჭების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას სიცოცხლის დაზღვევის დროს ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირად ახლობელი პირის მითითება წარმოადგენს, თუმცა, სკ-ის 844 I მუხლში ექსპლიციტურად დაფიქსირებული შესაძლებლობის თანახმად, დამზღვევს შეუძლია სხვა პირის სიცოცხლე დააზღვიოს და, იმისდა მიხედვით, თუ ვინ უნდა მიიღოს ანაზღაურება, ეს შეიძლება იყოს როგორც საკუთარი, ისე სხვისი ინტერესის დაზღვევა.

V. მონარჩენი ვალის დაზღვევა

მონარჩენი ვალის დაზღვევა (*Restschuldversicherung*, ასევე: მონარჩენი კრედიტის დაზღვევა (*Restkreditversicherung*) ან კრედიტის-სიცოცხლის დაზღვევა (*Kredit-Lebensversicherung*) წარმოადგენს კრედიტის მიმღების უზრუნველყოფის ან მისი მემკვიდრეების უზრუნველყოფის ფორმას, მისი გარდაცვალების, ავადმყოფობის, უმუშევრობისა და მსგავსი შემთხვევებისათვის.¹³

ჩვეულებრივ, მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულება ინტეგრირებულია სესხის ხელშეკრულების ფორმულარში და შესაბამისი მონიშვნა „სწორ“ ადგილას ინვესს მის დადებას.¹⁴ მიუხედავად ამისა, დაზღვევისა და სესხის ხელშეკრულებები წარმოადგენენ განცალკევებულ გარიგებებს, თუმცა, ისინი შეიძლება იყ-

¹⁰ OLG Saarbrücken VersR 2011, 614.

¹¹ Langheid/Rixecker/Rixecker, VVG, 6. Aufl., 2019, § 43 Rn. 4.

¹² Langheid/Rixecker/Rixecker, VVG, 6. Aufl., 2019, § 43 Rn. 4.

¹³ Geßner, Die Restschuldversicherung in der Äquivalenzprüfung des Darlehensvertrages, VuR 2008, 85; MüKoBGB/Gottwald, 8. Aufl. 2019, BGB § 328 Rn. 105.

¹⁴ Derleder, Die Restschuldversicherung zwischen Inhalts- und Äquivalenzkontrolle, VuR 2007, 241 ff.

ნენ დაკავშირებული გარიგებები სკ-ის 370-ე მუხლის გაგებით.¹⁵ ამასთან, მონარჩენი ვალის დაზღვევა, როგორც უზრუნველყოფის საშუალება, ზოგადად ემსახურება, მსესხებლის მიერ შემოსავლის დაკარგვის/გარდაცვალების შემთხვევაში, (დარღვეული) გადახდის გრაფიკის მიხედვით დარჩენილი გადასახდელი სესხის შესრულებას. სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას მზღვეველი ასრულებს გამსესხებლის მიმართ სესხის შეუსრულებელ მოთხოვნას მსესხებლის/მისი მემკვიდრის მაგივრად სკ-ის 371-ე მუხლის მიხედვით.¹⁶

მონარჩენი ვალის დაზღვევის ყველა ვარიანტს საერთო აქვს ის გარემოება, რომ ამომწურავი სადაზღვეო დაცვა გარანტირებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მსესხებელი იცავს სესხის დაფარვის გრაფიკს. თუ ის არ ასრულებს თავის ვალდებულებებს გამსესხებლის წინაშე და ამის შემდეგ დგება სადაზღვეო შემთხვევა, ამ დროს მზღვეველმა უნდა შეასრულოს მხოლოდ სესხის გეგმიური მოთხოვნა, მაგრამ არა სესხის ეფექტური სალდო.¹⁷

1. მონარჩენი ვალის დაზღვევის სამი განსხვავებული მოდელი საბანკო პრაქტიკაში

ქართულ რეალობაში მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულება ყველაზე მეტად გავრცელებულია საბანკო პრაქტიკაში და იდება სკ-ის 623-ე მუხლის გაგებით სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. ზოგადად, მხარე შეიძლება იყოს როგორც მსესხებელი, ისე გამსესხებელი ბანკი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამსესხებელი აზღვევს მსესხებელს დამზღვევთან. ქართულ საბანკო პრაქტიკაში გავრცელებულ „ნამდვილ ჯგუფურ დაზღვევას“ (იხ. ქვემოთ) სწორედ ეს მოდელი უდევს საფუძვლად.

სამართლებრივად სესხი და მონარჩენი ვალის დაზღვევა წარმოადგენენ ორ დამოუკიდებელ ხელშეკრულებას,¹⁸ თუმცა, როგორც აღინიშნა, ცალკეულ შემთხვევებში ისინი შეიძლება იყოს დაკავშირებული გარიგებები სკ-ის 370-ე მუხლის გაგებით, რასაც ენიჭება მნიშვნელობა მათი გამომხმობისათვის. ჩვეულებრივ, მონარჩენი ვალის დაზღვევა არის ფაქტობრივი და წარმოადგენს მხოლოდ დამატებით შეთავაზებას საკრედიტო ინსტიტუტის მხრიდან მსესხებლისათვის.

გარდა ამისა, მონარჩენი ვალის დაზღვევა საბანკო პრაქტიკაში შინაარსობრივად შეიძლება გამართული იყოს, როგორც: „ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა“ (კოლექტიური დაზღვევა); „არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა“; „ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო ხელშეკრულება“.

2. „ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა“

მონარჩენი ვალის დაზღვევა, ჩვეულებრივ, შინაარსობრივად გამართულია როგორც „ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა“ (ასევე „პორტფელური დაზღვევა“). ნამდვილი ჯგუფური სადაზღვეო ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სადაზღვეო კომპანიასა და საკრედიტო ინსტიტუტს შორის (ჯგუფის თავი).¹⁹ ბანკი ამ შემთხვევაში ხდება დამზღვევი.²⁰ მსესხებელი ნამდვილ ჯგუფურ დაზღვევას უერთდება მხოლოდ დაზღვეული პირის სტატუსით, ანუ არ ხდება მზღვეველის კონტრაჰენტი.²¹ ამასთან, დაზღვეული პირის მითითება დამზღვევის მიერ, ჩვეულებრივ, ატარებს დეკლარატორულ ხასიათს; თუმცა ის შეიძლება იყოს უფლების წარმოშობის წინაპირობა, თუ, სახელშეკრულებო შეთანხმების თანახმად, საჭი-

¹⁵ OLG Rostock, MDR 2006, 39 f.; LG Bonn Ur. v. 10.05.2007 Az.: 3 O 396/05; LG Hamburg, VuR 2008; Staudinger/Kessal-Wulf, BGB, 13. Aufl., 2004, § 358 Rn. 40.

¹⁶ Knops, Restschuldversicherung im Verbrauchercredit, VersR 2006, 1455 ff.

¹⁷ Graf von Westphalen/Emmerich/Kessler, Verbraucher-kreditgesetz, 1991, § 4 Rn. 118.

¹⁸ Geßner, VuR 2008, ზემოთ სქ. 13, 85; Göbel/Köther, Ausgewählte Probleme aus dem Bereich der Restschuldversicherung, VersR 2015, 426.

¹⁹ Brömmelmeyer, Informations- und Beratungspflichten in der Restschuldversicherung, VersR 2015, 1460.

²⁰ Schneider, Auf der Suche nach Kredit, VersR 2014, 1296.

²¹ Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 426; LG Saarbrücken VersR 2014, 1197; Schneider, VersR 2014, ზემოთ სქ. 20, 1296.

როა თანხმობა მზღვეველის მხრიდან.²² ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა წარმოშობს მხოლოდ ერთ სადაზღვეო ურთიერთობას და არა განცალკევებულ, ძირითადად დამოუკიდებელ, რამდენიმე (სადაზღვეო) ურთიერთობას.²³ მონარჩენი ვალის დაზღვევა ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის ფორმით, განსაკუთრებული შინაარსობრივი მოწყობისა და ექსპლიციტური საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობის გამო, წარმოშობს დამატებით კითხვებს მასში მონაწილე პირთა სამართლებრივ მდგომარეობასთან, მსესხებლისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის გაწევის ვალდებულებასა და სადაზღვეო ხელშეკრულების გამომხმობასთან დაკავშირებით.

3. „არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა“

მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულებები შეიძლება ასევე დაიდოს, როგორც არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა. არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა სახეზეა, როდესაც დასაზღვევ პირთა მყარად განსაზღვრული წრე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხოლოდ განსაზღვრული აბსტრაქტული ნიშნებით არის დადგენილი და კონკრეტული დაზღვეულის ჩართვა შეიძლება მოხდეს ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულების მთლიანი მიმდინარეობისას.²⁴ ნამდვილი ჯგუფური დაზღვევისაგან განსხვავებით, აქ დაზღვეული არის ამავდროულად დამზღვევი.²⁵ ამგვარად, არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა წარმოშობს მხოლოდ მყარ საფუძველს ცალკეული სადაზღვეო ურთიერთობების კოლექტიური შინაარსობრივი გამართვისათვის და რეგულაციისათვის.²⁶ მის ფარგლებში იდება იმდენი სადაზღვეო ხელშეკრულება, რამდენი დამზღვევიც არის სახეზე ან

რამდენიც უნდა იქნეს ჩართული ხელშეკრულებაში.²⁷

4. „ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო-ხელშეკრულება“

ჯგუფური დაზღვევის შემდეგი ვარიანტი არის ე. წ. „ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო-ხელშეკრულება“. ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო-ხელშეკრულება, ერთი მხრივ, არის წინარე სადაზღვეო ხელშეკრულების ნაწილი დამზღვევსა და ჯგუფის „თავს“ შორის, რომელიც ადგენს ჩარჩო-რეგულაციებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს მომავალში დასადები ცალკეული სადაზღვეო ხელშეკრულებებისათვის ჯგუფის წევრებს შორის, მაგრამ თავისთავად არ წარმოშობს სადაზღვეო ურთიერთობას.²⁸ ჩვეულებრივ შემთხვევაში ჩარჩო-ხელშეკრულება უკვე ამომწურავად აწესრიგებს მის მიხედვით დასადები ცალკეული სადაზღვეო ხელშეკრულებების შინაარსს, რომელთა ფარგლებშიც დამზღვევი ხდება ან ჯგუფის თავი, ან ჯგუფის რომელიმე წევრი.²⁹ ამ ჩარჩო-ხელშეკრულების მეორე ნაწილი, რომელიც, ჩვეულებრივ, ეხება შესაბამისი სადაზღვეო პროდუქტების გაყიდვას, მოქმედებს უკვე უშუალოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის, თუმცა არ წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებას.³⁰

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი არ ხდება სადაზღვეო კომპანიასთან დადებული კონკრეტული ხელშეკრულების მხარე და ეს მხარე არის მსესხებელი („ინდივიდუალური/პერსონალური დაზღვევა“), მან მოთხოვნა შეიძლება მოიპოვოს შემდეგი სამი კონსტრუქციით: 1. მსესხებელთან შეთანხმებული მოთხოვნის წინასწარ დათმობით³¹; 2. მისთვის, როგორც სკის 349 I მუხლის გაგებით მესამე პირისათვის,

²² Franz, Das Versicherungsvertragsrecht im neuen Gewand, VersR 2008, 1565 ff.

²³ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1566.

²⁴ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1566.

²⁵ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1565 ff.

²⁶ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1566.

²⁷ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1566.

²⁸ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1566.

²⁹ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1566.

³⁰ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1566.

³¹ ეს შემთხვევა, რომელიც წარსულში ფართოდ გავრცელებული იყო დღეს მონარჩენი ვალის დაზღვევის შემთხვევაში თითქმის აღარ გამოიყენება, Pällmann, Die Restschuldversicherung beim Konsumentenratenbarkredit, Bremen 1985, 66 ff.

მოთხოვნის მინიჭებით (*Bezugsberechtigung*)³²; 3. ბანკისთვის „ფულის ამოღების“ (სხვისი მოთხოვნის რეალიზაციის და ამონაგების დატოვების, *Einzugsermächtigung*)³³ უფლებამოსილების მინიჭებით, სკ-ის 373 II, 102 მუხლების მიხედვით.

ქართული, ისევე, როგორც გერმანული ბანკების შემთხვევაში, მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულების ორგანიზების ამ სამი ფორმიდან პირველი ვარიანტია გავრცელებული. ქვემოთ, ტერმინოლოგიურად მონარჩენი ვალის დაზღვევის ქვეშ სწორედ ეს ფორმა იგულისხმება.

5. ნამდვილი ჯგუფური დაზღვევა – ბანკის მიერ მხოლოდ საკუთარი ინტერესის დაზღვევა

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურასა³⁴ და სასამართლო პრაქტიკაში³⁵ ცალსახად აღიარებული მოსაზრების თანახმად, ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის დროს მზღვეველის კონტრაქტის ბანკი აზღვევს მხოლოდ საკუთარ ინტერესს და არა დაზღვეულის ინტერესს. ის, რომ ამ დაზღვევიდან ასევე დაზღვეული მსესხებელიც იღებს გარკვეულ სარგებელს, წარმოადგენს მხოლოდ თანმდევ შედეგს ბანკის ინტერესის დაზღვევისა, შესაბამისად, მთლიანი ურთიერთობა კონსტრუირდება ბანკის ამ ინტერესის გარშემო და სწორედ ის წარმოადგენს სახელმძღვანელო ხაზს ამ ურთიერთობის პირობების განმარტებისათვის. ეს გამორიცხავს ბანკსა და

დაზღვეულ პირს შორის შიდა (სავალუტო) ურთიერთობაში მიღწეული შეთანხმების იმგვარად განმარტების შესაძლებლობას, რომ მონარჩენი ვალის დაზღვევით ბანკს შეეკვეცოს ის პოზიციები, რომლებიც მას ამ დაზღვევის გარეშე ექნებოდა, კერძოდ მსესხებლის მიმართ გადახდის მოთხოვნის განხორციელების ბარიერად აღიმართოს სადაზღვეოსათვის წინმსწრეად ჩივილის აუცილებლობა, რაზეც ქვემოთ დეტალურად იქნება საუბარი.

ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში სახეზე არ არის მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევა სკ-ის 836-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით,³⁶ რადგან აქ მხოლოდ კრედიტის გამცემი ბანკი იღებს მისგან სარგებელს და ამით მხოლოდ საკუთარ რისკს ანეიტრალებს, რომელიც რეალიზდება მოვალე მსესხებლის მიმართ მოთხოვნის „გამოთიშვის“ შემთხვევაში. მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევისათვის კი აუცილებელია, რომ დამზღვევი საკუთარი სახელით აზღვევდეს სხვის ინტერესებს. ამ შემთხვევაში კი ბანკს, რომელიც არის დამზღვევი, არ სურს უზრუნველყოს დაზღვეული მსესხებლის ინტერესი და ეს შეცნობადია ამ უკანასკნელისათვისაც, წარმოადგენს რა მის მიერ ნებაყოფლობით დაშვებულ შედეგს.³⁷ სადაზღვეო ხელშეკრულებას მიერთებული პირების უფლებები გამომდინარეობს, დერივირებულია დამზღვევი ბანკის უფლებრივი მდგომარეობიდან. შესაბამისად, ეს პირები მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ მოთხოვნებს ხელშეკრულებიდან, როდესაც კონტრაქტენტებს (დამზღვევი და მზღვეველი) ეს სურთ.³⁸

VI. მზღვეველის მიმართ სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება და ვალდებულება

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული („სხვისი ინტერესის“) დაზღვევის შემთხვევაში, სკ-ის 837 I 1 მუხლის მიხედვით, მზღვეველის მიმართ მოთხოვნის უფლებას მოიპოვებს მხო-

³² Winter in: Bruck/Möller, VVG, 9. Aufl., 2013, Bd. 8/1, § 159 Rn. 73, იხ. დეტალურად Stoffregen, Die vorzeitige Kündigung und Rückabwicklung von Restschuldversicherungen unter besonderer Berücksichtigung ihrer historischen Funktion als Entschuldungsmittel, Dissertation Hamburg 2020, 33 ff., ლინკზე: https://ediss.sub.uni-hamburg.de/bitstream/ediss/8764/1/Dissertation_Druckfassung_final.pdf (4.05.2021).

³³ Hubrich, Die hauptsächlichen Formen der Gruppenlebensversicherung und das Verbot der egünstigungsverträge, Königsberg 1928, 45.

³⁴ Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 426.

³⁵ OLG Dresden r+s 2020, 473; OLG Köln Ur. v. 26.3.2010- 20 U 198/09.

³⁶ Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 427.

³⁷ Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1565; Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 428.

³⁸ Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 426;

ლოდ დაზღვეული (განსხვავებით სკ-ის 349-ე მუხლის ზოგადი წესისაგან), თუმცა მისი სასამართლო წესით წაყენების უფლება აქვს, როგორც მას, ასევე დამზღვევსაც (სკ-ის 838 I მუხლი). თუ ამას აკეთებს დამზღვევი, ის სასამართლოს მიმართავს საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი – დაზღვეულის – უფლების განსახორციელებლად (*Prozessstandschafter*).³⁹ ჩვეულებრივ, დამზღვევი, საკუთარი სახელით, მაგრამ სხვისი უფლების (დაზღვეულის) საპროცესო გზით რეალიზაციის შედეგად, მიღებულ სადაზღვეო ანაზღაურებას იღებს, როგორც მინდობილი მესაკუთრე, და უნდა დაუბრუნოს ის დაზღვეულს.⁴⁰ თუმცა ეს ქონების მინდობის ურთიერთობა მოდიფიცირდება დამზღვევსა და დაზღვეულს შორის არსებული კონკრეტული სავალუტო (შიდა) ურთიერთობიდან გამომდინარე.⁴¹ მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც დამზღვევი აზღვევს, სხვისი ინტერესის გარდა, ასევე საკუთარსაც, მაგალითად, იმგვარად, რომ სადაზღვეო ანაზღაურება წარმოადგენს ამავედროულად იმ ვალს, რომელიც დაზღვეულს სავალუტო ურთიერთობაში დამზღვევისათვის აქვს გადასახდელი, ანუ ერთდროულად სახეზეა სხვისი და საკუთარი ინტერესის დაზღვევა⁴², დამზღვევს აქვს პროცესის წარმოების შედეგად მიღებული ანაზღაურების დატოვების უფლება.

1. მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევა

ა) დამზღვევის იძულება, პირველ რიგში, დაზღვეულს წარუდგინოს მოთხოვნები შიდა ურთიერთობიდან

როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვისი ინტერესის დაზღვევისას, სკ-ის 349-ე და მომდევნო

მუხლები – მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ნამდვილი ხელშეკრულების ნორმატიული ჩარჩო – მოდიფიცირდება სკ-ის 836-ე-838-ე მუხლების მიხედვით. ამ მოდიფიცირების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს დამზღვევის წაქეზება და მასზე წნეხის განხორციელება, რომ, პირველ რიგში, დაზღვეულის მიმართ განხორციელოს მოთხოვნები შიდა ურთიერთობიდან, თუ მას ეს მოთხოვნები აქვს.⁴³ ანუ, კანონმდებელი უბიძგებს დამზღვევს, რომ ჯერ თავის კონტრაქტენტ დაზღვეულს ედავოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს სადაზღვეოს. ეს გამომდინარეობს შემდეგი რეგულაციებიდან:

განსხვავებით სკ-ის 349-ე მუხლისაგან – რომლის მიხედვითაც, მოთხოვნის უფლება აქვს როგორც მოვალის (მზღვეველის) კონტრაქტენტს (დამზღვევი), ისე მესამე პირს (დაზღვეული) – მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევის შემთხვევაში მოთხოვნის უფლება, სკ-ის 837 I მუხლის მიხედვით, აქვს მხოლოდ დაზღვეულს. ეს პირველი და მთავარი ნიშანია იმისა, რომ საკანონმდებლო მოდელი აწყობილია იმგვარად, რომ მზღვეველს უნდა უჩივლოს თავად დაზღვეულმა და არა დამზღვევმა. ამ რეგულაციის განმაპირობებელი არის ის გარემოება, რომ სადაზღვეო შემთხვევა დგება დაზღვეულთან, ის ფლობს მის შესახებ სრულ ინფორმაციას და მას უფრო ეფექტიანად შეუძლია განახორციელოს თავისი მოთხოვნა მზღვეველის მიმართ, ვიდრე დამზღვევს. ზოგადად, როგორც მატერიალურ, ისე პროცესუალურ სამართალში აღიარებული პრინციპის თანახმად, უფლების განხორციელებაზე ზრუნვა ევალება იმ პირს, რომლის ინტერესებშიც ის არის და, გარდა ამისა, ვისთვისაც ეს უფრო მარტივად არის შესაძლებელი.⁴⁴

ზემოთ აღწერილი ხაზის და დავის წარმოების ტვირთის განაწილების ნაწილია ის გარემოება, რომ, სკ-ის 838 I მუხლის მიხედვით, კანონი დამზღვევს, მართალია, ზოგადად ანიჭებს

³⁹ BGH NJW 2017, 2466 Rn. 13.

⁴⁰ Schwintowski/Brömmelmeyer/Hübsch, Praxiskommentar zum VVG, 3. Aufl., 2017, Vor §§ 43–48 Rn. 9 ff.

⁴¹ Bruns, Privatversicherungsrecht, München 2015, § 17 Rn. 13.

⁴² Schwintowski/Brömmelmeyer/Hübsch, Praxiskommentar zum VVG, 3. Aufl., 2017, Vor §§ 43–48 Rn. 32 f.; Wandt, Versicherungsrecht, 6. Aufl., Berlin 2016, Rn. 723, 726.

⁴³ Wandt, Versicherungsrecht, ზემოთ სქ. 42, Rn. 732 f.; Bruck/Möller/Brand, VVG, 9. Aufl., 2020, § 44 Rn. 2; Langheid/Rixecker/Rixecker, VVG, 6. Aufl., 2019, § 44 Rn. 1.

⁴⁴ BGH, Urteil vom 7. 12. 1978 - III ZR 171/76.

დაზღვეულის უფლების საკუთარი სახელით განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა მხოლოდ მაშინ, თუ ის ფლობს სადაზღვეო მონობას (სკ-ის 838 II მუხლი) და აქვს დაზღვეული პირის თანხმობა (სკ-ის 838 III მუხლი).

ბ) დამზღვევის ვალდებულება გამონაკლის სახით თავად განახორციელოს მოთხოვნები მზღვეველის მიმართ

მესამე პირის სასარგებლოდ დაზღვევის შემთხვევაში დამზღვევსა და დაზღვეულ მესამე პირს შორის შეიძლება წარმოიშვას მინდობის ურთიერთობა (*Treuhandverhältnis*)⁴⁵, რომელიც დამზღვევს შეიძლება ავალდებულებდეს, გამონაკლისის სახით, თავისი სახელით განახორციელოს დაზღვეულის მოთხოვნა მზღვეველის მიმართ და მიღებული თანხა გადასცეს მზღვეველს⁴⁶ ან, სავალუტო ურთიერთობიდან გამომდინარე, დაიტოვოს ეს თანხა და ჩაუთვალოს ვალის ანგარიშში. ამგვარად, შიდა ურთიერთობა დამზღვევსა და დაზღვეულს შორის არის გადამწყვეტი იმის დასადგენად, არის თუ არა დამზღვევი ვალდებული, თავად ედავოს მზღვეველს და შემდეგ გადასცეს მიღებული დაზღვეულს თუ შეუძლია თავად დაზღვეულს გადააკისროს საკუთარი უფლებების დაცვის ტვირთი.

2. საკუთარი ინტერესის დაზღვევა

თუმცა ეს მოდელი, როდესაც შიდა ურთიერთობიდან გამომდინარეობს დამზღვევის ვალდებულება, თავად ედავოს მზღვეველს, არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა მხოლოდ „სხვისი ინტერესის“ (მესამე პირი-დაზღვეული) დაზღვევა იმ პირის (დამზღვევის) მიერ, რომელსაც აქვს შესაბამისი ვალდებულება-

⁴⁷ – ჩვეულებრივ, ეს არის პროფესიონალი საბანკო კომპანია, რომელიც შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ აზღვევს მსურველს. როდესაც დამზღვევი დაზღვეულის დავალებით აზღვევს მას მზღვეველთან (საშუამავლო კომპანია), მთელი სავალუტო ურთიერთობის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ დაზღვეული განტვირთული იყოს ვალდებულებებისაგან, რაშიც დამზღვევი იღებს ანაზღაურებას. შიდა ურთიერთობაში მათ შორის წარმოიშობა მინდობის ურთიერთობა, რაც პროფესიონალ დამზღვევს აკისრებს დაზღვეულის სახელით დავის წარმოების ვალდებულებასაც.

ამის საპირისპიროდ, თუ დაზღვეულია მხოლოდ დამზღვევის ინტერესი („საკუთარი ინტერესის დაზღვევა“)⁴⁸, თუნდაც რეფლექსურად თანადაზღვეული იყოს დაზღვეულის ინტერესიც, მაგალითად, იმით, რომ სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას ის არ აგებს პასუხს სავალუტო ურთიერთობიდან დამზღვევის წინაშე ან გამორიცხულია მზღვეველის რეგრესი დაზღვეულის მიმართ (რეგრესზე უარის თქმის გამო ან იმის გამო, რომ რეგრესის დაუშვებლობა თავად სადაზღვეო ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს⁴⁹), მაშინ დამზღვევს აღარ აქვს ვალდებულება აუცილებლად თავად უჩივლოს მზღვეველს და შეუძლია აირჩიოს, თუ ვის მიმართ წამოიწიებს დავას, დაზღვეულის მიმართ თუ მზღვეველის მიმართ.⁵⁰ ამ დროს, როდესაც დამზღვევი დაზღვეულის დაზღვევით რეალურად საკუთარ ინტერესს აზღვევს (რა ტიპის ხელშეკრულებასაც განეკუთვნება „მონარჩენი ვალის დაზღვევა“⁵¹), დაზღვეულსა და დამზღ-

⁴⁵ BGHZ 64, 264; Langheid/Rixecker/Rixecker, VVG, 6. Aufl., 2019, § 44 Rn. 4; BGHZ 113, 154.

⁴⁶ BGH NJW 1991, 3031; Langheid/Rixecker/Rixecker, VVG, 6. Aufl., 2019, VVG § 44 Rn. 4; Schimikowski, Versicherungsvertragsrecht, 6. Aufl. 2017, Rn. 83.

⁴⁷ Prölss/Martin/Klimke, 31. Aufl. 2021, VVG § 46 Rn. 5, შდრ. ასევე BGH VersR 1975, 1273; BGH VersR 1991, 299; BGH VersR 1998, 1016; 2 BGH VersR 011, 1435 Rn. 12; BAG NZA 1990, 701.

⁴⁸ მაგალითად, გამქირავებელი აზღვევს ნივთს დაქირავებულ ბინაში.

⁴⁹ მონარჩენი ვალის დაზღვევის შემთხვევაში მზღვეველის რეგრესი სწორედ ამ ურთიერთობის არსიდან გამომდინარეა გამორიცხული, OLG München NJW 1977, 152.

⁵⁰ Prölss/Martin/Klimke, VVG, 31. Aufl. 2021, VVG § 46 Rn. 7.

⁵¹ OLG Dresden, r+s 2020, 473; OLG Köln vom 26.3.2010-20 U 198/09; Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 426; Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1565 ff.

ვევს შორის ურთიერთობაში ცენტრში დგას სწორედ დამზღვევის ეს ინტერესი და ეს ურთიერთობა მისი დაცვისა და უზრუნველყოფის მიზნის გარშემო კონსტრუირდება, ანუ მხარეთა შორის კონკლუდენტურად შეთანხმებულად ითვლება ან/და კანონის ნორმების განმარტებიდან გამომდინარეობს ის წესი, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ამ ინტერესის უზრუნველყოფას. ეს კი გულისხმობს, რომ დამზღვევს უნდა ჰქონდეს არჩევანი, თუ ვის უჩივლებს და ვისგანაც მიიჩნევს, რომ უფრო ეფექტიანად დაიკმაყოფილებს საკუთარ ინტერესებს, მასთან უნდა წამოიწყოს სასამართლო დავა. სწორედ ამგვარი სიტუაციაა ბანკის მიერ მისი მოვალის კრედიტის ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის ფარგლებში დაზღვევისას – ცალსახაა, რომ ბანკს უნდა დამატებითი მოვალის მოპოვება, სადაზღვეოს სახით, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გადახდისუნარიანი, თუმცა, ამავდროულად, არ უნდა, დაკარგოს თავდაპირველი მოვალე, თუ მისთვის ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნის განხორციელება უფრო მარტივია.⁵²

ბანკის მიერ კრედიტის დაზღვევის შემთხვევაში არ არსებობს მასსა და მსესხებელს შორის შიდა (სავალუტო) ურთიერთობაში ამ უკანასკნელის ინტერესების მინდობით მართვის (დაცვის) ელემენტი, რადგან, პირიქით, ბანკი ამ დაზღვევით იცავს მხოლოდ საკუთარ თავს, საკუთარ ინტერესებს, ეს შეცნობადია დაზღვეული-მსესხებლისათვისაც და ის თანხმობას აცხადებს ამაზე (იხ. ზემოთ).

ის, რომ გარკვეული არაუმნიშვნელო ბენეფიტები დაზღვევიდან ხვდება ასევე დაზღვეულს – ბანკის წინაშე ვალისაგან გათავისუფლება – ეს არის მხოლოდ რეფლექსური გამოვლინება და თანმდევი შედეგი და არა ამ ურთიერთობის მიზანი და არ ცვლის დამზღვევის ინტერესის უმთავრესად გატარების პარადიგმას და იმას, რომ ყველა სხვა პირის ინტერესმა მის წინაშე უკან უნდა დაიხიოს.

3. საკომისიოს გადახდა არ ცვლის ბანკის ინტერესზე ორიენტირებულ პარადიგმას

რაც შეეხება მსესხებლის მიერ დაზღვევისათვის გადახდილ საკომისიოს, ეს ვერ გახდება ინტერესთა ზემოთ აღწერილი გადანაწილების შეტრიალების საფუძველი ბანკსა და კლიენტს შორის. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს საკომისიო მიზერულია იმასთან შედარებით, რაც ბაზარზე ამ სადაზღვეო პროდუქტის ღირებულებაა. კერძოდ, სადაზღვეო ხელშეკრულებაში მითითებულია: *მოსარჩელემ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების დაზღვევის პოლისის მოსაპოვებლად ან/და შესაბამისი პრემიის გადასახდელად, მსესხებელზე გასცა წლის განმავლობაში ავტომატურად გაცემული დაზღვევისათვის კრედიტი, თითოეული ტრანშის მაქსიმალური - 48,52 აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 18%-ის დარიცხვით, 286 თვის ვადით (დაზღვევის კრედიტის მაქსიმალური ოდენობა 405 აშშ დოლარი). შესაბამისად, იმ 10 წელიწადზე გადანაწილებული 12 000 დოლარის სესხისათვის, რომელიც აიღო მსესხებელმა ის თვეში იხდიდა მაქსიმუმ 0,40 ცენტს, მაშინ როდესაც იმავე თანხაზე სიცოცხლის დამოუკიდებლად დაზღვევა ბაზარზე საშუალოდ 4.68 დოლარი ღირს⁵³. ეს შეღავათი „ნაყიდი“ აქვს ბანკს, მასსა და სადაზღვეოს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, და მთავარი „გადამხდელიც“ ის არის. ამ სიტუაციაში, როდესაც სადაზღვეო პრემიის 92% ბანკსა და მზღვეველს შორის არსებულ ურთიერთობაში იფარება, მსესხებელს ვერ ექნება მოლოდინი, რომ მისი ინტერესი უპირატესად არის დაცული ბანკის ინტერესებთან შედარებით და ბანკი ამ დროს უარს ამბობს საკუთარ პოზიციებზე მის მიმართ.*

ამგვარად, ის ფაქტი, რომ სადაზღვეო პრემიის ნაწილს ფარავს დაზღვეული – ის უხდის ბანკს საკომისიოს და შემდეგ ბანკი უხდის მზღვეველს – არ ცვლის ზემოთ თქმულს და ვერ გამოდგება დაზღვეულის ინტერესების დამზღვევის ინტერესებზე წინ დასაყენებლად. პირ-

⁵² OLG Düsseldorf BeckRS 2016, 1540; OLG Düsseldorf VersR 2019, 801.

⁵³ იხ. სადაზღვეო კომპანია ჯიპიის კალკულატორი: <https://mygpi.ge/life-calc> (18.05.2022).

ველ რიგში, იმიტომ, რომ დამზღვევის მიერ განხორციელებული გადახდა არ წარმოადგენს ექვივალენტურ შესრულებას, ის იხდის ვალის დაზღვევაში გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ამ დაზღვევის საბაზრო ღირებულებაა და რისი გადახდაც მას მოუწევდა, დამოუკიდებლად რომ დაეზღვია თავი, ბანკის მიერ მზღვეველთან დადებული „ჯგუფური ხელშეკრულების“ გარეშე – სადაზღვეო მსესხებლის დაცვას უზრუნველყოფს ბანკთან შეთანხმებული გრძელვადიანი ურთიერთობიდან გამომდინარე და არა მხოლოდ კონკრეტული მსესხებლის მიერ გადახდილი საზღაურის სანაცვლოდ. ანუ ამ დაზღვევისათვის უმთავრესად მაინც ბანკი იხდის. ამიტომაც, მსესხებლის მიერ გადახდილი ანაზღაურება საკმარისია იმისათვის, რომ, საბოლოო ჯამში, მოიპოვოს მოთხოვნა სადაზღვეოს მიმართ, მაგრამ არა პრივილეგია ბანკის მიმართ, კერძოდ, ამ დაზღვევის შემდეგ ბანკს აღარ ჰქონდეს მასთან დავის უფლება, სანამ არ უჩივლებს სადაზღვეოს. ამ გადანყვევების განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი, როგორც უკვე ვთქვით, არის ის, რომ კრედიტის დაზღვევის ინიციატორი და „გადამხდელი“ – მაშინაც კი, როდესაც ეს დაზღვევა ნებაყოფლობითი ოფციის სახით არის შეთავაზებული – არის ბანკი და ის ამას აკეთებს საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ვალის დაზღვევის ნებაყოფლობითობა, არ გულისხმობს იმას, რომ აქტორი არის დაზღვეული და არა დამზღვევი ბანკი, როგორც არის, მაგალითად, „საბროკერო“ /საშუამავლო კომპანიის შემთხვევაში, რომელიც აზღვევს დაზღვეულს მისი მოთხოვნით და მათ შორის სწორედ ამ ინტერესების მინდობილი მართვის ურთიერთობაა სახეზე. ბანკი არ არის მსესხებლის ინტერესების მინდობილი მმართველი, ის მსესხებელს აზღვევს საკუთარ ინტერესებში და, ოფციის სახითაც შეთავაზებული დაზღვევის შემთხვევაშიც, სახეზე არ არის რეალური ნებაყოფლობითობა, რადგან ამ დაზღვევის გარეშე, ჩვეულებრივ, ბანკი არ არის მზად, გასცეს ხელსაყრელი სესხი⁵⁴ (ან საერთოდ არ არის მზად გასცეს სესხი) – მსესხებელს დაზღვევასთან

მიერთებით და საკომისიოს გადახდით ნაყიდი აქვს ასევე სესხის დაბალპროცენტიანობა.⁵⁵

ანუ ჯგუფურ დაზღვევასთან მიერთება წარმოადგენს ბანკის მოთხოვნას საკუთარი ინტერესების დასაცავად და თავიდანვე ცხადია, რომ ეს დაზღვევა კლიენტის მხრიდან ვერ იქნება გაგებული ბანკის უფლებების შემკვეც ინსტრუმენტად – ანუ, ბანკი გახდება მისი ინტერესების მმართველი, მინდობილი პირი, რომელმაც უმთავრესად მასზე უნდა იზრუნოს, თუნდაც ეს ზრუნვა საკუთარი ინტერესების საზიანოდ ხდებოდეს. ანუ სადაზღვეოსაგან მოთხოვნას, პირველ რიგში, იძენს ბანკი საკუთარ ინტერესებში და მხოლოდ მას შემდეგ გადაულოცავს მსესხებელს ამ მოთხოვნას, როდესაც მისი რისკი სრულად განეიტრალებულია. ამ რისკის სრულად განეიტრალების მიზანთან და პრიმატთან წინააღმდეგობაში მოდის დაშვება, რომ დამზღვევმა ბანკმა სადაზღვეოს მიმართ მოთხოვნის სანაცვლოდ დაკარგოს მოთხოვნა მსესხებლის მიმართ (თუნდაც დროებით, მისი განხორციელებადობის ნაწილში).

ამიტომაც, ამ ჯაჭვში ჩართული ყველა პირისათვის ცალსახაა, რომ ამის შედეგად არ უნდა შეიკვეცოს ბანკის უფლებები. აქ ის ვერ ჩაითვლება დაზღვეულის მინდობილ პირად, ეს მინდობის ურთიერთობა მათ შორის საერთოდ არ არსებობს, რის გარეშეც შეუძლებელია საუბარი იმის შესახებ, რომ ბანკს ეკისრება სადაზღვეო კომპანიასთან წინმსწრებად დავის ვალდებულება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიმართოს მსესხებელს.

ზემოთ თქმულის გასამყარებლად, შეიძლება იმ არგუმენტის მოშველიება, რომ, თუ ბანკს დაევალებოდა უპერსპექტივო დავის წარმოება სადაზღვეოს წინააღმდეგ, ამ პერიოდში მოვალის მიმართ რეალური მოთხოვნა შეიძლება ხანდაზმული გახდეს და მან სამუდამოდ დაკარგოს რაიმეს მიღების შანსი ან ერთი ან მეორე პირისაგან, რაც დაზღვევის მიზნის, რომელიც ბანკის ინტერესების უზრუნველყოფაში მდგომარეობს, სრული და გაუმართლებელი უგულებელყოფა იქნებოდა.

⁵⁴ Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 426.

⁵⁵ მაშინაც კი, როდესაც მათ შორის არ არის სინალაგმატური კავშირი.

ქვემოთ მოყვანილი იქნება გერმანული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც სრულად ამყარებენ ზემოთ მოყვანილ არგუმენტებს:

ა) BGH, Urteil vom 7. 12. 1978 - III ZR 171/76 (KG) - მონარჩენი ვალის დაზღვევის შემთხვევაში გამსესხებლის ვალდებულება ეძებოს დაკმაყოფილება მზღვეველისაგან სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას

ფაქტობრივი გარემოებები: 1972 წელს მოპასუხის ქვრივმა დედამ დადო სესხის ხელშეკრულება ბანკთან 9800 გერმანული მარკის ოდენობის თანხასთან დაკავშირებით. მოპასუხის დედამ ასევე გამოიყენა შესაძლებლობა, დაედო კრედიტის დაზღვევა. სადაზღვეო პრემია, რომელიც დაემატა სესხის თანხას, იყო 746 გერმანული მარკა. მონარჩენი ვალის დაზღვევასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ „განმცხადებელი თანახმაა, რომ ... (მოსარჩელემ) საკუთარი სახელით მოითხოვოს მონარჩენი ვალის დაზღვევა და მისგან გამომდინარე შესრულებების გადახდა მოხდეს დამზღვევისათვის“. სახელშეკრულებო ფორმულარში დასმულ შეკითხვებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გადატანილ დაავადებებთან და ჯანმრთელობის ამჟამინდელ დარღვევებთან დაკავშირებით მოსარჩელის დედამ უარყოფითი პასუხი გასცა. მოპასუხის მიერ დამზღვევთან დადებული ჩარჩო-ხელშეკრულების თანახმად, „ფირმა“ არის დამზღვევი, ხოლო დაზღვეული არის მსესხებელი. ხელშეკრულება სადაზღვეო მოწმობის გაცემას არ ითვალისწინებდა. როდესაც მოსარჩელის დედა 1974 წელს გარდაიცვალა, მას უკვე 8479,90 მარკა ჰქონდა გადახდილი ვალის ანგარიშში. მონარჩენი ვალი, ყველა ხარჯის გათვალისწინებით, შეადგენდა 5424,25 მარკას. სწორედ ამ თანხას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. მოსარჩელის განცხადებით, მზღვეველი უარს ამბობს გადახდაზე, რადგან მოპასუხის დედამ ხელშეკრულების დადებისას დაფარა ის ფაქტი, რომ ის გადიოდა ხანგრძლივი მკურნალობის კურსს მნიშვნელოვანი დაავადების გამო, რის გამოც ის იძულებულია, მოითხოვოს დაკმაყოფილება (სესხიდან) მსესხებლის მემკვიდრისაგან.

ფილგა (სესხიდან) მსესხებლის მემკვიდრისაგან.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, აპელაცია დარჩა წარუმატებელი, ხოლო უმაღლესმა ინსტანციამ გააუქმა წინა ინსტანციის გადაწყვეტილება და სარჩელი უკან დააბრუნა.

სასამართლოს მოტივებიდან: სააპელაციო სასამართლომ უარყო მოპასუხის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, რადგან, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მონარჩენი ვალის დაზღვევა უნდა ყოფილიყო განმარტებული იმგვარად, რომ ყველა პირი, ვისაც ეკისრებოდა სესხიდან გამომდინარე ვალდებულება, მსესხებლის ნაადრევი გარდაცვალების შემთხვევაში, მისგან თავისუფლდებოდა. ამასთან, უმნიშვნელო იყო, რეალურად დაფარავდა თუ არა მზღვეველი მონარჩენი ვალს. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს მიხედვით, წინა ინსტანციის ეს მსჯელობა იყო არასწორი:

1. ის, თუ როგორ განმარტა სააპელაციო სასამართლომ დაზღვევისა და სესხის ხელშეკრულებები, მათი ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, იყო სამართლებრივად ხარვეზიანი. ამგვარი განმარტების საფუძველს არ იძლეოდა მხარეთა მიერ ტექსტუალური ფორმით დაფიქსირებული ნება და მხარეთა ის ინტერესები, რომლებიც ამ ნების გამოხატვით იყო ნათელიყოფილი. სადაზღვეო ხელშეკრულება აქ არ იწვევდა სესხის ვალდებულების პატიებას და ბანკი მზღვეველისგან შესრულებას არ იღებდა არც მსესხებლის შესრულების ნაცვლად. მოსარჩელის ინტერესი მიმართული იყო ცალსახად იმისკენ, რომ სესხიდან მოთხოვნა გაქარწყლებულიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც, მსესხებლის გარდაცვალების შემდეგ, მოხდებოდა მისი დაკმაყოფილება მონარჩენი დაზღვევის ხელშეკრულებიდან.

2. მოსარჩელეს სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს მოლოდინი იმისა, რომ სადაზღვეო გადაიხდის, როდესაც მსესხებელმა სწორად გასცა პასუხი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს. სხვა შემთხვევაში მსესხებელს, კეთილსინდისიერების პრინციპიდან

გამომდინარე (სკ-ის 8 III მუხლი), არ შეიძლება ჰქონდეს მოლოდინი, რომ მზღვეველი მაშინაც კი გადაიხდის, როდესაც მის მიერ დაფარული ჯანმრთელობის პრობლემა, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც, გახდა გარდაცვალების მიზეზი.

3. იმ გარემოებიდან, რომ მოსარჩელე დამზღვევი - ანუ სარჩელის აღძვრაზე ექსკლუზიურად უფლებამოსილი პირი - იყო მხარე მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულებისა და, ამასთან, მოპასუხის დედამ გადაიხადა სადაზღვეო პრემია 746 მარკის ოდენობით, გამომდინარეობს მოსარჩელის ვალდებულება, მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში, თავიდან, სამოქალაქო ბრუნვაში გამოსაჩენი გულისხმიერებით, სცადოს დაკმაყოფილების მიღება სადაზღვეოსაგან. ეს ვალდებულება წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს და სადაზღვეო შემთხვევის დადგომისას წინ უნდა უსწრებდეს სესხის დაბრუნების მოთხოვნის წაყენებას. ამ თანმიმდევრობის დაცვის ვალდებულება არის საპირისპირო შესრულება (სანაცვალგებო სასყიდელი) სესხის უკეთესი უზრუნველყოფისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსარჩელე თავის ამ ვალდებულებას დაიცავს იმგვარად, რომ ანგარიშს გაუწევს დაზღვეულის ინტერესებს, შეუძლია გამოიყენოს სესხიდან გამომდინარე მოთხოვნა. თუმცა ამ ვალდებულების შესრულება (მზღვეველისთვის წინასწარ მიმართვა) უნდა იყოს თანაზომიერი, ანუ უნდა მოეთხოვებოდეს ბანკს, მისი ანგარიშგასაწევი ინტერესების გათვალისწინებით. ამ ვალდებულების ფარგლები მცირდება იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეულის ქმედებამ განაპირობა სადაზღვეო ურთიერთობის შერყევა - მოთხოვნა არ არის განხორციელებადი. ზოგადად, მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულების დადება არ უნდა ჩააყენოს გამსესხებელი უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იქნებოდა ამ ხელშეკრულების დადების გარეშე - როდესაც მას ეყოლებოდა მხოლოდ ერთი მოვალე მსესხებლის/მისი მემკვიდრის სახით. მსესხებელს უნდა შეერაცხოს ის, რომ მან არასწორი ინფორმაცია მიაწოდა მზღვეველს (თუნდაც არაბრალეულად) და ამან მხოლოდ მისი პოზიციები უნდა გააუარესოს.

ამგვარად, პირველ რიგში, დაზღვეულის ფაკულტატურ ვალდებულებებს⁵⁶ განეკუთვნება, მართებულად დააფიქსიროს ყველა ის გარემოება, რომლებიც უკავშირდება სადაზღვეო რისკებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას ამას ექსპლიციტურად ეკითხებიან, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში იყო სახეზე. თუ მზღვეველი უარს აცხადებს სადაზღვეო ანაზღაურების გაცემაზე იმ მიზეზით, რომ დაზღვეულმა მას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, დამზღვევს მაშინაც კი არ მოეთხოვება მასთან დავა („დაფარვის ურთიერთობიდან“ (ურთიერთობა ბანკსა და სადაზღვეოს შორის) გამომდინარე პროცესის წარმოება), როდესაც ამ მზღვეველის ვალდებულება რეალურად მაინც სახეზეა, მაგალითად, გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაციის დაფარვასა და სადაზღვეო შემთხვევის დადგომას შორის კაუზალური ბმა არ არსებობს. დაზღვეულის მიერ მზღვეველისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება ინვევს პროცესზე მტკიცების ტვირთის შებრუნებას, რაც ბანკის გადასალახი ბარიერი იქნებოდა, თუ მას დაეკისრებოდა პროცესის წარმოების ვალდებულება და რაც მას არ შეიძლება მოეთხოვოს.

4. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დამზღვევ ბანკს ეკისრება მხოლოდ იმის ვალდებულება, რომ დაზღვეული მსესხებლის მემკვიდრე ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა თავად განახორციელოს მოთხოვნა მზღვეველის წინააღმდეგ. ეს მოცემულ შემთხვევაში გულისხმობდა ბანკის მხრიდან დაზღვეულისათვის შესაბამისი ფორმით (ვადის დაცვით და ა. შ.) მზღვეველის მიმართ მოთხოვნის (რომელიც იმ პერიოდში მოქმედი სადაზღვეო მოდელის მიხედვით მხოლოდ ბანკს ჰქონდა) შეთავაზებას.

უმაღლესმა ინსტანციამ საქმე ქვედა ინსტანციას დაუბრუნა სწორედ ამის გამოსაკვლევად - მოხდა თუ არა ამ დათმობის შეთავაზება. სხვა წინააღმდეგობას ბანკის მიერ მსესხებლის მემკვი-

⁵⁶ ფაკულტატური ვალდებულება გულისხმობს ვალდებულებას „საკუთარი თავის წინაშე“, რომელიც არ არის სასამართლო წესით გამოძალვადი, თუმცა მისი შეუძლებლობის გამო პირი კარგავს მეორე მხარის მიმართ უფლებას.

დრისაგან მოთხოვნასთან დაკავშირებით ის ვერ ხედავდა.

კომენტარი: ზემოთ აღწერილ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ნათლად გამოკვეთა სახელმძღვანელო პრინციპი, რომ მონარჩენი ვალის დაზღვევამ არ უნდა გააუარესოს ბანკის მდგომარეობა, მან პრინციპულად არ უნდა დაკარგოს მსესხებელი/მისი მემკვიდრე, როგორც მოვალე და არ უნდა აღემატოს შეუსაბამო ბარიერი მსესხებლის/მისი მემკვიდრის მიმართ მოთხოვნის განხორციელებისათვის. განსხვავებით სხვა სიტუაციებში მესამე პირის დაზღვევისაგან, ბანკის მიერ კრედიტის დაზღვევისას, ის არ არის მსესხებლის ინტერესების მინდობილი მიმართველი პირი.

გარდა ამისა, გერმანულ გადაწყვეტილებასა და ქართული სასამართლოს მიდგომას შორის არის ორი არსებითი განსხვავება, რაც გამოდგება *a maiore ad minus*-არგუმენტის („მით უფრო“-არგუმენტის) გასავითარებლად:

1. ეს გადაწყვეტილება მიღებულია წინა საუკუნის 70-იან წლებში, რის შემდეგაც შეიცვალა და სხვაგვარად გამოიკვეთა ბანკის მიერ კრედიტის დაზღვევის სამართლებრივი და ეკონომიკური კონტურები. გერმანულ გადაწყვეტილებაში აღწერილ შემთხვევაში სახეზე იყო, არა ბანკის მიერ დადებული „ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის ფარგლებში“ მსესხებლის მითითება დაზღვეულ პირად, არამედ დასაწყისში აღწერილი მესამე მოდელი – „ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო ხელშეკრულება“. სადაზღვეო პრემიას გერმანული გადაწყვეტილების ფაბულაში რეალურად იხდიდა როგორც მხოლოდ მსესხებელი – და გადახდილი ჰქონდა, ამ სადაზღვეო პრემიის სახით, აღებული სესხის ერთი მეათედი – რაც იყო საფუძველი, დასაცავი ინტერესების ცენტრის მისი სფეროსაკენ ნანაცვლებისა. პირველ რიგში, სწორედ ამ არგუმენტით დაეკისრა ბანკს ვალდებულება მიემართა სადაზღვეო სათვის მანამ, სანამ უჩივლებდა მსესხებლის მემკვიდრეს. თუმცა ამ შემთხვევაშიც „სადაზღვეოსათვის მიმართვა“ გულისხმობდა არა სასამართლო წესით მოთხოვნის წაყენებას, არამედ მის განსახორციელებლად სრულებით საკმარისი იყო, სადაზღვეოსათვის მოთხოვნის წერილის გაგზავნა და იმაში დარწმუნება, რომ ეს

უკანასკნელი არ აპირებდა გადახდას და მას ჰქონდა არგუმენტები თავისი ამ პოზიციის გამყარებლად.

როდესაც სადაზღვეო პროდუქტს რეალურად ბანკი ყიდულობს – რაც არის კიდევ მისი ინტერესების სადაზღვეო ურთიერთობის ცენტრში მოთავსების საფუძველი – და მსესხებელი სადაზღვეო პრემიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ფარავს, მსესხებელს/ მის მემკვიდრეს ვერ ექნება მოლოდინი და მოთხოვნა, რომ ბანკმა ჯერ სადაზღვეოსაგან (თუნდაც მხოლოდ წერილობითი მიმართვის ფორმით) სცადოს დაკმაყოფილება და მხოლოდ ამის შემდეგ აღძრას სარჩელი მის წინააღმდეგ. რადგანაც ბანკის მიერ მონარჩენი ვალის დაზღვევის შემთხვევაში მხოლოდ ბანკის ინტერესები დგას ურთიერთობის ცენტრში, მით უფრო უნდა ჰქონდეს დამზღვევ ბანკს უფლება, ყოველგვარი თანმიმდევრობის დაუცველად, პირდაპირ მსესხებელს/მის მემკვიდრეს მოსთხოვოს გადახდა.

2. გერმანულ გადაწყვეტილებაში ბანკს მსესხებლისაგან/მისი მემკვიდრისაგან პირდაპირი მოთხოვნის უფლება აქვს, სულ მცირე, მაშინ, როდესაც სადაზღვეო კომპანიას აქვს არგუმენტები მის მიერ არგადახდის სასარგებლოდ: მზღვეველის რეალურ კონტრარგუმენტს, რის გამოც ის უარს ამბობდა ბანკისათვის გადახდაზე, წარმოადგენდა მსესხებლის მიერ განპირობებული გარემოება. გერმანული პრაქტიკიდან მოყვანილ ამ შემთხვევაში ეს იყო მზღვეველისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა. ქართული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმე ეხებოდა სადაზღვეო შემთხვევის ბრალეულ გამოწვევას, რაც ასევე ათავისუფლებდა მზღვეველს და შესაბამისად გერმანული სასამართლოს ამ მოძველებულ პარადიგმაშიც კი საკმარისი იქნებოდა ბანკის მხრიდან მზღვეველისთვის წინასწარ მიმართვის ბარიერის მოსახსნელად.

თუმცა, როგორც ქვემოთ მოცემული მეორე გერმანული გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, ამ შეცვლილ პარადიგმაში დამზღვევს თავისუფლად უნდა ჰქონდეს არჩევის საშუალება, თუ რომელი მოვალისაგან მოითხოვს გადახდას, საერთოდ სადაზღვეოსათვის მიმართვის გარეშეც კი, როგორც ამას საბოლოოდ პი-

რდაპირ ამბობს დიუსელდორფის უმაღლესი სამხარეო სასამართლო თავის 2019 წლის გადაწყვეტილებაში, რომელიც ბოლოსკენ იქნება მოყვანილი, თუმცა მანამდე უპრიანია იმ გადაწყვეტილების მოყვანა, სადაც კიდევ ერთხელ არის შეჯამებული ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის ურთიერთობის წარმმართველი პრინციპები, უფრო ზუსტად კი, ბანკის ინტერესების გატარების აბსოლუტური პრიმატი.

ბ) OLG Dresden, Beschl. v. 8. 6. 2020 – 4 W 397/20 – დამზღვევი ბანკის ინტერესების პრიმატი

დრეზდენის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ თავის 2020 წლის გადაწყვეტილებაში კიდევ ერთხელ ცალსახად ნათელყო, თუ როგორ უნდა განიმარტოს შეთანხმება დამზღვევი ბანკსა და დაზღვეულ მსესხებელს შორის და გააკეთა ეს უკვე თანამედროვე შეცვლილ ეკონომიკურ (სადაზღვეო პროდუქტის ფასის ძირითად ნაწილს ბანკი იხდის) და სამართლებრივ (საკუთარი მოთხოვნა დამზღვევის მიმართ აქვს მხოლოდ დაზღვეულს) პარადიგმაზე მორგებულად.

ფაქტობრივი გარემოებები: მსესხებელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებული შემწეობა (*Prozesskostenhilfe*) იმ სარჩელთან დაკავშირებით, რომლის აღძვრასაც ის აპირებდა სადაზღვეო კომპანიის წინააღმდეგ, რომელთანაც დაზღვეული იყო მის მიერ ავტომანქანის დასაფინანსებლად ბანკიდან აღებული კრედიტი ამ ბანკის მიერ დადებული ჯგუფური დაზღვევის ფარგლებში. 2016 წელს მისი ეს ავტომანქანა განადგურდა ავარიის შედეგად. სადაზღვეო კომპანიამ პირდაპირ ბანკს გადაუხადა 4.400 ევრო სადაზღვეო ხელშეკრულების პირობების თანახმად. მსესხებელი მიიჩნევს, რომ მზღვეველი დამატებით ვალდებული იყო აენაზღაურებინა მისთვის ავარიის შედეგად გამოწვეული მთლიანი ზიანი – 34.223 ევრო, გამომდინარე იქიდან, რომ დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამის პირობებში მითითებული იყო: „სადაზღვეო დაცვით მოცულია ავტომანქანის

სრული განადგურების ეკონომიკური შედეგები“. მსესხებელი ასევე მიიჩნევდა, რომ სწორედ ის იყო ამ მოთხოვნის მზღვეველის მიმართ ნარდგენაზე უფლებამოსილი პირი (აქტიური ლეგიტიმაცია).

სასამართლოს მოტივებიდან: 1. განსხვავებით წინა ინსტანციის სასამართლოსაგან, რომელმაც მსესხებლის სასარგებლოდ დაადგინა, რომ მონარჩენი კრედიტის ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში სახეზეა „სხვის ხარჯზე დაზღვევა“, დრეზდენის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ ამ თავის გადაწყვეტილებაში კიდევ ერთხელ გაიმეორა და განამტკიცა უკვე დადენილი პრაქტიკა.⁵⁷ კერძოდ, სასამართლოს მიხედვით, ეს „სხვის ხარჯზე დაზღვევა“ სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამზღვევი საკუთარი სახელით აზღვევს სხვის ინტერესს. ეს აქ სახეზე არ არის, რადგან მონარჩენი კრედიტის ჯგუფური დაზღვევისაგან უპირატესად საკრედიტო ინსტიტუტი, როგორც კრედიტის გამცემი, იღებს სარგებელს, რადგან ის თავს იზღვევს მსესხებლის გამოთიშვისაგან და მის მიერ კრედიტის გადაუხდელობის რისკისაგან. ბანკს, როგორც სესხის გამცემს და ამავდროულად დამზღვევს, არ აქვს მიზანი დააზღვიოს მსესხებლის ინტერესები; ამ ტიპის ხელშეკრულებები ემსახურება მხოლოდ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნების უზრუნველყოფას და იდება მათთან ურთიერთკავშირში. ამგვარად, მონარჩენი კრედიტის ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში არ არის სახეზე „სხვის ინტერესის“ დაზღვევა და არც ამ ტიპის ურთიერთობისათვის შექმნილი წესები გამოიყენება.⁵⁸

2. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მანქანის განადგურებასთან დაკავშირებული რისკები და უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, რომლებიც დგებოდა არა ბანკის, არამედ მხოლოდ მსესხებლის მიმართ, ამ ჯგუფური დაზღვევის ფარგლებში დაცული და ფინანსურად გაენიჭრალებული არ ყოფილა. რის გამოც სასამართლომ უარყო მსესხებლის მოთხოვნის არსებობა.

⁵⁷ OLG Köln, Urt. v. 26.3.2010- 20 U 198/09.

⁵⁸ Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 426; Franz, VersR 2008, ზემოთ სქ. 22, 1565 ff.

3. რაც შეეხება მსესხებლის პოზიციას, რომ, გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი თავს იკავებდა მის მიერ სადაზღვეოსთან დადებული ჯგუფური ხელშეკრულებიდან მოთხოვნის განხორციელებისაგან, მას ჰქონდა უფლება, თავად აღედრა სარჩელი სადაზღვეოს წინააღმდეგ (ამ უკანასკნელის მიერ ბანკისათვის გადახდის მოთხოვნით), ეს საკითხი სასამართლომ გადაუწყვეტელი დატოვა, რადგან მოთხოვნა ისედაც არ არსებობდა.

კომენტარი: პირველ რიგში, გერმანულმა სასამართლომ თავის სახელმძღვანელო წინადადებაშივე ცხადყო, რომ, მონარჩენი ვალის ჯგუფური დაზღვევების შემთხვევაში, ბანკსა და მსესხებელს შორის შეთანხმების პირობების განმარტებისას გადამწყვეტია მხოლოდ ბანკის პერსპექტივა და ეს პირობები მის სასარგებლოდ განიმარტება, რადგან ეს დაზღვევა მხოლოდ მის ინტერესებს ემსახურება. მსესხებელი-დაზღვეულის პერსპექტივა პრინციპულად უმნიშვნელოა. გარდა ამისა, აქ ნიშანდობლივია შემდეგი: არც ერთი ინსტანციის სასამართლომ პრინციპულად არ უარყო იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ მსესხებელი შეიძლება იყოს უფლებამოსილი, აღძრას სარჩელი სადაზღვეოს წინააღმდეგ ბანკის მოთხოვნის განსახორციელებლად, თუ ბანკი თავს იკავებს თავად გააკეთოს ეს. აქედან ნათელია, რომ, პირველ რიგში, ბანკს აქვს თავის შეკავების უფლება, ანუ იმის უფლება, რომ არ უჩივლოს სადაზღვეოს და არ „დაისაჯოს“ ამისთვის მსესხებლის მიმართ თავისი მოთხოვნის განუხორციელებლად ქცევით. გარდა ამისა, ბანკი არ არის მსესხებლის მინდობილი პირი და არ ევალება სადაზღვეოს მოსთხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე ის თავად თვლის საჭიროდ. ამ შემთხვევაში სადაზღვეო ხელშეკრულებით რეალურად მოცული რომ ყოფილიყო ის ანაზღაურებაც, რასაც ითხოვდა მსესხებელი, სასამართლო ან თავად მას ჩათვლიდა ამ დავაში აქტიური ლეგიტიმაციის მქონედ, ან, მაქსიმუმ, ბანკს დაავალებდა სადაზღვეოს წინააღმდეგ არსებული ამ მოთხოვნის დათმობას, სესხიდან წარმოშობილი უფლებების განხორციელებადობის შეუფერხებლად.

ეს ყველაფერი შეესატყვისება იმ შეცვლილ პერსპექტივას, რომელიც ახასიათებს ნამდვილ

ჯგუფურ დაზღვევას, ზემოთ მოყვანილ პირველ გერმანულ გადაწყვეტილებაში აღწერილი ჩარჩო-ხელშეკრულებისაგან ან ნებისმიერი იმ ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, როდესაც სადაზღვეო კომპანიასთან კონტრაქტებს თავად მსესხებელი, აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნა მის მიმართ და შეიძლება საუბარი ამ ურთიერთობის ფარგლებში მისი ინტერესებისათვის დამოუკიდებელი წონის მინიჭებაზე. ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში ამგვარი რამის გაკეთება შეუძლებელია. აქ სადაზღვეო ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული შიდა ურთიერთობა ბანკსა და მსესხებელს შორის მთლიანად და ექსკლუზიურად ბანკის ინტერესების გარშემოა კონსტრუირებული. ამ დაზღვევის ხელშეკრულების დადებით ის იძენს დამატებით მოვალეს ისე, რომ არ უნდა დაკარგოს წინა მოვალე და მის მიმართ მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ყველა სხვა გადაწყვეტა წინააღმდეგობაში იქნებოდა ამ ურთიერთობის მიზანთან.

გ) BGH, Urteil vom 8. 11. 2000 - IV ZR 298/99 (Bamberg) – მესამე პირის დაზღვევა, რომელიც როგორც მის საკუთარ, ისე დამზღვევის ინტერესებშია – წინმსწრებად ჩივილის აუცილებლობის არარსებობა

გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც მესამე პირის დაზღვევას შეეხებოდა, უარყო დამზღვევის მხრიდან წინმსწრებად ჩივილის ვალდებულება, არა მხოლოდ ამ დაზღვევის მიერ ექსკლუზიურად საკუთარი ინტერესის დაზღვევისას, არამედ მაშინაც კი, როდესაც მის ინტერესთან ერთად დაზღვეულის ინტერესიც იყო თანადაზღვეული. კერძოდ, ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ნივთის, გაქირავებული შენობის, დაზღვევას, როდესაც გამქირავებული იყო დამზღვევი, ხოლო დამქირავებელი კი დაზღვეული. გაქირავებული ნივთის დაზღვევა დაზიანებისა და განადგურებისაგან თანაბარწილად არის როგორც გამქირავებლის, ასევე დამქირავებლის ინტერესებში, რადგან ემსა-

ხურება ამ უკანასკნელის ნივთის შენარჩუნების ინტერესის (Sacherhaltungsinteresse) უზრუნველყოფას.⁵⁹

გერმანული სასამართლოს მიხედვით, ამ შემთხვევაშიც კი, გამქირავებელს შეიძლება ჰქონდეს პატივისადები ინტერესი, ნივთის დაზიანებისა თუ განადგურებისას, უჩივლოს მხოლოდ დამქირავებელს და მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება. ეს პატივისადები ინტერესი, მზღვევლისათვის მოთხოვნის არნაყენებისა, შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ მას ჩივილის შემთხვევაში ემოქრება მზღვევლის მხრიდან სადაზღვეო ხელშეკრულების მოშლა ან ელის ხანგრძლივი და რესურსების გამხარჯველი პროცესი მის წინააღმდეგ. ყველა ამ და მსგავს შემთხვევაში გამქირავებელს შეუძლია პირდაპირ დამქირავებელს წარუდგინოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და არ ედავოს სადაზღვეოს.⁶⁰

მონარჩენი ვალის დაზღვევის შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ დამზღვევი ბანკის ინტერესია სადაზღვეო ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი, გამომდინარეობს „მით უფრო“-არგუმენტი ბანკის სასარგებლოდ. ამ სიტუაციაში მას უნდა ჰქონდეს ცალსახა არჩევანი, თუ ვისგან მოითხოვს დაკმაყოფილებას, რაზეც პირდაპირ საუბრობს დიუსელდორფის სასამართლო თავის ქვემოთ მოყვანილ გადაწყვეტილებაში.

დ) OLG Düsseldorf, Urteil vom 30. 11. 2018 (I-7 U 10/18) – ბანკის უფლება მოითხოვოს გადახდა სესხიდან სადაზღვეოსათვის წინასწარ მიმართვის გარეშე

როგორც უკვე არაერთხელ იქნა ნახსენები, ამ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს დიუსელდორფის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება, რომელიც არის შეჯამება ყველა ზემოთ გამოთქმული პრინციპისა და მოსაზრებისა. აქ გერმანულმა სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ მსესხებლის მიერ თება

ბანკის მიერ დადებულ ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულებასთან არ წარმოუშობს მას უფლებას, მოსთხოვოს ბანკს სადაზღვეოს მიმართ წინმსწრებად ჩივილი კრედიტის მონარჩენი ნაწილის გადახდის მოთხოვნამდე.

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ და მისმა ქმარმა 20.5.2010-ში მოპასუხე ბანკისგან აიღეს სესხი, მანქანის ნასყიდობის ფასის დასაფინანსებლად. სესხის ნეტო თანხა შეადგენდა 23 566,71 ევროს, ხოლო სესხის მთლიანი თანხა – 42 976,80 ევროს. მოსარჩელის ქმარმა განაცხადა თანხმობა მიერთებოდა ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულებას, რომელიც ჰქონდა დადებული მოპასუხე ბანკს სადაზღვეო კომპანიასთან. ამისთვის შეთანხმებული საზღაური იყო 5430,47 ევრო.

7.7.2016-ში მოსარჩელის ქმარი გარდაიცვალა. ამის შემდეგ სადაზღვეო კომპანიამ მოპასუხეს გადაუხადა 8122,06 ევრო. ამ გადახდის დაჯამების შემდეგ სესხის დარჩენილმა დაუფარავმა თანხამ 17.5.2017-სთვის შეადგინა 16119,37 ევრო.

მოსარჩელემ აღძრა ნეგატიური აღიარებითი სარჩელი და ითხოვდა აღიარებას, რომ ბანკს არ ჰქონდა მის მიმართ სესხიდან მოთხოვნის განხორციელების უფლება, რადგან მზღვეველი ვალდებული იყო, სრულად დაეფარა მისი მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან ბანკის წინაშე არსებული ვალი. ნებისმიერ შემთხვევაში ბანკი, როგორც დამზღვევი, ვალდებული იყო მოსარჩელის ინტერესების განსახორციელებლად ეჩივლა მზღვეველისათვის.

სარჩელი არც ერთმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა.

სასამართლოს მოტივებიდან: 1. დიუსელდორფის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ სარჩელი მიიჩნია დაუსაბუთებლად. მოსარჩელის მოთხოვნა, მომხდარიყო იმის აღიარება, რომ ბანკს მის მიმართ მოთხოვნების განხორციელების უფლება არ ჰქონდა, მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, რადგან ის სწორედ იმის დასაბუთებას ცდილობდა, რომ ჯერ კიდევ ვალდებული იყო, გადაეხადა ბანკისათვის სესხის დაუფარავი ნაწილი.

2. მოპასუხე ბანკის მოთხოვნა სესხის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით ჯერ არ

⁵⁹ BGH VersR 1988, 949.

⁶⁰ Prölss, Stille Teilhabe an fremden Versicherungsverträgen - zur konkludenten Einbeziehung von Drittinteressen in der Sachversicherung, r + s 1997, 221.

იყო შესრულებული. მზღვეველს ჯერ არ ჰქონდა გადახდილი, რის გამოც, სესხის დაფარვის მოთხოვნა არ იყო გაქარწყლებული შესრულების შედეგად.

3. მოპასუხე ბანკის მოთხოვნა სესხის დაფარვასთან დაკავშირებით არ იყო განუხორციელებელი გსკ-ის 242-ე პარაგრაფიდან [კეთილსინდისიერების პრინციპი] გამოყვანილი პრინციპის – *dolo agit, qui petit, quod statim redditurus est*⁶¹ – მიხედვით. მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე მოპასუხე ბანკი არ არის ვალდებული, სესხიდან გადასახდელი თანხა სარჩელის აღძვრის გზით გადაახდევინოს სადაზღვევოს.

4. მზღვეველმა 13.9.2016-ში გამოგზავნილი წერილით უარი თქვა სადაზღვეო ანაზღაურების სახით ბანკისათვის დამატებით რაიმე თანხის გადახდაზე. მოპასუხე ბანკს არ აქვს ვალდებულება მზღვეველს ედავოს და სარჩელის წაყენების გზით მოსთხოვოს ეს თანხა. ბანკს ეს ვალდებულება არ ეკისრება მასსა და მოსარჩელე მსესხებელს შორის წარმოშობილი „სხვისი საქმეების მოგვარების“ ხელშეკრულებიდან (*Geschäftsbesorgungsverhältnis, Senat vom 4. 12. 2015 – I-7U 140/14 – juris Rn. 21*), რომელიც წარმოიშვა მოსარჩელის მიერ ჯგუფურ დაზღვევასთან მიერთებით. თუმცა მოპასუხე ბანკი ვალდებულია დაუთმოს მოსარჩელეს საკუთარი მოთხოვნები მზღვეველის მიმართ (*Senat vom 4. 12. 2015 – I-7U 140/14 – juris Rn. 21*).

კომენტარი: ამ გადაწყვეტილებით დიუსელდორფის სასამართლომ, გააგრძელა რა მის მიერ ოთხი წლის წინ⁶² განვითარებული ხაზი, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად უარყო ბანკის ვალდებულება, ედავოს მზღვეველს და ამ წინმსწრები ჩივილის გარეშე არ ჰქონდეს მსესხებლის მიმართ მოთხოვნის განხორციელების უფლება. ბანკი უფლებამოსილია შეუფერხებლად განახორციელოს მოთხოვნა მსესხებლის მიმართ და სანაცვლოდ ვალდებულია დაუთმოს მას მხოლოდ მოთხოვნა მზღვეველის მიმართ.

⁶¹ არაკეთილსინდისიერად იქცევა ის, ვინ ითხოვს იმას, რაც დაუყოვნებლივ უკან დასაბრუნებელი აქვს.

⁶² OLG Düsseldorf BeckRS 2016, 1540.

ეს წარმოადგენს ერთადერთ ლოგიკურ დასკვნას ჯგუფური დაზღვევის იმ ურთიერთობისათვის, რომლის ცენტრშიც მხოლოდ ბანკის ურთიერთობის უზრუნველყოფა დგას.⁶³

VII. შედარება მონარჩენი ვალის დაზღვევის სამ მოდელს შორის – ბანკის მიერ მოვალის არჩევის კონტექსტში

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბანკო პრაქტიკაში კრედიტის დაზღვევა არ არის აუცილებელი, რომ „ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის“ ფორმით იყოს კონსტრუირებული, არამედ მის გვერდით არსებობს „არანამდვილი ჯგუფური დაზღვევა“ და „ჯგუფური დაზღვევის ჩარჩო ხელშეკრულება“. ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში მსესხებელს თავად უწევს სადაზღვეო კომპანიასთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა, მასთან კონტაქტი და გარკვეულ შემთხვევებში – ცალკეული ინდივიდუალური პირობების შეთანხმება (რაც ბანკსა და სადაზღვევოს შორის ხელშეკრულებით დადგენილი არ არის). ეს ზრდის დაზღვევის ხარჯებს, ჩვეულებრივ, ასევე სადაზღვეო პრემიასაც და, ამგვარად, როგორც ფინანსურ, ისე სამართლებრივ ტვირთად აწვება კლიენტს. მსესხებლის მხრიდან სადაზღვეო კომპანიასთან პირდაპირი კონტრაქტებიდან არც ბანკი და არც თავად ეს

⁶³ რაც შეეხება მოთხოვნის დათმობის ტექნიკურ მხარეს, ეს უნდა მოხდეს გარიგებისმიერი ცესიის გზით და წარმოადგენს მსესხებლის შესაგებელს ბანკის წინააღმდეგ. კერძოდ, მოთხოვნის განხორციელების შემავრცელებელ შესაგებელს, ისეთივე, როგორიც არის სკ-ის 369-ე, 163 III, 980 II და ა. შ. მუხლები. მოპასუხე მსესხებლის მიერ, ბანკის სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ ამ შესაგებლის აღძვრის შემთხვევაში, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ მოპასუხეს ევალება დაფაროს მონარჩენი სესხი მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბანკი დაუთმობს მას მზღვეველის მიმართ მოთხოვნას (ერთდროულად შესრულება). როგორც ყველა სხვა შესაგებლის შემთხვევაში, აქაც სასამართლო მას თავისი ინიციატივით არ ამოწმებს, კერძოდ, თუ მოპასუხე მსესხებელი მასზე არ აპელირებს, სასამართლო ბანკის მოთხოვნის განხორციელებას საკუთარი ინიციატივით არ დაადებს პირობად ბანკის მხრიდან მოთხოვნის დათმობას.

მსესხებელი სარგებელს არ იღებენ, რადგან ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ვერ ახერხებს სადაზღვევოსთან უფრო უკეთესი პირობების შეთანხმებას (მისთვის დარჩენილი მოსალაპარაკებელი ასპარეზის ფარგლებში), ვიდრე ბანკი, რადგან ეს უკანასკნელი, არის რა უფრო გამოცდილი „მოთამაშე“ ბაზარზე, კლიენტთან შედარებით შეუსაბამოდ მეტი რესურსების მქონე და კლიენტის ინტერესი რეალურად მისი საკუთარი ინტერესია, რომელსაც გაცილებით უფრო ეფექტიანად იცავს, ვიდრე თავად ეს კლიენტი. მართალია, ამ არგუმენტის ნაწილობრივ გაქარწყლება შეიძლება იმაზე მითითებით, რომ ამ ორი მოდელის შემთხვევაშიც რეალური შუამავალი მსესხებელსა და სადაზღვეოს შორის არის ბანკი და ხელშეკრულების ძირითადი რეგულატორული ბირთვიც მის მიერაა შეთანხმებული. თუმცა შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ბანკის მიერ ერთიანი ხელშეკრულების ფარგლებში დაზღვევა უფრო იაფი ღირს, ვიდრე დამზღვევთან ცალ-ცალკე ხელშეკრულების დადება.

გარდა ამისა, თავად მსესხებლისათვისაც/მისი მემკვიდრისათვისაც მოსახერხებელია, რომ ბანკს ჰქონდეს არა მხოლოდ მოთხოვნა სადაზღვეოს წინააღმდეგ (მხოლოდ მოთხოვნის მინიჭება ყველა ამ მოდელის შემთხვევაშია შესაძლებელი), არამედ ბანკი იყოს მზღვეველთან დადებული ხელშეკრულების მხარე, რადგან, როგორც ამას გერმანული სტატისტიკა აჩვენებს, სწორედ ამ შემთხვევაში ახორციელებს ბანკი ნებაყოფლობით თავის მოთხოვნას, პირველ რიგში, სადაზღვეოს მიმართ, ხოლო იმ დროს, როდესაც სადაზღვეოსთან დადებული ხელშეკრულების მხარე მსესხებელია, სადაზღვეოსთან დავის წარმოება სწორედ მას უწევს.

სადაზღვეოსთან დადებული მხარის სტატუსი ბანკს ანიჭებს ისეთ გარდაქმნით და სხვა ტიპის სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებს, როგორებიცაა: გასვლა, გადასახდელი სადაზღვეო პრემიის ოდენობის შემცირება, მზღვეველის გაფრთხილება და, გარდა ამისა, მაგალითად, გადაზღვევის შესაძლებლობა, თუ ბანკი მოახერხებს სხვა სადაზღვეო კომპანიასთან უფრო ხელსაყრელი ხანგრძლივი თანამშრომლობის პირობების შეთანხმებას და ა. შ. ყველა

ამ უფლების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას მსესხებელი მოკლებულია და მისსავე ინტერესებშია, რომ ხელშეკრულების მხარე იყოს ბანკი, მის ხელში იყოს ამ უფლებების გამოყენება, რადგან თავად მსესხებელიც იღებს აქედან არაპირდაპირ სარგებელს. როგორც ამას გერმანული პრაქტიკა⁶⁴ ამტკიცებს, კრედიტის დაზღვევის დროს დავები ძირითადად წარმოიშობა პირდაპირ მსესხებელსა და სადაზღვეოს შორის ხელშეკრულების დადებისას, მაშინ, როდესაც ბანკსა და სადაზღვეოს შორის ხელშეკრულების დადებისას ისინი ჩვეულებრივ მსესხებლისა და სასამართლოს „შენუხების“ გარეშე არეგულირებენ სადაო საკითხებს – თანამედროვე გერმანულ პრაქტიკაში უზვადაა დავები მონარჩენი ვალის დაზღვევიდან, რომელიც მსესხებელმა თავად დადო სადაზღვეო კომპანიასთან, მაშინ როდესაც შემთხვევა, როდესაც ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულებიდან პრობლემური გახდა დამზღვევისაგან დაკმაყოფილების მიღება, არ იძებნება. ამასთან კრედიტის დაზღვევის არახელსაყრელი პირობებისაგან/ამორალურობისაგან მსესხებელი ყველა ამ შემთხვევაში თანაბრად არის დაცული და მას მისი ინტერესების ხელყოფის რაიმე განსაკუთრებული რისკი არ ემუქრება, რადგან ბანკის მიერ დადებული ნამდვილი ჯგუფური დაზღვევაც და სესხიც წარმოადგენენ დაკავშირებულ გარიგებებს სკ-ის 370-ე მუხლის მიხედვით.⁶⁵

ამგვარად, ამ პრაქტიკული პერსპექტივის გათვალისწინებითაც, ყველასათვის მომგებიანია, რომ ბანკმა დადოს სადაზღვეო კომპანიასთან ხელშეკრულება და თავად დააზღვიოს მსესხებელი. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ბანკს ეს იმ ფასად დაუჯდება, რომ დაკარგავს მსესხებლის/მისი მემკვიდრის მიმართ მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობას მზღვეველის მიმართ წინმსწრები ჩივილის გარეშე – რასაც ცალსახად უარყოფს გერმანული სასამართლო,

⁶⁴ შდრ. AG Göttingen NZI 2011, 294; LG Dortmund NJW-RR 2010, 1122; BGH BKR 2010, 193; LG Saarbrücken VersR 2014, 1197 და ა. შ.

⁶⁵ BGH BKR 2021, 164 Rn. 11; BGHZ 184, 1; OLG Frankfurt a. M. VuR 2014, 144 = BeckRS 2014, 2831; *Stackmann*, Aktuelle Rechtsprechung zum Bankrecht, NJW 2021, 2407.

ბანკები უარს იტყვიან სადაზღვევოსთან პირდაპირ კონტრაქტირებაზე. უარს იტყვიან, საერთოდ მსესხებლის მიერ სადაზღვევოსთან დადებული მოთხოვნის პირდაპირ (სკ-ის 349 I მუხლის მიხედვით მესამე პირის სტატუსით) მოპოვებაზეც კი, რადგან ამ მოთხოვნაზე წვდომა ბანკს ისედაც აქვს მსესხებლის/მემკვიდრის მიმართ სესხიდან მოთხოვნის განხორციელების ფარგლებში – შეუძლია დააყადაღოს ის მსესხებლის/მემკვიდრის მიმართ სარჩელის აღძვრისთანავე⁶⁶. ამით ისინი მსესხებელსა/მის მემკვიდრესა და სადაზღვევოს ერთმანეთის პირისპირ დატოვებენ, რაც უმთავრესად ამ მსესხებლის ინტერესებს დააზიანებს, მას მოუწევს სხვის მიერ მოხაზული ჩარჩოს მიხედვით დადებული ხელშეკრულებიდან წარმომდგარი მოთხოვნების დამოუკიდებლად განხორციელება, რაც დაკავშირებულია მთელ რიგ ფინანსურ და სამართლებრივ პრობლემებთან. ამ დროს ბანკი რჩება პასიური სადაზღვევოს მიმართ – უჩივის მსესხებელს/მემკვიდრეს, „იღებს“ მისგან, რისი ამოღებაც შესაძლებელია და სარეზერვოდ სთხოვს მას მზღვეველის მიმართ მოთხოვნის დათმობას. ამ მოდელში ბანკის ინტერესები სრულად არის დაზღვეული, ხოლო მსესხებელს/მემკვიდრეს კი ყოველთვის ორი დავის წარმოება უწევს, მაშინ, როდესაც ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში ბანკი, მიუხედავად იმისა, რომ აქვს ამის უფლება, პირველ რიგში, გადახდას სთხოვს არა მსესხებელს/მემკვიდრეს, არამედ სადაზღვევოს და, ჩვეულებრივ, ყველაფერი დავის გარეშე მთავრდება. სადაზღვევოსა და ბანკს აკავშირებთ რა ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა, სადაზღვეო არ არის დაინტერესებული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო დავაში გადაზარდოს ბანკის მოთხოვნა და შეარყიოს ამით მათი ურთიერთობის საფუძვლები. გარდა ამისა, ბანკი, მისი პროფესიონალი იურისტების რესურსის გათვალისწინებით, უფრო უკეთ ახერხებს სადაზღვევოს მიმართ საკუთარი უფლებების დაცვას მის მიერვე შეთანხმებული ჩარჩო-ხელშეკრულებიდან.

⁶⁶ გამომდინარე იქიდან, რომ ეს სადაზღვეო მოთხოვნა სწორედ ბანკის წინაშე ვალის უზრუნველყოფას ემსახურება.

შესაბამისად, იმ პრაქტიკის დამკვიდრებით, რომ ბანკი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ განახორციელებს მსესხებლის/მემკვიდრის მიმართ საკუთარ მოთხოვნას, სანამ უშედეგოდ არ იძავებს სადაზღვეო კომპანიის მიმართ, მივიღებთ საპირისპირო შედეგს, რომელიც, საბოლოო ჯამში, ისევ მსესხებლებს დააზიანებს, გაზრდილი პროცენტებისა და სადაზღვევოსთან პირდაპირი კონტრაქტირებისა და თანმდევი ტვირთის ამ უკანასკნელისათვის გადაკისრების სახით. ეს იქნება მსესხებლის დაცვის მიზნის სრული აბერაცია.

VIII. დაზღვეულის მოთხოვნა მზღვეველის მიმართ – ნამდვილი ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში

მონარჩენი ვალის ნამდვილი ჯგუფურ დაზღვევის დროს ეს ხელშეკრულება, რომელიც იდება ბანკსა და სადაზღვევოს შორის, ჩვეულებრივ, დაზღვეულს არ ანიჭებს პირდაპირი მოთხოვნის უფლებას მზღვეველის მიმართ.⁶⁷ საკითხი, შეიძლება თუ არა ჰქონდეს მსესხებელს/მის მემკვიდრეს შესაძლებლობა, საკუთარი სახელით წარუდგინოს მზღვეველს ბანკის მოთხოვნა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი თავს იკავებს ამის გაკეთებისაგან, გერმანულ სასამართლოს ამომწურავად ჯერჯერობით არ გადაუწყვეტია.⁶⁸ თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ბანკს აქვს ვალდებულება, რომ როდესაც ის გადახდას მოსთხოვს არა სადაზღვევოს, არამედ მსესხებელს/მემკვიდრეს ამ სესხის ხელშეკრულებიდან, სანაცვლოდ დაუთმოს მას მზღვეველის მიმართ მოთხოვნა.⁶⁹ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში⁷⁰ განიხილავენ მსესხებლის/მისი მემკვიდრის პირდაპირი მოთხოვნის უფლების წარმოშობის თეორიულ შესაძლებლობას, როდესაც ის სადაზღვეო შემთხვევის დადგომის შემდეგაც აგრძელებს ბანკისთვის პრო-

⁶⁷ OLG Köln vom 26.3.2010- 20 U 198/09; Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 427.

⁶⁸ OLG Dresden r+s 2020, 474.

⁶⁹ OLG Köln vom 26.3.2010- 20 U 198/09; OLG Düsseldorf BeckRS 2016, 1540; OLG Düsseldorf VersR 2019, 801.

⁷⁰ Göbel/Köther, VersR 2015, ზემოთ სქ. 18, 428.

ცენტების გადახდას, თუმცა ჯერჯერობით ეს შესაძლებლობა უარყოფილია და სასამართლო პრაქტიკაც დუმს ამასთან დაკავშირებით.

IX. შეჯამება

ამგვარად, გერმანულ სამართალში ცალსახად გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ბანკის მიერ კრედიტის დაზღვევა წარმოადგენს ფორმალურად მესამე პირის (უფრო სწორად, მესამე პირის მეშვეობით), თუმცა რეალურად საკუთარი ინტერესის დაზღვევას. დაზღვეული მსესხებელი/მისი მემკვიდრე იღებს მხოლოდ რეფლექსურ სარგებელს – სადაზღვეო შემთხვევის დადგომა საბოლოო ჯამში მას ათავისუფლებს გადახდისაგან იმგვარად, რომ ბანკი ან

საკუთარი ინიციატივით პირდაპირ სადაზღვეოსგან ითხოვს ანაზღაურებას და იღებს მას, ან, მართალია, მსესხებელს/მის მემკვიდრეს უწევს გადახდა, თუმცა შემდეგში შეუძლია სადაზღვეოსაგან მიიღოს ანაზღაურება. მაგრამ ეს ვერ შეუქმნის დაზღვეულ მსესხებელს მოლოდინს, რომ ბანკი, რომელიც რეალურად იხდის ამ დაზღვევისათვის, და დაზღვევის დადებაზე თანხმობა წარმოადგენს ხელსაყრელი კრედიტის მიღების წინაპირობას (ბანკის მხრიდან დათმობა), დამატებით კიდევ შეიკვეცს საკუთარ უფლებებს და თუნდაც ერთ ცალკეულ სიტუაციაში თავს ჩაიგდებს უარეს მდოგმარეობაში, ვიდრე ამ დაზღვევის ხელშეკრულების დადების გარეშე. ბანკს შეუძლია შეუზღუდავად განახორციელოს თავისი უფლებები როგორც მსესხებლის, ისე სადაზღვეო კომპანიის მიმართ.

მოვალეობა სიმრავლე

შერჩეული საკითხები ქართულ და გერმანულ სამართალთან მიმართებით

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი

თამარ ხაჭორია

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

I. შესავალი

მოვალეობა სიმრავლის შემთხვევაში, ერთი მხრივ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (გსკ) და, მეორე მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (სკ) პასუხისმგებლობისთვის გათვალისწინებული რეგულაციები, სულ მცირე, ძირითად მახასიათებლებში, ნაწილობრივ კი ფორმულირებაშიც ერთმანეთს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს, შედარებით-სამართლებრივი გზით აჩვენოს, თუ რამდენად იწვევს ეს მეტწილად იდენტური საკანონმდებლო კონცეფცია კანონის ერთგვაროვან გამოყენებას. გერმანიის სამართლებრივი მდგომარეობის დამუშავებისას ზოგიერთი ისეთი საკითხია განხილული, რომლებიც საქართველოში იმავე გზით ვერ განიხილება.

II. სოლიდარული პასუხისმგებლობის წინაპირობები

მოვალეობა სიმრავლესთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების არსებობისას ცენტრალური საკითხი ისაა, მოვალეობა შორის არსებობს სოლიდარული თუ წილადი ვალდებულება.

1. სამართლებრივი რეგულაციები

ა) სამართლებრივი რეგულაციები გერმანიაში

გსკ-ში მოვალეობა სიმრავლესთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებები შემდეგია:¹

§420. დაყოფადი შესრულება

თუ რამდენიმე პირს ეკისრება დაყოფადი შესრულება ან თუ რამდენიმე პირს შეუძლია დაყოფადი შესრულების მოთხოვნა, მაშინ საექვოობისას ყოველი მოვალე ვალდებულია მხოლოდ თანაბარ წილზე, ხოლო ყოველი კრედიტორი კი უფლებამოსილია მხოლოდ თანაბარ წილზე.

§421. სოლიდარული მოვალეობები

თუ რამდენიმე პირს ეკისრება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიან შესრულებაში, ხოლო კრედიტორი კი უფლებამოსილია მოითხოვოს შესრულება მხოლოდ ერთხელ (სოლიდარული მოვალეობები), მაშინ კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილით ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს მთლიანი ან ნაწილობრივი შეს-

¹ როგორც გსკ-ში, ასევე სხვა კანონებში არის სხვა დებულებებიც, რომლებიც ითვალისწინებენ სოლიდარულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ეს ეხება გსკ-ს მიღმა რეგულირებულ დელიქტურ მოთხოვნებს.

რულება. მთლიანი შესრულების განხორციელებამდე ყველა მოვალე რჩება ვალდებული.

§422. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგები

(1) ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც. ანალოგიური წესი მოქმედებს ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღების, დეპონირებისა და გაქვითვის მიმართ.

(2) მოთხოვნა, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს, არ შეიძლება გაიქვითოს დანარჩენი მოვალეების მიერ.

§423. ვალის პატიების სამართლებრივი შედეგები

კრედიტორსა და სოლიდარულ მოვალეს შორის შეთანხმებული ვალის პატიება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც, თუ ხელშეკრულების მხარეებს სურდათ მთლიანი ვალდებულების შეწყვეტა.

§424. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები

კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ვადის გადაცილება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც.

§425. სხვა ფაქტორების მოქმედება

(1) თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ის ფაქტორები, რომლებიც §§ 422-424-ში არ არის მითითებული, მოქმედებს მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომელთანაც არიან ისინი დაკავშირებულნი.

(2) ზემოაღნიშნული წესები მოქმედებს, განსაკუთრებით, ხელშეკრულების შეწყვეტის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების, ბრალის, სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის, ხანდაზმულობის, ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენის, დენის შერჩერებისა და შეწყვეტის, მოთხოვნისა და ვალის ერთი პირის ხელში

აღმოჩენისა და კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ.

§426. წილთა გათანაბრების ვალდებულება, მოთხოვნის გადასვლა

(1) სოლიდარული მოვალეები ერთმანეთის მიმართ ვალდებული არიან თანაბარწილად. თუ ერთ-ერთი მოვალისაგან მისი წილი თანხის მიღება შეუძლებელია, მაშინ გადაუხდელი ნაწილის შევსების ვალდებულება ეკისრებათ დანარჩენ მოვალეებს წილების გათანაბრების მიზნით.

(2) იმ ფარგლებში, რომლებშიც სოლიდარული მოვალე აკმაყოფილებს კრედიტორს და შეუძლია დანარჩენი მოვალეებისაგან წილების გათანაბრების მოთხოვნა, კრედიტორის მოთხოვნა დანარჩენი მოვალეების მიმართ გადადის მასზე. მოთხოვნაზე საკუთრების უფლების გადასვლა არ შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის ინტერესების საზიანოდ.

§427. ერთობლივი სახელშეკრულებო ვალდებულება

თუ რამდენიმე პირი ხელშეკრულებით ერთობლივად კისრულობს დაყოფად ვალდებულებას, მაშინ საჭეწოობისას ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები.

§840. რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა

(1) თუ რამდენიმე პირი ერთდროულად არის ვალდებული დელიქტიდან გამომდინარე ზიანის სათვის, მაშინ ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები.

(2) თუ იმ პირთან ერთად, ვინც, §§ 831, 832 თანახმად, ვალდებულია, აანაზღაუროს სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი, ასევე პასუხისმგებელია სხვა პირიც, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ ეს უკანასკნელი, ხოლო § 829 შემთხვევაში - მხოლოდ ის პირი, ვისაც ევალება ზედამხედველობის განხორციელება.²

² ამ პუნქტში ნახსენები რეგულაციები ეხება ხელმძღვანელის (Geschäftsherr) პასუხისმგებლობას მუშაკის (Verrichtungsgehilfe) გამო (მდრ. სკ 997 მუხლთან, თუმცა გერმანულ სამართალში ხელმძღვანელის გამართლების შესაძლებლობით (Exkulpation des

(3) თუ იმ პირთან ერთად, ვინც, § 833-838 თანახმად, ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, პასუხისმგებელია მესამე პირი, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ მესამე პირი.³

საკანონმდებლო კონცეფციის მიხედვით, გსკ-ის § 420 პარაგრაფის თანახმად, მოვალეთა სიმრავლის „საეჭოვნობისას“ სახეზეა წილადი ვალდებულება. რეალურად, როგორც წესი, მოვალეთა სიმრავლისას უმეტესად სოლიდარული ვალდებულებაა სახეზე. ლიტერატურაში, ნათლად არის აღნიშნული, რომ გსკ-ის § 427-ე პარაგრაფით გათვალისწინებული კანონისმიერი პრეზუმფცია გსკ-ის § 420-ე პარაგრაფში მოქცეულ წილადი ვალდებულების პრეზუმფციას გამოყენების სფეროთა მნიშვნელოვან ნაწილში ეწინააღმდეგება.⁴

ბ) საკანონმდებლო მოწესრიგება საქართველოში

ვალდებულ პირთა სიმრავლესთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები თავმოყრილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 ნიგზის მე-7 კარის მე-2 თავში.

მუხლი 463. სოლიდარული ვალდებულება

თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთგვარი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

Geschäftsherrn)), ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირისა და ე.წ. ქმედუუნარო პირის პასუხისმგებლობას სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე (Billigkeitshaftung des Schuldunfähigen).

³ ამ პუნქტში ნახსენები რეგულაციები ეხება ცხოველებისგან მომდინარე საფრთხესა და შენობის ჩამონგრევის შედეგად წარმოშობილი ზიანის პასუხისმგებლობის საკითხებს.

⁴ Rüßmann in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 420 BGB Rn. 16

მუხლი 464. სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები

სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

მუხლი 465. კრედიტორის უფლება, მოითხოვოს შესრულება ნებისმიერი მოვალისაგან

კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

მუხლი 466. სოლიდარული მოვალის შესაგებელი კრედიტორის მიმართ

სოლიდარული მოვალე უფლებამოსილია კრედიტორს წარუდგინოს ყველა ისეთი შესაგებელი, რომლებიც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობენ, ან რომლის უფლებაც მარტო მას აქვს, ან იგი საერთოა ყველა სოლიდარული მოვალისათვის.

მუხლი 467. ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულების შედეგები

ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს შესრულებისაგან დანარჩენ მოვალეებს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტორთან მოვალის მიერ განხორციელებული გაქვითვის მიმართ.

მუხლი 468. სხვა სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტების გამოყენების დაუშვებლობა

ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ პირის მიმართ, თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მუხლი 469. სარჩელი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ

სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფ-

ლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც.

მუხლი 470. შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები

1. კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისაგან შესრულების მიღების დაყოვნების შედეგები ძალაშია დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.

2. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ შესრულების ვადის დაყოვნების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართაც.

მუხლი 471. სოლიდარული მოვალის მემკვიდრეთა უფლებები

თუ ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ თითოეული მათგანი ვალდებულია შეასრულოს მოთხოვნა თავისი სამკვიდრო წილის შესაბამისად. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოთხოვნა განუყოფადია.

მუხლი 472. კრედიტორის მოთხოვნის გაერთიანება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან

თუ კრედიტორის მოთხოვნა ერთიანდება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის ვალთან, მაშინ დანარჩენ მოვალეთა მიმართ ვალდებულება წყდება იმ ოდენობით, რაც ამ მოვალის წილზე მოდიოდა.

მუხლი 473. უკუმოთხოვნის უფლება ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებისას

1. მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ მოვალეთა მიმართ წილთა თანაბრობის კვალობაზე, ოღონდ თავისი წილის გამოკლებით, თუკი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. როდესაც შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით.

მუხლი 474. სოლიდარული მოვალის ვალდებულების შედეგები

თუ ერთ-ერთი მოვალეთაგანი ვალაუვალი აღმოჩნდება, მაშინ მისთვის განსაზღვრული წილი თანაზომიერად ნაწილდება ყველა სხვა გადახდისუნარიან მოვალეს შორის.

მუხლი 475. სოლიდარული მოვალის კომპენსაცია

თუ სოლიდარულმა მოვალემ მიიღო სარგებელი სოლიდარული ვალდებულებიდან, მაშინ იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც ასეთი სარგებელი არ მიუღია, შეუძლია მოსთხოვოს მას დაკმაყოფილება თავისი ვალდებულების შესასრულებლად.

მუხლი 476. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შედეგები

ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შერყევას ან შეწყვეტას არა აქვს ძალა სხვა მოვალეთა მიმართ.

მუხლი 449. ვალის პატიების შედეგები სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის

ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

2. სამართლებრივი მდგომარეობა წილადი და სოლიდარული პასუხისმგებლობის გამიჯვნისას

ა) ზოგადი პრინციპები (გსკ-ის §§ 420, 412-ე პარაგრაფები; სკ-ის 463-ე მუხლი)

აა) გერმანიის სამართლებრივი მდგომარეობა

თუ რომელიმე სპეციალური ნორმა არ გამოიყენება, მაშინ გამიჯვნისთვის ცენტრალური

კითხვა მდგომარეობს შემდეგში - როგორც გსკ-ის §421 პარაგრაფშია მოხსენიებული - ეკისრება თუ არა რამდენიმე პირს ვალდებულების შესრულება ისე, რომ „თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიან შესრულებაში, ხოლო კრედიტორი კი უფლებამოსილია მოითხოვოს შესრულება მხოლოდ ერთხელ“.

(1) მიზნობრივი ერთიანობა

უზენაესი ფედერალური სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სოლიდარული პასუხისმგებლობა წინაპირობად აყენებს არსებულ მოთხოვნებს შორის ფაქტობრივ ან სამართლებრივ მიზნობრივ ერთიანობას.⁵ ასეთი მიზნობრივი ერთიანობა, როგორც წესი, არსებობს მაშინ, როდესაც ვალდებულებებმა უნდა დააკმაყოფილონ კრედიტორის შინაარსობრივად იდენტური ინტერესი.⁶ ეს, უპირველეს ყოვლისა, სავარაუდოა მაშინ, თუ ცალკეულმა მოვალეებმა ვალდებულების დარღვევით კრედიტორს ერთი და იგივე მატერიალური ზიანი მიაყენეს.⁷ ზოგადად, დამატებით არ არის საჭირო, მოვალეებს საზიანო ქმედებების განხორციელებისას საერთო ინტერესი გააჩნდეთ ან რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისას არსებობდეს იმავე შინაარსის ძირითადი შესასრულებელი ვალდებულებები.⁸ ზიანის მიმყენებელთა მიზნობრივი ერთიანობის არსებობას ასევე ხელს არ უშლის ის ფაქტი, რომ ერთი მოვალე ხელშეკრულებით, ხოლო მეორე დელიქტური ზიანის ანაზღაურებით არის ვალდებული⁹ ან რომ ერთი დამრღვე-

ვი - დადებით ინტერესზე, ხოლო მეორე დამრღვევი უარყოფით ინტერესზეა პასუხისმგებელი.¹⁰ ანალოგიურად, მიზნობრივი ერთიანობის არსებობას არ აბრკოლებს ის ფაქტი, რომ ერთი დამრღვევის დროს - პოზიტიური ქმედება, ხოლო მეორე ზიანის მიმყენებლის შემთხვევაში არამართლზომიერი უმოქმედობა არსებობდა.¹¹

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი მიზნობრივი ერთიანობის, ანუ მოთხოვნებს შორის შიდა კავშირის არსებობისთვის, საკმაოდ ზომიერი მოთხოვნებია დაწესებული. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ გსკ-ის § 421-ის საკმაოდ ვრცელი გამოყენებით ჩვეულებრივ მიიღწევა მონაწილე პირების ინტერესებს შორის შესაბამის ბალანსი, ანუ საგნობრივი შედეგი:

წილადი შესრულების შემთხვევაში კრედიტორს ექმნება მნიშვნელოვანი სირთულეები სამართლებრივი დევნის ეფექტიანობის თვალსაზრისით. ის მოვალის ვალაუვალობის ან მისი მიუწვდომლობის შემთხვევაში არა მხოლოდ მოთხოვნის დანაკარგის რისკს იღებს თავის თავზე, არამედ წილადი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში პასუხისმგებლობის ოდენობის გამოკვლევის მიზნით ასევე უნდა დაადგინოს და შეაფასოს ცალკეულ მოვალეებს შორის არსებული როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი გარემოებები. თუმცა მისთვის ორივე საკითხი, განსაკუთრებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას, პრობლემასთან ასოცირდება, ვინაიდან დაზარალებული ხშირად საკმარისად არ იცნობს ზიანის მიმყენებლებს შორის შიდა ურთიერთობებს და, უფრო მეტიც, შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის წილის ყოველი ცალკეული შეფასება შეიცავს არასწორი შეფასების რისკს. ყოველ შემთხვევაში, როცა რამდენიმე მოვალის მიმართ წაყენებული პრეტენზიები ეფუძნება ზიანის მომტან ქმედებებს, ამ რისკების დაზარალებული მხარისთვის დაკისრება არ იქნებოდა მიზანშეწონილი. როგორც წესი, ბევრად უფრო სამართლიანია, რომ დაზარალებულმა მხარემ

⁵ BGH, Urteil vom 26.06.2003 - VII ZR 126/02 - BGHZ 155, 265 (juris Rn. 13); BGH, Beschluss vom 01.02.1965 - GSZ 1/64 - BGHZ 43, 227 (juris Rn. 10 ff.).

⁶ BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 136/11 - NJW 2012, 1070 (juris Rn. 18); BGH, Urteil vom 22. 12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 18).

⁷ BGH, Beschluss vom 01.02.1965 - GSZ 1/64 - BGHZ 43, 227 (juris Rn. 10 ff.).

⁸ BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 136/11 - NJW 2012, 1070 (juris Rn. 18); BGH, Urteil vom 22. 12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 18); BGH, Urteil vom 26.06.2003 - VII ZR 126/02 - BGHZ 155, 265 (juris Rn. 13).

⁹ BGH, Urteil vom 29.06.1972 - VII ZR 190/71 - BGHZ 59, 97 (juris Rn. 9 ff.).

¹⁰ BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 18).

¹¹ BGH, Urteil vom 29.06.1972 - VII ZR 190/71 - BGHZ 59, 97 (juris Rn. 9 ff.).

ისარგებლოს სოლიდარული პასუხისმგებლობის უპირატესობებით და ზიანის გამომწვევმა პირებმა ერთმანეთში შეათანხმონ, რა ოდენობის პასუხისმგებლობის წილი ეკისრებათ მათ საზიანო მოვლენის დადგომისთვის.

თუ რამდენიმე მოვალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევამ გამოიწვია ერთობლივი ზიანი, ზიანის ანაზღაურება სოლიდარული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე არ ბრკოლდება იმით, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობა არ არსებობდა შესაბამის ძირითად ვალდებულებებზე. მაგალითად, სამშენებლო კომპანია და არქიტექტორი არ არიან სოლიდარული მოვალეები თავიანთ ძირითად ვალდებულებებთან მიმართებით შენობის პროექტის შექმნის თვალსაზრისით.¹² თუმცა თუ, ერთი მხრივ, არქიტექტორის და, მეორე მხრივ, სამშენებლო კომპანიის მიერ მოვალეობის დარღვევამ გამოიწვია იდენტური ზიანი, ეს არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურებისთვის სოლიდარულ პასუხისმგებლობას.¹³

გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან მიზნობრივი ერთიანობის მაგალითებია:

– თუ სამშენებლო კომპანიებმა ცალ-ცალკე შეასრულეს ნარდობის სამუშაოები, რომელთაგან თითოეულს აქვს ხარვეზი და თუ ეს ხარვეზები ეკონომიკური თვალსაზრისით მხოლოდ ერთობლივად შეიძლება გამოსწორდეს, არსებობს სოლიდარული პასუხისმგებლობა.¹⁴

- სოლიდარული პასუხისმგებლობა სახეზეა, თუ კრედიტორის მიერ შეძენილ ცხენს აქვს დეფექტი, რაზეც პასუხისმგებელია არა მხოლოდ გამყიდველი ნასყიდობის სახელშეკრულებო გა-

რანტიის ფარგლებში, არამედ ვეტერინარიც, რომელმაც ეს ნაკლი არ დააფიქსირა ცხენის შეძენამდე მისთვის დაკვეთილ საექსპერტო დასკვნაში. მართალია, სამართლებრივი ურთიერთობები, საიდანაც გამომდინარეობს პასუხისმგებლობა (ერთი მხრივ, ნასყიდობის სახელშეკრულებო გარანტია და, მეორე მხრივ, შეძენილი ნივთის საექსპერტო დასკვნა) არსებითად განსხვავებულია იურიდიული და ფაქტობრივი თვალსაზრისით. თუმცა, გადამწყვეტი ფაქტორი სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობისთვის არის ის, რომ ეს სახელშეკრულებო ურთიერთობები გაერთიანდა ერთგვაროვან შედეგში, კერძოდ, ცხენის შეძენაში, რომელიც გამოსაყენებლად საკმარისად ვარგისი არ არის.¹⁵

იმ პირს, რომელმაც, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა, ნივთის განკარგვით საკუთრების უფლების დაკარგვა გამოიწვია და, შესაბამისად, უნდა გადასცეს გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები (გსკ-ის § 816-ე პარაგრაფი; შდრ. სკ-ის 990-ე მუხლი), და იმ პირს შორის, რომელმაც მესამე მხარის მხრიდან კეთილსინდისიერ შეძენას არამართლზომიერად არ შეუშალა ხელი და საკუთრების უფლების დაკარგვის გამო სახელშეკრულებო ან დელიქტური ზიანის (ღირებულებითი კომპენსაციის) ანაზღაურება ეკისრება, არსებობს სოლიდარული ვალდებულება.¹⁶

(2) ერთგვაროვნება

თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მიზნობრივი ერთიანობა სახეზეა, სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობისთვის დამატებით აუცილებელი არ არის თითოეული მოვალის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნები იყოს შინაარსობრივად ერთგვაროვანი („ნივთიერად იდენტური“, „stoffgleich“).

მოთხოვნების განსხვავებული ოდენობები არ გამორიცხავს სოლიდარულ პასუხისმგებ-

¹² BGH, Beschluss vom 01.02.1965 - GSZ 1/64 - BGHZ 43, 227 (juris Rn. 11).

¹³ BGH, Beschluss vom 01.02.1965 - GSZ 1/64 - BGHZ 43, 227 (juris Rn. 12 f.); შდრ. ასევე ქვემოთ განხილულ ცხენის შემთხვევას და შემდგომში წარმოდგენილ პრობლემატიკას, როდესაც დამატებითი შესრულება და ზიანის ანაზღაურება ერთმანეთს ემთხვევა.

¹⁴ BGH, Urteil vom 26.06.2003 - VII ZR 126/02 - BGHZ 155, 265 (juris Rn. 13), გარე ფასადზე გაჩენილი ბზარებიანი შენობისთვის, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ერთი სამშენებლო კომპანიის დეფექტური ქვისგან და ასევე მეორე სამშენებლო კომპანიის დეფექტური შელესვისგან და რომლის შეკეთება შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი თაბაშირის წასმით, ანუ ერთობლივად.

¹⁵ BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 136/11 - NJW 2012, 1070 (juris Rn. 18); BGH, Urteil vom 22. 12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 18).

¹⁶ BGH, Urteil vom 21.09.1983 - VIII ZR 163/82 - JZ 1984, 230 (juris Rn. 22 f.).

ლობას; ისინი უბრალოდ ყოფენ კრედიტორის მოთხოვნებს ისე, რომ ყველა ზიანის მიმყენებლის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა სოლიდარული პასუხისმგებლობაა, ხოლო ზედმეტი თანხით წამოიქმნება ინდივიდუალური ვალდებულება.¹⁷ თუ ასეთ სიტუაციაში სოლიდარული მოვალე, რომელიც გარე ურთიერთობებში ვალდებულია დანარჩენ პირებზე მეტი გადაიხადოს, ასრულებს ნილობრივ შესრულებას, ეს (თუ დაფარვის სხვა მიზანი არ არის მითითებული) პრიორიტეტულად ჩაითვლება მოთხოვნის იმ ნაწილში, რომლისთვისაც არ არსებობს სოლიდარული პასუხისმგებლობა, იმ სამართლებრივი პრინციპის მიხედვით, რომელიც გსკ-ის § 366 II შესაბამისად გამომდინარეობს. ეს უზრუნველყოფს, რომ კრედიტორი შეინარჩუნებს მისთვის უფრო უსაფრთხო სოლიდარულ ვალდებულებას.¹⁸

მოთხოვნების განსხვავებული შინაარსიც კი თავიდანვე არ აბრკოლებს სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობას. ეს ეხება, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს, რომლებიც მიმართულია ერთი მოვალის წინააღმდეგ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენ და მეორე მოვალის მიმართ ფულადი კომპენსაციის ან ზიანის გამოსწორების ხარჯების ანაზღაურებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს თემატიკა პრაქტიკულ აქტუალობას იძენს მაშინ, როდესაც ნასყიდობის თუ ნარდობის სახელშეკრულებო გარანტიის ფარგლებში არსებული ნაკლის გამოსწორებისკენ (დამატებითი შესრულებისკენ) მიმართული მოთხოვნები ემთხვევა ფულად გადასახდელებზე დაფუძნებულ მოთხოვნებს. თუ, მაგალითად, სამშენებლო ხარვეზზე პასუხისმგებელია როგორც სამშენებლო კომპანია სამუშაოების შესრულებისას დაშვებული შეცდომის გამო, ასევე არქიტექტორი სამშენებლო ზედამხედველობის ვალდებულების (მონიტორინგის ვალდებულების) დარღვევის გამო, არქიტექტორმა ზიანი უნდა აანაზღა-

უროს ფულადი სახით, ხოლო სამშენებლო კომპანიას, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ეკისრება ნაკლის გამოსწორების ვალდებულება. თუმცა, ეს ხელს არ უშლის ორივე პირს შორის არსებობდეს სოლიდარული პასუხისმგებლობა.¹⁹

ამხანაგობის შემთხვევაში, ერთი მხრივ, საზოგადოება და, მეორე მხრივ, საკუთარი ქონებით პასუხისმგებელი პარტნიორები არ არიან სოლიდარულად პასუხისმგებლები საზოგადოების კრედიტორების წინაშე.²⁰ ასეთ სიტუაციაში, მართალია, ყველა მოთხოვნა მიმართულია შესრულების იდენტური ინტერესისკენ. თუმცა, კორპორაციულ-სამართლებრივი დებულებების პრიორიტეტულობა განსაკუთრებით პარტნიორების მიერ განეული ხარჯების ანაზღაურებაზე ხელს უშლის გსკ-ის §§ 420-ე და შემდგომი პარაგრაფების გამოყენებას.²¹

სხვა მაგალითებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი:

– მოთხოვნების ფაქტობრივი ერთგვაროვნება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი ორი განსხვავებული კლინიკიდან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, რამდენადაც კლინიკებმა სამედიცინო მკურნალობა, თუნდაც თითოე-

¹⁷ BGH, Urteil vom 26.03.2009 - I ZR 43/06 - juris Rn. 39; BGH, Urteil vom 03.02.1954 - VI ZR 153/52 - BGHZ 12, 213 (juris Rn. 15).

¹⁸ Staudinger/Looschelders (2017) BGB § 426 Rn. 44; OLG Düsseldorf, Urteil vom 11.11.1994 - 22 U 73/94 - NJW 1995, 2565.

¹⁹ BGH, Beschluss vom 01.02.1965 - GSZ 1/64 - BGHZ 43, 227 (juris Rn. 10 ff.); BGH, Urteil vom 26.07.2007 - VII ZR 5/06 - NJW-RR 2008, 176 (juris Rn. 23). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტორს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულებაზე 2018 წლის 1 იანვარს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად (გსკ-ის § 650თ), მანამ სანამ დამკვეთის მიერ სამშენებლო კომპანიისთვის განსაზღვრული ვადა დამატებითი შესრულებისთვის უშედეგო არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ სანამ ეს დებულება ძალაში შევიდოდა, აღნიშნული ნაწილობრივ გამომდინარეობდა კეთილსინდისიერების პრინციპიდან (გსკ-ის § 242-ე პარაგრაფი), რომ არქიტექტორის მიმართ პრეტენზიის წაყენება არაკეთილსინდისიერი იქნებოდა, თუ სამშენებლო კომპანია მზად იყო დამატებითი შესრულებისთვის. შდრ., მაგალითად, OLG Dresden, Urteil vom 19.10.2016 - 13 U 74/16 - NJW 2017, 1555; შდრ. იხ. ასევე BGH, Urteil vom 26.07.2007 - VII ZR 5/06 - NJW-RR 2008, 176 (juris Rn. 24 ff.).

²⁰ BGH, Urteil vom 09.05.1963 - II ZR 124/61 - BGHZ 39, 319 (juris Rn. 16).

²¹ თუმცა პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ამით უცვლელი რჩება; შდრ. პარტნიორებს შორის წილის კომპენსაცია ქვემოთ III. 1. ბ).

ულმა მათგანმა საკუთარი პასუხისმგებლობით, ერთმანეთთან შეათანხმა.²²

– სოლიდარული პასუხისმგებლობა სახეზეა, თუ კრედიტორი ზიანის ანაზღაურებას იმის გამო ითხოვს, რომ იგი რამდენჯერმე მოატყუეს მოვალეებმა ერთი და იმავე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენით (იგივე „კრიმინალური თაღლითობით“), თუნდაც სამართლებრივად ეს სისხლის სამართლის დანაშაულები განცალკევებული იყოს და მოვალეებს დანაშაულში განსხვავებული წილი მიუძღოდეთ.²³

(3) თანაბარი რანგირება

გსკ-ის § 421-ე პარაგრაფის სიტყვასიტყვითი ფორმულირების გარდა, მიზნობრივი ერთიანობა მოითხოვს ვალდებულებების ე.წ. თანაბარ რანგირებას. ეს ასე არ არის, თუ მოვალის შესასრულებელი ვალდებულება დაქვემდებარებული ხასიათისაა ან თუ მოვალე სხვა ვალდებულების შესრულებაზე უფრო ადრეა პასუხისმგებელი.²⁴ კერძოდ, ეს ეხება იმ შემთხვევას, თუ სახელმეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულების მიზანია კრედიტორის გათავისუფლება სხვა მოვალის ლიკვიდურობის რისკისგან.²⁵ სხვა შემთხვევაში სხვა მოვალე არაპირდაპირ ისარგებლებდა ვალდებულებით, რომელიც თავისი ბუნებით მხოლოდ კრედიტორის დაცვას ისახავს მიზნად.²⁶ თუმცა, ეს ვერ

იქნებოდა თავსებადი სოლიდარული ვალდებულებითი ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბებულ მაკომპენსირებელი სამართლიანობის იდეასთან.²⁷

ამის საილუსტრაციოდ უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილება, რომლის გარემოებები შეცვლილი ფორმით ისეა წარმოდგენილი,²⁸ რომ ქართულ სამართალშიც დაისვას შესაბამისი სამართლებრივი საკითხი.²⁹

მოპასუხე ლიზინგით აღებული ავტომობილის მფლობელია. ლიზინგის ხელშეკრულებით მან აიღო ვალდებულება, (ნამდვილობის შემთხვევაში) საჭირო სარემონტო სამუშაოები ავტომობილზე ჩაატაროს დაუყოვნებლივ. ლიზინგით აღებული ავტომობილი დაზიანდა სხვა ავტომობილთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. შემთხვევის გარემოებების გარკვევა შეუძლებელი იყო. თუმცა, წინასწარი პროცესის დროს საბოლოოდ დადგინდა, რომ მეორე სატრანსპორტო საშუალების მფლობელი საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის (StVG) მე-7 ნაწილიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის წყაროს გამო 100%-ით პასუხისმგებელი იყო ლიზინგის გამცემის, როგორც მესაკუთრის მიმართ წარმოშობილი ზიანისთვის. ეს ემყარება იმ ფაქტს, რომ ლიზინგის გამცემს, რომელიც ამავე დროს არ არის სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, არ უნდა შეერაცხოს ლიზინგით აღებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა (ე. წ. საექსპლუატაციო რისკი), როგორც მოთხოვნის შემ-

²² OLG Hamm, Beschluss vom 07.05.2015 - 32 SA 4/15 - MDR 2016, 117.

²³ BayObLG, Beschluss vom 21.10.1997 - 1 Z AR 72/97 - juris.

²⁴ BGH, Urteil vom 27.10.2020 - XI ZR 429/19 - NJW 2021, 550 (juris Rn. 18); BGH, Urteil vom 17. 10.2017 - VI ZR 423/16 - BGHZ 216, 149 (juris Rn. 19); BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 18); BGH, Urteil vom 28.11.2006 - VI ZR 136/05 - NJW 2007, 1208 (juris Rn. 17 ff.).

²⁵ BGH, Urteil vom 28.11.2006 - VI ZR 136/05 - NJW 2007, 1208 (juris Rn. 17 ff.).

²⁶ იხ. ძალიან თვალსაჩინოდ: BGH, Urteil vom 28.11.2006 - VI ZR 136/05 - NJW 2007, 1208 (juris Rn. 17 ff.). თუმცა უფრო დეტალური ახსნა აქ არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან გადაწყვეტილების გაგება შესაძლებელია მხოლოდ გერმანიის კანონმდებლობით არსებული ავტოტრანსპორტის პასუხისმგებლობის მზღვეველის

წინააღმდეგ პირდაპირი მოთხოვნის კარგად ცოდნის ფონზე.

²⁷ BGH, Urteil vom 28.11.2006 - VI ZR 136/05 - NJW 2007, 1208 (juris Rn. 18); შდრ. ასევე BGH, Urteil vom 29.06.1989 - IX ZR 175/88 - BGHZ 108, 179 (juris Rn. 23).

²⁸ გადაწყვეტილება ეხებოდა ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით გაცემულ ქონებას გერმანიის სამართლის მიხედვით; ნაცვლად ამისა, საფუძვლად გამოყენებული იქნა ლიზინგის ხელშეკრულება. შემდგომში, ავტოტრანსპორტის პასუხისმგებლობის მზღვეველის ნაცვლად მოსარჩელედ აირჩიეს ავარიაში მონაწილე სხვა სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, რომელიც გერმანიაში ექვემდებარება პირდაპირ გარე პასუხისმგებლობას სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის (VVG) 115-ე მუხლის მიხედვით.

²⁹ ეფუძნება: BGH, Urteil vom 27.10.2020 - XI ZR 429/19 - NJW 2021, 550.

ცირების საფუძველი.³⁰ მეორე სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ახლა მოპასუხისგან კომპენსაციის ნახევარს ითხოვს, რადგან მოპასუხე დაზარალებული ლიზინგის გამცემის მიმართ ასევე ვალდებული იყო, სარემონტო სამუშაოების დანაწესის საფუძველზე ავარიის შედეგად მიყენებული ზიანი გამოესწორებინა.

უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ³¹ მიიჩნია, რომ სარემონტო სამუშაოების დანაწესის საფუძველზე დავალდებულებული მოპასუხე და ავარიაში მონაწილე მეორე მანქანის მფლობელი არ არიან სოლიდარული მოვალეები. სოლიდარული პასუხისმგებლობა წინაპირობად ითვალისწინებს პასუხისმგებელ პირებს შორის მათი ვალდებულებების თანაბარი რანგირების გამო მიზნობრივ ერთიანობას.³² ასეთი არ არსებობს, თუ ერთი ვალდებულება არის სუბიდიური ან დაქვემდებარებული. ეს ეხება მოპასუხის მხრიდან სარემონტო სამუშაოების შესრულების სახელშეკრულებო ვალდებულებას, რადგან ეს არ არის დამოკიდებული რემონტის საჭიროების მიზეზზე; ის წარმოიქმნება მაშინაც, როდესაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციასთან საერთოდ არ არის კავშირში ან როდესაც ბრალის ელემენტი არ არსებობს. ეს გვიჩვენებს, რომ სალიზინგო ხელშეკრულებაში მოცემული სარემონტო სამუშაოების დანაწესი გამიზნულია ექსკლუზიურად და ცალმხრივად ლიზინგის გამცემის ინტერესების დასაცავად. მისი ინტერესი, მიიღოს საკუთრება, დაცულია სარემონტო სამუშაოების დანაწესით, მაშინაც კი, თუ არ არსებობს ზიანის გამოსწორების სხვა სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულება, მაგალითად, თუ ეს ეხება წმინდად ცვეთას და/ან თუ არავინ არის პასუხისმგებელი ზიანის დადგომისთვის.

ძირითად მოვალესა და თავდებს შორის სამართლებრივ ურთიერთობაში გერმანიაში უარ-

ყოფილია სოლიდარული პასუხისმგებლობის დანაწესების გამოყენება. ეს თავისთავად ცხადია იმ თავდების შემთხვევაში, რომელიც არ არის სოლიდარულად პასუხისმგებელი.³³ თუმცა სოლიდარული პასუხისმგებლობა ასევე უარყოფილია სოლიდარული პასუხისმგებლობის თავდებებთან მიმართებითაც, ვინაიდან თავდებობის ვალდებულება ემსახურება მხოლოდ კრედიტორის განთავისუფლებას ძირითადი მოვალის ვალაუვალობის რისკისგან და, გარდა ამისა, (სოლიდარული ვალდებულებისგან განსხვავებით) ყოველთვის ცალმხრივად არის დაკავშირებული ძირითადი ვალდებულების არსებობასთან.³⁴

შესაბამისად, თანაბარი რანგირების კრიტერიუმში ემსახურება ერთმანეთის გვერდით არსებული იმ მოთხოვნების სოლიდარული პასუხისმგებლობიდან ამორიცხვას, სადაც აშკარად აღარ არსებობს შიდა თანაბარი რანგირება. ამასთან, თანაბარი რანგირების არსებობას არ უშლის ხელს ის ფაქტი, რომ ზიანის შემთხვევისას ზიანის მომტან მოვლენასთან შესაბამის მოვალეებს განსხვავებული სიახლოვე აქვთ ან რომ ერთი მოვალე არის დამნაშავე აქტიური ქმედების გამო, ხოლო მეორე „მხოლოდ“ მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის (მაგ., საზედამხედველო ან კონტროლის ვალდებულების დარღვევა) გამოა პასუხისმგებელი. ამას ირიბად ადასტურებს გსკ-ის § 840 I, II, რომლებიც ეხე-

³⁰ BGH, Urteil vom 07.03.2017 - VI ZR 125/16 - WM 2017, 1002 (juris Rn. 13 ff.).

³¹ BGH, Urteil vom 27.10.2020 - XI ZR 429/19 - NJW 2021, 550 (juris Rn. 18)

³² ორიგინალში უზენაესი ფედერალური სასამართლო იყენებს ტერმინს დროებითი საზოგადოება (Tilgungsgemeinschaft), მაგრამ აქ - იმისთვის, რომ არ აგვერიოს - ტერმინი მიზნობრივი ერთიანობა იქნება ყველგან გამოყენებული.

³³ BGH, Urteil vom 19.01.2012 - IX ZR 2/11 - BGHZ 192, 221 (juris Rn. 16); BVerwG, Beschluss vom 12.03.2018 - 10 B 25/17 - BVerwGE 161, 255 (juris Rn. 11); ე.წ. Ausfallbürgschaft (თავდებობის სპეციფიკური ფორმა, როდესაც შესაძლებელია პირდაპირ თავდებს წაეყენოს მოთხოვნა, თუ კრედიტორი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ ძირითადი მოვალე გადახდისუნარიანია); Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 15.12.2010 - 4 U 156/09 - (juris Rn. 43).

³⁴ OLG Oldenburg, Urteil vom 28.09.2018 - 11 U 41/17 - juris Rn. 87; Staudinger/Stürner, BGB, (2020) §773 Rn. 5; Staudinger/Stürner, BGB, (2020) Vorbemerkung zu §§ 765 ff. Rn. 16; Prütting in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 765 BGB Rn. 22.

ბა დელიქტური სოლიდარული მოვალეობის შიდა ანგარიშსწორებას.³⁵

(4) სოლიდარული ვალდებულების სამართლის შესაბამისი გამოყენება

ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო პრაქტიკა იყენებს სოლიდარული ვალდებულების ნორმებს, თუ, მართალია, დადგენილი კრიტერიუმები არ არსებობს, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობა და ინტერესები შედარებადია სოლიდარული პასუხისმგებლობის კრიტერიუმებთან. თუმცა, ეს საკმაოდ ატიპური შემთხვევაა, ამიტომ ისინი მხოლოდ მოკლედ არის წარმოდგენილი სქოლიოში.³⁶

(5) ინდივიდუალურ მოთხოვნებს შორის მიმართება

როგორც სოლიდარული ვალდებულების არსებობა წინაპირობად არ აყენებს ერთნაირი შინაარსის მოთხოვნების არსებობას, ასევე სოლიდარული ვალდებულების არსებობა ხელს არ უშლის ინდივიდუალური მოთხოვნების სამართლებრივად განსხვავებულად განვითარებას. ისინი ასევე არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ისე, რომ მათი განხილვა მხოლოდ ერთობლივად ხერხდებოდეს ან სამართლებრივი დავის გადანაცვება მხოლოდ ერთიანად და შინაარსობრივად იდენტურად შეიძლებოდეს.

როგორც გსკ-ის §§ 422-ე და შემდგომ პარაგრაფებში არსებული რეგულაციები აჩვენებენ, არსებობენ როგორც ისეთი შემთხვევები, რომლებიც თავისი ბუნებით გავლენას ახდენენ ყვე-

ლა მოთხოვნაზე,³⁷ ასევე ისეთი შემთხვევები, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ შეცვლილ მოთხოვნაზე. მაგალითად, გსკ-ის § 425 II თანახმად, ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი შედეგით იზღუდება კონკრეტულად შემხებლობაში მყოფი მოთხოვნა. თუმცა, ამის პრაქტიკული შედეგები შერბილებულია იმით, რომ კომპენსაციის მოთხოვნა გსკ-ის § 426 I მიხედვით ექვემდებარება სპეციალურ ხანდაზმულობის წესებს, ანუ მასზე გავლენას არ ახდენს სოლიდარული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.³⁸ როგორც ქვემოთ სოლიდარული მოვალეობის წილის კომპენსაციის შესახებ უფრო დეტალურად არის ახსნილი,³⁹ სხვა სფეროებში ინდივიდუალური მოთხოვნების განსხვავებული განვითარების შედეგები ყოველთვის არ არის ისეთი მკაფიო, როგორც ხანდაზმულობის ვადის შემთხვევაში.

ასევე, ინდივიდუალური მოთხოვნები, ზოგადად პროცესუალურად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები, რაც აქტუალურია როგორც სავალდებულო საპროცესო მონაწილეობისთვის, ასევე სასამართლო გადანაცვებების სამართლებრივი მოქმედების ეფექტისთვის.⁴⁰ სოლიდარული ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს, რომ კრედიტორს სურვილისამებრ შეუძლია განკარგოს ინდივიდუალური მოთხოვნები. მას ასევე შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გადანაცვლოს, სურს თუ არა და რა ზომით დააყენოს ინდივიდუალური მოთხოვნები სასამართლოში.⁴¹ კერძოდ, კრედიტორს არ სჭირდება, გაითვალისწინოს, თუ რომელი სოლიდარული მოვალეობა კომპენსაციის გადახდაზე ვალდებული შიდა ურთიერთობა-

³⁵ Rüßmann in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 840 BGB Rn. 2.

³⁶ BGH, Versäumnisurteil vom 14.03.2014 - V ZR 218/13 - MDR 2014, 644, გამქირავებლის მოთხოვნა ერთი მხრივ, არაკეთილსინდისიერი მოქირავანის და მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი ქვემოქირავანის მიმართ, მიღებული სარგებლის გამოთხოვის შესახებ.

BGH, Urteil vom 29.09.2015 - II ZR 403/13 - BGHZ 207, 54 Rn. (juris 17 ff.)

BGH, Urteil vom 17.10.2017 - VI ZR 423/16 - BGHZ 216, 149 (juris Rn. 35 f.f.). ეს გადანაცვლები აქ არ არის წარმოდგენილი, რადგან მისი გავება შეუძლებელია გერმანული სოციალური და პასუხისმგებლობის დაზღვევის კანონის ცოდნის გარეშე.

³⁷ სამართლებრივ-დოგმატური თვალსაზრისით, საინტერესოა II 2. ბ)ბბ)(2) ქვეპუნქტით განხილული ვალდებულების შესრულებისას დამხმარე პირის (Erfüllungsgehilfe) შერეული ბრალის შერაცხვის საკითხი, თუნდაც ამ თემას საქართველოში პრაქტიკული გავლენა არ ჰქონდეს.

³⁸ იხილეთ ქვემოთ III. 1. ა).

³⁹ იხილეთ ქვემოთ III. 1. გ).

⁴⁰ იხილეთ ქვემოთ III. 1. დ).

⁴¹ BGH, Urteil vom 16.12.2009 - XII ZR 146/07 - BGHZ 184, 35 (juris Rn. 30); BGH Urteil vom 22.01.1991 - XI ZR 342/89 - NJW 1991, 1289 (juris Rn. 22). თუმცა, გერმანიაში არ არსებობს სკ-ს 469-ე მუხლის მსგავსი საკანონმდებლო რეგულაცია.

ში.⁴² მხოლოდ განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევებში ზღუდავს კეთილსინდისიერება (გსკ-ის § 242-ე პარაგრაფი) კრედიტორის თავისუფალ გადაწყვეტილებას.⁴³ ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სოლიდარული მოვალე, რომლის მიმართაც სარჩელია აღძრული, გამკიცხველი გარემოებებიდან ანუ ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარე მიზანმიმართულად დაზარალებულა.⁴⁴

თუმცა, ინდივიდუალური მოთხოვნების ეს სამართლებრივი დამოუკიდებლობა წინაპირობად მოითხოვს, რომ ისინი ნამდვილი სოლიდარული ვალდებულებებისთვის გსკ-ის §421-ე პარაგრაფის გაგებით ერთმანეთთან დაკავშირებულები იყვნენ. მეორე მხრივ, თუ არსებობს თანაზიარი ვალდებულება, მოთხოვნათა საზიარო კავშირიდან წარმოშობილ ზოგადსამართლებრივ პრინციპებს, როგორებიცაა ერთიანი შესაძლო განკარგვა ან სავალდებულო საპროცესო მონაწილეობა, უპირატესობა ენიჭება. ამ ეტაპზე შეუძლებელია საზიარო ვალდებულებების სავალდებულო წინაპირობების დეტალურად გაცნობა. უმეტეს შემთხვევაში, ეს საზიარო ვალდებულება გამომდინარეობს სანივთო და სამემკვიდრეო სამართლის დებულებებიდან. მათი ბუნების თავისებურებიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო მოთხოვნები ასევე შეიძლება იყოს საზიაროდ დაკავშირებული, მაგალითად, თუ მათი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ პირადად და ერთობლივად ვალდებული პირების მიერ.⁴⁵ გადახდის მოთხოვნამ მისი გაყოფადობის გამო, არ შეიძლება გამოიწვიოს

თანაზიარი ვალდებულება;⁴⁶ და აღნიშნული მაშინაც კი შეუძლებელია, როდესაც ის გამონკეულია თანაზიარად დაკავშირებული ძირითადი ვალდებულების დარღვევით.

უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთდამთხვევის (Konfusion) შედეგები საბოლოოდ არ არის გარკვეული.⁴⁷ უპირატესად ვარაუდობენ, რომ გსკ-ის § 422 I შესაბამისად დამთხვევის (Konfusion) შედეგად, გარე ეფექტების გათვალისწინებით ვალდებულება შესრულებად უნდა ჩაითვალოს და მოვალეს, რომლის მიმართაც მოხდა მსგავსი უფლებებისა და ვალდებულებების გაერთიანება, წარმოეშობა გსკ-ის § 426-ე პარაგრაფის მიხედვით წილის კომპენსაციის მოთხოვნა. ზოგიერთ შემთხვევაში, შესრულების ეფექტი შემოიფარგლება მოვალის შიდა პასუხისმგებლობის წილზე, რომლის მიმართაც ეს დამთხვევა (Konfusion) ხდება. ის ამის შემდგომ იკავებს წინა კრედიტორის სამართლებრივ ადგილს დარჩენილი მოთხოვნის ოდენობით.⁴⁸

ბბ) ქართული მონესრიგება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლით დადგენილი წინაპირობები

ვალდებულებაში მოვალე პირთა სიმრავლის ორი ფორმა არსებობს: წილადი და სოლიდარული.⁴⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის მე-7 კარის სახელწოდებაა: „კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში“, თუმცა მისი პირველი თავის ნორმები შეეხება

⁴² BGH, Urteil vom 22.01.1991 - XI ZR 342/89 - NJW 1991, 1289 (juris Rn. 22).

⁴³ BGH, Urteil vom 16.12.2009 - XII ZR 146/07 - BGHZ 184, 35 (juris Rn. 31)

⁴⁴ BGH, Urteil vom 18.06.2007 - II ZR 86/06 - BGHZ 173, 1 (juris Rn. 15); BGH, Beschluss vom 22.05.1984 - III ZR 75/83 - WM 1984, 906 (juris Rn. 6); შდრ. თუმცა ასევე გსკ-ის § 650თ და შემდგომი განმარტებები ქვემოთ II. 1. 2. ა)აა(2),

⁴⁵ მაგალითად, მუსიკალური ანსამბლის შემთხვევა, რომელმაც უნდა შესრულოს კვარტეტი; შდრ. Rüßmann in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 420 BGB Rn. 8.

⁴⁶ Rüßmann in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 420 BGB Rn. 11.

⁴⁷ Rüßmann in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 425 BGB Rn. 14.

⁴⁸ შდრ. მოსაზრებები: Rüßmann in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 425 BGB Rn. 14; Staudinger/Looschelders (2017) BGB § 425 Rn. 65 ff.; Böttcher in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 425 BGB Rn. 13.

⁴⁹ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 605, Überbl. v § 420, Rn 5-6.

მხოლოდ სოლიდარულ კრედიტორებს, მე-2 თავის რეგულაცია კი ეთმობა სოლიდარულ მოვალეებს. ვალდებულ პირთა სიმრავლის შემთხვევაში, როგორც წესი, სახეზეა სოლიდარული ვალდებულების ფორმა და ის ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა.⁵⁰ წილადი ვალდებულების ფორმის ზოგად მოწესრიგებას კანონი დეტალურ ყურადღებას არ უთმობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს წილადი ვალდებულების ცნებას. ცალკეული ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარეობს, წილადი ხასიათისაა იგი თუ - სოლიდარული. წილადი ვალდებულების ფორმის ხასიათი და მისი განსხვავება სოლიდარული ვალდებულებისგან ასახულია სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ დებულებებში, როგორიცაა, მაგალითად, 1484-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული მემკვიდრეთა ვალდებულება მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე, სადაც მემკვიდრეები საკუთარი წილის პროპორციულად აგებენ პასუხს მამკვიდრებლის ვალდებულებისათვის კრედიტორის წინაშე.

წილადი ვალდებულება სახეზეა, როდესაც შესრულება არის დაყოფადი. კრედიტორს ცალკეული მოვალის მიმართ აქვს დამოუკიდებელი მოთხოვნა მის წილ შესრულებაზე.⁵¹

სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორს შეუძლია, შესრულება მთლიანად ან ნაწილობრივ მოითხოვოს ნებისმიერი მოვალისგან თავისი შეხედულებისამებრ (465-ე მუხლის პირველი წინადადება), მაგრამ მას შესრულების მიღება მხოლოდ ერთხელ შეუძლია.⁵² სოლიდარული ვალდებულება ყველაზე უსაფრთხო ფორმაა კრედიტორისთვის.⁵³ ყველა მოვალე მთლიან

შესრულებაზეა პასუხისმგებელი.⁵⁴ წილადი ვალდებულებისგან განსხვავებით, სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორი მაშინაც შეძლებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, თუკი მხოლოდ ერთი მოვალე აღმოჩნდება გადახდისუნარიანი.⁵⁵

„წილადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, თითოეული სოლიდარული მოვალე მთლიანი ვალდებულების შესრულებაზეა პასუხისმგებელი, რის გამოც კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისათვის სოლიდარულ მოვალეთა ბრალის ხარისხსა და სიმძიმეს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამ გარემოებამ შესაძლოა, გავლენა იქონიოს სოლიდარულ მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობაზე სკის 473-ე მუხლით გათვალისწინებულ უკუმოთხოვნათა უფლების რეალიზაციისას“.⁵⁶

„სწორედ ის ფაქტი, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში მონაწილე რამდენიმე პირთაგან თითოეულს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება, ანდა თითოეული მთლიანი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, განასხვავებს სოლიდარულ ვალდებულებას წილადი ვალდებულებისაგან“.⁵⁷

მაგალითად, როდესაც შემკვეთს ხელშეკრულება აქვს დადებული რამდენიმე მენარდესთან, თუ მათ მიერ შესასრულებელი ვალდებულებები განუყოფელია, ისინი პასუხს აგებენ კრედიტორის წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები, ხოლო თუ შესრულების საგანი დაყოფადია, მაშინ მათ ეკისრებათ წილადი ვალდებულება.⁵⁸ წილადი ვალდებულების დროს

Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 606, § 421, Rn 1.

⁵⁴ *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 606, § 421, Rn 1.

⁵⁵ *რობაქიძე*, ი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, გვ. 961, ველი 2, შემდგომი მითითებით: *Looschelders/Looschelders*, Schuldrecht AT, 16. Aufl. 2018, S. 460, Rn 18; იხ. *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 606, § 421, Rn 1.

⁵⁶ იხ. სუსგ 19.06.2015 #ას-1037-995-2014.

⁵⁷ იხ. სუსგ 06.05.2015 #ას-1307-2014.

⁵⁸ *ძლიერიშვილი*, ზ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, მუხლი 632, ვე-

⁵⁰ *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, 63. Neubearbeitete Aufl. 2004, S. 605, Überbl. V § 420, Rn 6.

⁵¹ *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 605, Überbl. v § 420, Rn 5; იხ. სუსგ 06.05.2015 #ას-1307-2014.

⁵² *Palandt*, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 606, § 421, Rn 1.

⁵³ *რობაქიძე*, ი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, გვ. 961, ველი 2, შემდგომი მითითებით: *Müller*, in *Prütting / Wegen / Weinreich*, BGB Kommentar, 5. Aufl. § 421, Rn 1; *Zerres*, Die Gesamtschuld, in: Jura, 2008, S. 726; იხ.

თითოეული მოვალე ვალდებულია, შეასრულოს მხოლოდ თავისი წილის ფარგლებში.⁵⁹ წილადი ვალდებულება შეიძლება იყოს მხოლოდ გაყოფადი ვალდებულება.⁶⁰ წილადი ვალდებულება მინიმუმ ორი დამოუკიდებელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობისგან შედგება, რომლებსაც საერთო სამართლებრივი საფუძველი გააჩნიათ.⁶¹

თუკი შესრულების საგანი განუყოფელია, თითოეული თანამენარდე სრულად არის პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე. მათი ვალდებულება სოლიდარულია.⁶²

თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული.⁶³ მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არის დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნის. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ნიშნავს მთლიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დასასრულს და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას, რომელიც მას ვალდებულებ-

ის შესრულების მიმართ გააჩნდა. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულება ეკისრება.⁶⁴

„სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელნი. გარდა ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე იყვნენ ვალდებულნი. ამასთან, მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა სამართლებრივ საფუძველს ემყარება თითოეულის ვალდებულება კრედიტორის წინაშე.“⁶⁵

თითოეულ მოვალეს კრედიტორის მიმართ ეკისრება ვალდებულება დამოუკიდებელი საფუძველით. სოლიდარულ ვალდებულებას წარმოშობს გარიგება, კანონისმიერი საფუძველი ან ვალდებულების საგნის განუყოფელობა (მუხლი 464).⁶⁶ თითოეული მათგანის ცალკეული მაგალითებია:

გარიგება (მაგ., თანამსესხებლები საკრედიტო ურთიერთობაში), კანონისმიერი საფუძველი (მაგ., სახელმწიფოს სოლიდარული პასუხისმგებლობა მოხელის მიერ მიყენებული ზიანისთვის), ვალდებულების საგნის განუყოფელობა. განუყოფელი ვალდებულების მოვალეები განიხილებიან სოლიდარულ მოვალეებად⁶⁷ (ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ავტომანქანის მფლობელის და მძღოლის მიმართ).

იმისათვის, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვას, აუცილებელია, რომ რამდენიმე პირმა სოლიდარულად იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე.⁶⁸ კრედიტორთან ხელშეკრულება მოვალეებმა შესაძლოა ერთდროულად ან ცალ-ცალკე გააფორმონ. შესაძლებელია, კრე-

ლი 10; <http://www.gccc.ge/> [ბოლო გადამონმების თარიღი 15.01.2022].

⁵⁹ იხ. იქვე, ველი 9; შემდგომი მითითებით: *Brox/Walker, Allgemeines Schuldrecht*, 32. Auflage, München, 2007, S 427; იხ. *რობაქიძე, ი. სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, თბილისი, 2014*, ავტორთა ჯგუფი, რედ. ჯუღელი, გ., გვ. 711, შემდგომი მითითებით: *Dauner-Lieb / Langen / Völkemann-Stickelbrock*, § 420 Rn 7; *Ermann/L. Böttcher*, § 420 Rn 6.

⁶⁰ იხ. იქვე, ველი 9-10, შემდგომი მითითებით: *Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Band I, AT*, 14. Aufl. S 564.

⁶¹ *რობაქიძე, ი. სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, თბილისი, 2014*, ავტორთა ჯგუფი, რედ. ჯუღელი, გ., გვ. 711, შემდგომი მითითებით: *Larenz, I*, §36 I, S 564.

⁶² *ძლიერიშვილი, ზ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2017*, ავტორთა ჯგუფი, მუხლი 632, ველი 12. <http://www.gccc.ge/> [ბოლო გადამონმების თარიღი 15.01.2022].

⁶³ *კროფტოლერი, ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014*, გვ. 305, ველი 11.

⁶⁴ იხ. სუსგ 06.05.2015 #ას-1307-2014.

⁶⁵ იხ. სუსგ 06.05.2015 #ას-1307-2014.

⁶⁶ იხ. სუსგ 06.05.2015 #ას-1307-2014.

⁶⁷ *კროფტოლერი, ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014*, გვ. 302, ველი 8.

⁶⁸ იხ. სუსგ 25.06.2021 #ას-467-2020.

დიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთი მოვალე სოლიდარული ვალდებულების შეთანხმების შემდეგ შევიდეს ვალდებულებაში სოლიდარულ მოვალედ. მთავარია კრედიტორთან გაფორმებული შეთანხმება ნათლად ადასტურებდეს თითოეული მოვალის სურვილს - სხვა მოვალეებთან ერთად სოლიდარულად აგონ კრედიტორის წინაშე პასუხი.⁶⁹ სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კრედიტორს საკუთარი სურვილისამებრ მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლია ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება დანარჩენებსაც ათავისუფლებს შესრულების ტვირთისაგან.⁷⁰

სოლიდარული ვალდებულების დასადგენად აუცილებელია, დადგინდეს შემდეგი წინაპირობები: 1) მოთხოვნა უნდა წარედგინებოდეს რამდენიმე მოვალეს; ამავდროულად, ყველა მოვალე ვალდებული უნდა იყოს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ; 2) კრედიტორს მოთხოვნის შესრულების მიღება მხოლოდ ერთხელ შეუძლია; 3) შესრულების ინტერესი თითოეული მოვალის მიმართ უნდა იყოს იდენტური. სხვადასხვა მოცულობის ვალდებულებები შეიძლება იყოს სოლიდარული, თუკი ისინი ურთიერთმფარავია. ამასთან, ერთი შესრულება შეიძლება, მოიცავდეს პირვანდელი მდგომარეობის ნატურით აღდგენას, მეორე კი - ფულად ანაზღაურებას. შესაძლოა, ძირითადი შესრულების ნაწილში მოვალეები არ იყვნენ სოლიდარულად ვალდებული, თუმცა, ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ მათი ვალდებულება იყოს სოლიდარული.⁷¹

სოლიდარული ვალდებულების დასადგენად მნიშვნელოვანია, დასტურდებოდეს მხარეთა ნება, რომ ერთ-ერთი მოვალის მიერ შესრულება ვალდებულებისგან ათავისუფლებს სხვა მოვალეებსაც (467-ე მუხლის პირველი წინადადება).⁷² სადავოობისას, რამდენიმე პირის ვალდებულება მიიჩნევა სოლიდარულ ვალდებულებად.⁷³

ბ) ამორჩეული სპეციალური გერმანული ნორმები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიაში უამრავი სპეციალური რეგულაცია არსებობს, მაგრამ ისინი ძირითადად მხოლოდ წარმოდგენილ ზოგად პრინციპებს აკონკრეტებენ.

ა) გერმანული სამართლებრივი მოწესრიგება გსკ-ის § 427-ე პარაგრაფის შემთხვევაში

ერთობლივად დადებული სახელშეკრულებო ვალდებულების შემთხვევაში მხარეთა ობიექტური ინტერესები და სავარაუდო ნება, გსკ-ის § 427-ე პარაგრაფის კანონისმიერი პრეზუმფციის შესაბამისად, როგორც წესი, ნიშნავს იმას, რომ უნდა წარმოიქმნას სოლიდარული ვალდებულება. თუმცა, სამშენებლო პროექტების მოწყობა დიფერენცირდება შემდეგნაირად:

თუ სამშენებლო კომპანიებს, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ, როგორც სახელშეკრულებო პარტნიორები, სურთ, შეიძინონ ერთობლივი საკუთრება ან თანამფლობელობა მთლიან ობიექტზე, მათ ინტერესებს გსკ-ის § 427-ე პარაგრაფის განმარტების წესი შეესაბა-

⁶⁹ რობაქიძე, ი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, გვ. 968-969, ველი 5, შემდგომი მითითებებით: Gehrlein, in Bamberger/Roth, BGB Komm. 3. Aufl. Band 1 §421 Rn 4; Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar Schuldrecht 3/3 13. Aufl. §421 Rn 6; იხ. სუსგ 25.06.2021 #ას-467-2020.

⁷⁰ იხ. სუსგ 25.06.2021 #ას-467-2020.

⁷¹ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 606, § 421, Rn 3-5.

⁷² რობაქიძე, ი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, გვ. 969, ველი 6, შემდგომი მითითებებით: Böttcher, in Ermann, BGB Komm., 14. Aufl. § 421, Rn 20.

⁷³ კროფჰოლერი, ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, გვ. 302, ველი 8.

მება.⁷⁴ ანალოგიური წესი მოქმედებს ასეთი სამშენებლო კომპანიების გაერთიანების შემთხვევაში, არა მხოლოდ სამშენებლო კომპანიასთან ნარდობის ხელშეკრულებების გაფორმებისას, არამედ ბანკებთან ერთობლივად დადებულ სასესხო ხელშეკრულებებთან მიმართებითაც.⁷⁵

მეორე მხრივ, ბინის მესაკუთრეები, რომლებიც ბინების საკუთრების შესახებ კანონის (WEG) (შდრ. საქართველოს კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ) საფუძველზე აწყობენ ფართს, პასუხისმგებელნი არიან ნარმოების ხარჯებზე მხოლოდ ნილობრივად.⁷⁶ ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, რას ეხება თითოეული შესასრულებელი სამუშაო, რა ფარგლები აქვს მას და ფინანსურად რამდენად უნარიანი არიან ცალკეული ბინების მესაკუთრეები.⁷⁷ იგივე პრინციპები ვრცელდება არსებული ამხანაგობის ფართის ფუნდამენტურ განახლებაზე.⁷⁸

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ⁷⁹ ეს ძირითადად იმით გაამართლა, რომ საცხოვრებელი ფართის შექმნისკენ მიმართული შენობის პროექტის მოწყობაში სოლიდარული პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული რისკი, როგორც წესი, ბინის ცალკეული მესაკუთრეთათვის გონივრულ ფარგლებს ეკონომიკურადაც და სოციალურადაც ბევრად აღემატებოდა. როდესაც ბინის მეპატრონეები სამშენებლო

კომპანიასთან ასეთ ნარდობის ხელშეკრულებას აფორმებენ, მისთვის ცხადია, რომ მესაკუთრეებს არ სურთ ასეთი რისკის განევა. მისთვის ასევე სავარაუდოა, რომ ბინის მესაკუთრეებს ნილობრივი ვალდებულება აკისრიათ და მის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის თითოეული ბინის მესაკუთრე მისი შიდა ნილის მიხედვით გადაიხდის.

უმაღლესი სამხარეო სასამართლოების პრაქტიკაში აღნიშნული ასევე განივრცობა იმაზე მითითებით, რომ ეს ეხება არა მხოლოდ დიდ საცხოვრებელ კომპლექსებს, არამედ სამშენებლო გაერთიანებას, რომელსაც სურს ააშენოს პატარა კომპლექსი ორი საცხოვრებელი ერთეულით. გადამწყვეტი ერთადერთი ფაქტორია, შეუძლია თუ არა სამშენებლო კომპანია მიხედვით, რომ ნარდობის ხელშეკრულებას მომავალ ბინის მესაკუთრეებთან აფორმებს.⁸⁰

თუმცა, ასეთი შიდა მონაწილეობაზე დაფუძნებული ნილობრივი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ძირითადად მხოლოდ ე.წ. სამშენებლო ხარჯებზე ანუ შენობის პროექტის მოწყობისა და კაპიტალურ სარემონტო ხარჯებზე.⁸¹ მეორე მხრივ, თუ ბინის მესაკუთრეები ერთობლივად დადებენ კონტრაქტებს, რომლებიც ემსახურება ექსპლუატაციისა და მუდმივი გამოყენების მიზანს (ე.წ. საოპერაციო ან ადმინისტრაციული ხარჯები), ჩვეულებრივ, სოლიდარული პასუხისმგებლობა არსებობს.⁸² სიტუაცია განსხვავებულია, როდესაც (ბინების საკუთრების შესახებ კანონის (WEG) § 9a მუხლის 1-ელი აბზაცის მიხედვით უფლებაუნარიანი) ამხანაგობის გაერთიანება მოქმედებს, როგორც სახელშეკრულებო პარტნიორი; მაშინ ცალკეული ბინების მესაკუთრეები ვალდებულნი არიან,

⁷⁴ BGH, Beschluss vom 29.06.1989 - III ZR 165/88 - juris Rn. 4; BGH, Urteil vom 08.12.1988 - VII ZR 242/87 - NJW-RR 1989, 465 (juris Rn. 8 f.).

⁷⁵ BGH, Beschluss vom 29.06.1989 - III ZR 165/88 - juris Rn. 4.

⁷⁶ რა თქმა უნდა, სოლიდარული პასუხისმგებლობა რჩება ცალკეული საცხოვრებელი ფართების ერთობლივ მესაკუთრეებს შორის.

⁷⁷ BGH, Urteil vom 21.01.2002 - II ZR 2/00 - BGHZ 150, 1 (juris Rn. 14); BGH, Urteil vom 18.06.1979 - VII ZR 187/78 - BGHZ 75, 26 (juris Rn. 5 ff.); BGH, Urteil vom 29.09.1959 - VIII ZR 105/58 - NJW 1959, 2156 (juris Rn. 17 f.).

⁷⁸ OLG Köln, Urteil vom 06.03.2002 - 17 U 100/00 - NZM 2002, 625 (juris Rn. 77); თუმცა, ეს ინვესტორ გარკვეულ გამიჯვნის პრობლემებს პრაქტიკაში სარემონტო სამუშაოებში.

⁷⁹ BGH, Urteil vom 18.06.1979 - VII ZR 187/78 - BGHZ 75, 26 (juris Rn. 5 ff.).

⁸⁰ OLG Stuttgart, Urteil vom 16.11.2010 - 10 U 77/10 - NJW-RR 2011, 527 (juris Rn. 22 ff.).

⁸¹ Lafontaine in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl., (2020) § 9a WEG Rn. 19; შდრ. მრავალ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით: OLG Köln, Urteil vom 06.03.2002 - 17 U 100/00 - NZM 2002, 625 (juris Rn. 77).

⁸² სანავი საერთო შეკვეთისთვის: BGH, Urteil vom 29.06.1977 - VIII ZR 23/76 - MDR 1978, 134 (juris Rn. 6 ff.); შდრ. კომუნალურ ხარჯებთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 22.03.2012 - VII ZR 102/11 - BGHZ 193, 10 (juris Rn. 24).

გადახადონ მხოლოდ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების პროპორციული წილი გარე ურთიერთობებში ბინების საკუთრების შესახებ კანონის (WEG) § 9a მუხლის მე-4 აბზაცის შესაბამისად.⁸³

თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებთან (იურისტები, საგადასახადო კონსულტანტები, არქიტექტორები და ა.შ.) გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობების შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა მიდის იმ ტენდენციით, რომ იურიდიული ფირმის ბლანკზე მითითებული ყველა პირი არის სახელშეკრულებო პარტნიორი.⁸⁴ თუმცა, სიტუაცია განსხვავებულია იურისტებისა და საგადასახადო კონსულტანტებისთვის, თუ ცალკეული საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ საკონსულტაციო ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხოლოდ ერთ ადვოკატთან ან საგადასახადო კონსულტანტთან. ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება მაშინ იყოს სახეზე, თუ დავალება შესრულებულია ამ იურისტის ან საგადასახადო კონსულტანტის განსაკუთრებული კვალიფიკაციის ან მისდამი განსაკუთრებული პირადი ნდობის გათვალისწინებით. აღნიშნული არ იცვლება მოჩვენებითი მინდობილობის (Anscheinsvollmacht) ან თმენის საფუძველზე მოქმედი მინდობილობების (Duldungsvollmacht) მიხედვით შემუშავებული პრინციპების საფუძველზე, თუ გარე ურთიერთობებში ერთად მოქმედი იურისტები ან საგადასახადო კონსულტანტები ფაქტობრივად არ ქმნიან იურიდიულ ფირ-

მას, მაგრამ გაერთიანდნენ და ქმნიან წმინდა საოფისე საზოგადოებას, ან თუ საადვოკატო ფირმის ყოფილმა წევრმა მანამდე დატოვა საადვოკატო ბიურო და არ მიუღია ყველა გონივრული ღონისძიება, რათა არ გამოჩენილიყო მისი შემდგომი კავშირი იურიდიულ ფირმასთან.⁸⁵

მსგავსი სამართლებრივი ვითარებაა ერთობლივი კლინიკის შემთხვევაში სამედიცინო სფეროში. თუმცა, თუ სხვადასხვა სპეციალობის ექიმები შეიკრიბნენ ერთობლივი კლინიკის დასაფუძნებლად, ეს სოლიდარული ვალდებულებები ეხება მხოლოდ ერთი და იმავე სპეციალობის ექიმებს.⁸⁶ ეს ემყარება - მარტივად რომ ვთქვათ - ვარაუდს, რომ პაციენტს გონივრული მოლოდინის ფარგლებში ხელშეკრულების დადება სურს იმ ექიმებთან, რომლებსაც გააჩნიათ მისთვის საჭირო სპეციფიკური კომპეტენცია.⁸⁷

ბბ) გერმანული სამართლებრივი მოწესრიგება გსკ-ის § 840 I შემთხვევაში

(1) გამოყენების სფერო

გსკ-ის § 840 I ითვალისწინებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ თანამონაწილეთა, წამქეზებელთა და დამხმარეთათვის (იხ. გსკ-ის § 830-ე პარაგრაფი; არსებითად შესადავრებლად სკ-ის 998 II 1 და 2 ალტერნატივები), არამედ ე.წ. დამატებითი ამსრულებლებისთვის (Nebentäter), ანუ ზიანის მიმყენებლებისთვის, რომლებმაც თავიანთი დამოუკიდებელი ქმედებით ხელი შეუწეეს ზიანის დადგომას. ერთადერთი წინაპირობაა, რომ თითოეულმა ზიანის

⁸³ ამასთან: Lafontaine in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 9a WEG Rn. 268.

⁸⁴ ეს კითხვა ეხება არა წილობრივი და სოლიდარული პასუხისმგებლობის განსხვავებას, არამედ საკითხს, თუ რომელი პირები არიან სოლიდარული მოვალეები. თუმცა მჭიდრო ფაქტობრივი კავშირის გამო აქაც განიხილება. ამ თემაზე: BGH, Urteil vom 10.03.1988 - III ZR 195/86 - NJW-RR 1988, 1299 (juris Rn. 8); BGH, Urteil vom 24.01.1991 - IX ZR 121/90 - NJW 1991, 1225 (juris 10); BGH, Urteil vom 16.04.2008 - VIII ZR 230/07 - NJW 2008, 2330 (juris Rn. 10), იმ მითითებით, რომ ეს პრინციპები ვრცელდება მხოლოდ საადვოკატო საქმიანობაზე, მაგრამ არა იურიდიული ფირმის სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. უფრო დეტალურად: Böttcher in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 421 BGB Rn. 21.

⁸⁵ BGH, Urteil vom 24.01.1991 - IX ZR 121/90 - NJW 1991, 1225 (juris Rn. 10).

⁸⁶ BGH, Urteil vom 29.06.1999 - VI ZR 24/98 - BGHZ 142, 126 (juris Rn. 36 ff.); BGH, Urteil vom 16.05.2000 - VI ZR 321/98 - BGHZ 144, 296 (juris Rn. 31 ff.); BGH, Urteil vom 25.03.1986 - VI ZR 90/85 - BGHZ 97, 273 (juris Rn. 12 ff.).

⁸⁷ თუმცა, ეს ეხება მხოლოდ სამედიცინო მომსახურებას. მეორე მხრივ, ეჭვის შემთხვევაში, ერთობლივ კლინიკასთან დაკავშირებული ყველა ექიმი პასუხისმგებელია მოძრაობის უსაფრთხოების ვალდებულებებზე და ქცევის სხვა ზოგად წესებზე; შდრ. Böttcher in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 421 BGB Rn. 21.

მომტანმა ქმედებამ გამოიწვიოს ერთიანი ზიანი და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის მატარებელი პირის ინდივიდუალური წვლილი ველარ გაიმიჯნოს.⁸⁸ ამის მაგალითი შეიძლება იყოს, შემთხვევა, როდესაც მშობლის მხრიდან ზედამხედველობის მოვალეობის დარღვევამ და მესამე მხარის არასათანადო საქციელმა ერთად გამოიწვია ბავშვისთვის ზიანი.⁸⁹ გსკ-ის § 840 I-ის საკმაოდ ფართო ინტერპრეტაცია ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პრაქტიკა თითქმის ყოველთვის სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობას ვარაუდობს, თუ სხვადასხვა საზიანო ქმედების ურთიერთქმედებამ გამოიწვია ერთიანი ზიანი.⁹⁰

გარდა გსკ-ის § 840 I-ის სიტყვასიტყვითი განმარტებისა, ნორმა ასევე გამოიყენება მისი ნორმატიული მიზნის გათვალისწინებით, თუ უკანონო ქმედება ემთხვევა მომეტებული საფრთხის შემთხვევებს⁹¹ ან სახელშეკრულებო მოვალეობის⁹² დარღვევას.

(2) სამართლებრივი შედეგები შერეული ბრალის არსებობისას

დასაწყისისთვის, ეჭვგარეშეა, რომ დაზარალებულის შერეული ბრალის შემთხვევაში, მისი მოთხოვნა მცირდება სოლიდარული ვალდებუ-

ლებების არსებობის დროსაც გსკ-ის § 254-ის ზოგადი პრინციპების შესაბამისად (შდრ. სკ-ის 415 I).

გსკ-ის § 254-ით მოაზრებული ზიანის შესაბამისი კომპენსირება მოითხოვება მაშინ, თუ შერეული ბრალი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ არსებობს.⁹³ ამას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნები ერთდროულად არსებობს. თუ, მაგალითად, ზიანის შემთხვევა ვალდებულების შესრულებისას დამხმარის (Erfüllungsgehilfe) შერეული ბრალით დადება, აღნიშნული შეერაცხება დაზარალებულ მხარეს სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში გსკ-ს § 254 II, 2, § 278 პარაგრაფების (შდრ. სკ-ს 396-ე მუხლი) შესაბამისად.⁹⁴ თუ დამატებით ასევე არსებობს იმავე დელიქტური შემთხვევის გამო დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, ამ სამართლებრივ ურთიერთობაში ვალდებულების შესრულებისას დამხმარის (Erfüllungsgehilfe) შერეული ბრალი იზოლირებულად უნდა იქნეს შერაცხული გსკ-ის § 831-ე პარაგრაფის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ ვალდებულების შესრულებისას დამხმარე (Erfüllungsgehilfe) ასევე არის მუშაკი (Verrichtungsgehilfe) და დაზარალებული მხარე ვერ ამტკიცებს საწინააღმდეგოს.⁹⁵ თავად სოლიდარული პასუხისმგებლობის არსიდან გამო-

⁸⁸ *Wilhelmi* in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 840 BGB Rn. 3.

⁸⁹ BGH, Urteil vom 16.01.1979 - VI ZR 243/76 - BGHZ 73, 190 (juris Rn. 10 ff.).

⁹⁰ არსებობს გამონაკლისები ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნასა და მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების მოთხოვნას შორის (Aufopferungsanspruch): BGH, Urteil vom 26.10.1978 - III ZR 26/77 - BGHZ 72, 289 (juris Rn. 34); ნილის კომპენსაციის მოთხოვნისას სამეზობლო ურთიერთობებში არსებობს სოლიდარული ვალდებულებები: BGH, Urteil vom 26.11.1982 - V ZR 314/81 - BGHZ 85, 375 (juris Rn. 29 ff.).

⁹¹ BGH, Urteil vom 13.12.2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896 (juris Rn. 11); BGH, Urteil vom 21.11.1953 - VI ZR 82/52 - BGHZ 11, 170 (juris Rn. 11 ff.).

⁹² *Rüßmann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 840 BGB Rn. 6; სამართლებრივ-დოგმატურად ნაწილობრივ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ლიტერატურაში: Staudinger/Vieweg (2015) BGB § 840 Rn. 15.

⁹³ *Wilhelmi* in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 840 BGB Rn. 5.

⁹⁴ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გსკ-ის 254 II, 2 ასევე ვრცელდება გსკ-ს 254 I პარაგრაფზეც, როგორც სამართლებრივ საფუძველზე; შდრ. BGH, Urteil vom 29.04.1953 - VI ZR 63/52 - BGHZ 9, 316 (juris Rn. 5); BGH, Urteil vom 10.07.2007 - VI ZR 199/06 - BGHZ 173, 182 (juris Rn. 15); BGH, Urteil vom 01.03.1988 - VI ZR 190/87 - BGHZ 103, 338 (juris Rn. 13); დეტალურად: *Rüßmann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/ Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 254 BGB Rn. 24; Ebert in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 254 BGB Rn. 72.

⁹⁵ გერმანიის სამართლებრივ სიტუაციასთან დაკავშირებით იხ. 49-ე სქოლიოში გადანაცვლებები და მოკლედ: *Rüßmann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 254 BGB Rn. 23 ff.

მდინარე, ვალდებულების შესრულებისას დამხმარის (*Erfüllungsgehilfe*) თანაბრალეულობაზე მითითება (რომელიც ამცირებს სახელშეკრულებო მხარის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას) ასევე შეუძლია ზიანის ანაზღაურებისას დელიქტური მოთხოვნის მოვალეს.⁹⁶ მხოლოდ ასეა შესაძლებელი, თავიდან იქნეს აცილებული, რომ არც დელიქტზე პასუხისმგებელი მხარე არ დაზარალდეს სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ანგარიშსწორებისას და არც ხელშეკრულების მხარემ არ გადაიხადოს უფრო მეტი მოვალის სოლიდარული პასუხისმგებლობის ანგარიშსწორებასთან შედარებით, ვიდრე აღნიშნული რეალურად გამომდინარეობს დაზარალებულ მხარესთან მისი ურთიერთობის შედეგად.⁹⁷ მსგავსი მოსაზრება ემყარება ასევე - ინტერესების თვალსაზრისით - გსკ-ის § 424-ე პარაგრაფის კანონისმიერ რეგულაციას.⁹⁸ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ეს თემა მხოლოდ დოქტრინალურად არის აქტუალური. თუმცა მას არ აქვს პრაქტიკული ეფექტი საქართველოში, რადგან სკ-ის 997-მუხლი არ აძლევს ხელშეკრულების მხარეებს (გერმანიაში გსკ-ის § 831-ე პარაგრაფისგან განსხვავებით) ხელმძღვანელის გამართლების (*Exkulpation*) შესაძლებლობას.

თუ - როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე - დაზარალებულის შერეული ბრალი სამართლებრივ ურთიერთობაში სოლიდარულად პასუხისმგებელ თითოეული ზიანის მომტანი მხარესთან არსებობს, დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,⁹⁹ შერეული ბრალის კვოტები ნაწილდება შემდეგნაირად:

პირველი ნაბიჯი არის ინდივიდუალური შეფასება დაზარალებულ მხარესა და თითოეულ დამნაშავეს შორის. მეორე ნაბიჯზე ფასდება ყველა მიზეზობრივი წვლილი. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ ზიანის მიმყენებელს პირველი ნაბი-

ჯის შედეგად შეუძლია დაზარალებულის მიმართ მოითხოვოს თავისი შიდა პასუხისმგებლობის კვოტა. ეს გამოითვლება ორივე მხრიდან პასუხისმგებლობის წვლილის თანაფარდობის მიხედვით, სხვა მოვალეების გამოკლებით. შესაბამისად, თითოეული ზიანის მიმყენებელი პასუხისმგებელია იმ კვოტით, რომელიც შეესაბამება მის პასუხისმგებლობას დაზარალებული მხარის თანაბრალეულობასთან შედარებით (ინდივიდუალური კვოტა/ინდივიდუალური შეფასება). მეორე ნაბიჯის შედეგად, დაზარალებულს არ შეუძლია ყველა ზიანის მომტანი მხარისგან ჯამში მოითხოვოს იმაზე მეტი, ვიდრე ის წილია, რომელიც მიიღება ყველა სოლიდარული მოვალის პასუხისმგებლობის წვლილის ერთობლივი შეფასებით დაზარალებული მხარის თანაბრალეულობის გათვალისწინებით (საერთო კვოტა/ერთობლივი შეფასება).¹⁰⁰ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, სასამართლო პრაქტიკა ერთიანად ან ერთობლივად ზიანის მომტანი ქმედებების ჩადენის შემთხვევაში ამ კონცეპტუალური ორეტაპიანი მიდგომის გამოყენებისას უპირველესად იყენებს ერთიან შეფასებას, ანუ ტოვებს პირველ ეტაპს. ეს მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც ერთიანად ან ერთობლივად ზიანის მომტანი ქმედებების შემთხვევაში პასუხისმგებლობის ინდივიდუალური წვლილი ერაცხება ყველა ზიანის მომტან მხარეს და, შესაბამისად, ინდივიდუალური და საერთო კვოტების შედეგები, ზოგადად ემთხვევა ერთმანეთს. თუ შესაბამისი ზიანის მომტანი ქმედებები დამატებითი ამსრულებლის (*Nebentäter*) მიერ იქნა შესრულებული, აუცილებელია ზუსტი ორეტაპიანი პროცედურის დაცვა, რადგან (პასუხისმგებლობის წვლილის ორმხრივი შერაცხვის არარსებობის გამო) ინდივიდუალური კვოტა და მთლიანი კვოტა, როგორც წესი, ოდენობის მიხედვით ერთმანეთს არ ემთხვევა.¹⁰¹

⁹⁶ BGH, Urteil vom 02.02.1984 - I ZR 228/81 - BGHZ 90, 86 (juris Rn. 37).

⁹⁷ Wilhelmi in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 840 BGB Rn. 5.

⁹⁸ შდრ. BGH, Urteil vom 02.02.1984 - I ZR 228/81 - BGHZ 90, 86 (juris Rn. 37).

⁹⁹ აქ წამოადგენილი ორიენტაციებისთვის: Rüßmann in: Herberger/Martinek/Rüßmann/ Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 840 BGB Rn. 5.

¹⁰⁰ BGH, Urteil vom 13.12.2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896 (juris Rn. 13); სრულად: Herberger/Martinek/Rüßmann/ Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 840 BGB Rn. 5; Ebert in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 254 BGB Rn. 102 ff..

¹⁰¹ გამოწვევისაა პასუხისმგებლობის (*Haftungseinheit*) თუ შერაცხვის ერთიანობის (*Zurechnungseinheit*) არ-

გარკვეულ კონსტელაციებში, ამ შენონის პროცესს ეფუძნება ე.წ. პასუხისმგებლობის ერთიანობის (*Haftungseinheit*) პრინციპები (ზშირად ასევე უწოდებენ შერაცხვის ერთიანობას (*Zurechnungseinheit*)). აქ საკითხი ეხება იმას, რომ რამდენიმე მონაწილე მხარის პასუხისმგებლობის წვლილი გარკვეული წინაპირობების გათვალისწინებით, როგორც ზიანის მიმყენებლის, ასევე დაზარალებული მხარის მხრიდან, განიხილება, როგორც ერთიანი წვლილი.¹⁰² პასუხისმგებლობის ერთიანობა (*Haftungseinheit*) არსებობს, თუ ზიანის გამომწვევი წვლილის შენონისთვის არარელევანტურია, აღნიშნულზე ერთი თუ რამდენიმე მოვალეა პასუხისმგებელი. ერთი მხრივ, პასუხისმგებლობის ერთიანობა (*Haftungseinheit*) შეიძლება ეფუძნებოდეს სამართლებრივ საფუძვლებს; კერძოდ, როდესაც მესამე პირს ერაცხება ზიანის გამომწვევი წილი და ამით დამატებითი მოვალეები ჩნდებიან. თუმცა, ის ასევე შეიძლება წარმოიშვას ფაქტობრივი მიზეზების გამო; კერძოდ, როდესაც რამდენიმე მონაწილის ქმედება გაერთიანდა გამიჯვნად „შუალედურ შედეგში“.

პასუხისმგებლობის ერთიანობის (*Haftungseinheit*) აღნიშნული ძირითადი იდეის საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოხმობილ იქნეს შემდეგი მარტივი მაგალითი: თუ ორი სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც მართავენ A და B, ეჯახება ერთმანეთს და ორივე თანაბრად დამანაშავია, ზიანიც თანაბრად იყოფა. თუმცა, თუ C არის ავტომობილის მფლობელი, რომელსაც მართავს B, და ასევე D პასუხისმგებელია, როგორც B-ის ხელმძღვანელი (*Geschäftsherr*) გსკ-ის § 831-ე პარაგრაფი (შდრ. სკ-ის 997-ე მუხლი), ჯამში გამოდის ოთხი ადამიანი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ერთი და იმავე საგზაო შემთხვევისთვის; ერთი მხრივ, A მარტო და, მეორე მხრივ, B, C და D, როგორც სოლიდარული მოვალეები. თუმცა, ცხადი უნდა იყოს, რომ მოვალეთა რაოდენობის ეს ზრდა ვერ ცვლის, ერთი მხრივ, A-ს შიდა პასუხისმგებლობას ზიანის ნახევარზე და მეორე მხრივ, B, C და D-

ს, როგორც „პასუხისმგებლობის გაერთიანებას“. მაშასადამე, ერთი მხრივ, მუშაკის (*Verrichtungsgehilfe*) და ხელმძღვანელის (*Geschäftsherr*)¹⁰³, ისევე, როგორც ვალდებულების შესრულებისას დამხმარის (*Erfüllungsgehilfe*) და სახელშეკრულებო მხარის¹⁰⁴ სოლიდარული ვალდებულებები და, მეორე მხრივ, მანქანის მფლობელისა და მძღოლის¹⁰⁵ (გერმანიაში დამატებით ასევე პირდაპირ პასუხისმგებელი ავტოტრანსპორტის პასუხისმგებლობის მზღვეველი;¹⁰⁶ შდრ. *Compulsory Unsurance Centres*-ის პასუხისმგებლობა უცხოური რეგისტრაციის მქონე ავტოტრანსპორტით მიყენებული ზიანზე საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით) ვალდებულებები წარმოადგენს პასუხისმგებლობის ერთიანობის (*Haftungseinheit*) „კლასიკური“ კონსტელაციებს.¹⁰⁷

მაგრამ ყველაფერი არც ისე აშკარაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე საკითხავია, საქმე ეხება თუ არა პასუხისმგებლობის ერთიანობას (*Haftungseinheit*). ამის საჩვენებლად წარმოდგენილია შემდეგი მაგალითი, რომლის ცვლილება ან რაიმეს დამატებაც სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია.¹⁰⁸

¹⁰³ BGH, Urteil vom 29.09.1970 - VI ZR 74/69 - BGHZ 54, 283 (juris Rn. 11 ff.); BGH, Urteil vom 25.04.1989 - VI ZR 146/88 - NJW-RR 1989, 918 (juris Rn. 15).

¹⁰⁴ BGH, Urteil vom 24.04.1952 - III ZR 78/51 - BGHZ 6, 3 (juris 50) დამხმარისთვის (*Erfüllungsgehilfe*).

¹⁰⁵ BGH, Urteil vom 13.12.2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896 (juris Rn. 11); BGH, Urteil vom 26.04.1966 - VI ZR 221/64 - NJW 1966, 1262 (juris Rn. 9).

¹⁰⁶ BGH, Urteil vom 13.12.2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896 (juris Rn. 11).

¹⁰⁷ BGH, Urteil vom 13.12.2005 - VI ZR 68/04 - NJW 2006, 896 (juris Rn. 11); სრულად: Ebert in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 254 BGB Rn. 102 ff..

¹⁰⁸ უარყოფილ იქნა: BGH, Urteil vom 29.09.1970 - VI ZR 74/69 - BGHZ 54, 283 (juris Rn. 7 ff.) მთავარი პრინციპით „საერთო შეფასება („საერთო ხედვა“) გამორიცხულია იმდენად, რამდენადაც რამდენიმე დამრღვევის ქცევამ გავლენა მოახდინა მხოლოდ ერთ (იმავე) შემთხვევის გამომწვევ მიზეზზე (აქ: სატვირთო მანქანის გაჩერება გაუნათებელ და დაუცველ ადგილას ავტობანზე) მანამ, სანამ დაზარალებულს შეერაცხებოდა მიზეზობრივი კავშირი და თავის წვლილს შეიტანდა ზიანის დადგომაში“.

სეზობისას, რომელიც უფრო დეტალურად იქნება აღწერილი ქვემოთ.

¹⁰² BGH, Urteil vom 25.04.1989 - VI ZR 146/88 - NJW-RR 1989, 918 (juris Rn. 16).

სატვირთო მანქანა, რომელსაც მართავს A, არის გაჩერებული სატრანსპორტო წესების დარღვევით ღამით, ავტომაგისტრალზე, გაუნათებელი და დაუცველი გზის გასწვრივ. რამდენიმე წუთის შემდეგ B უახლოვდება ძალიან მაღალი სიჩქარით და ეჯახება. A და B უნდა ჩაითვალოს თანაბრად პასუხისმგებელ პირებად B-ს მიერ მიყენებულ ზიანზე. ამჟამად, აღნიშნულ საქმეში შემოდიან C და D, როგორც დელიქტით ზიანის მიმყენებლები. ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ პირდაპირ A-ს სატვირთოს წინ და აიძულეს A, რომელიც მართავდა ავტომობილს საკმარისი უსაფრთხოების მანძილის დაცვის გარეშე, წარუმატებელი ავარიული მანევრი გაეკეთებინა.

საკითხავია, ზიანი უნდა გაიყოს თანაბრად თუ „პასუხისმგებლობის საზოგადოებას“ – A-ს, C-სა და D-ს - უნდა დაეკისროს უფრო მაღალი წილი პასუხისმგებლობა საერთო შეფასების პრინციპების მიხედვით, რადგან არა მხოლოდ A არის პასუხისმგებელი ზიანისათვის, არამედ A, C და D ავარიაში მონაწილე სამი პირია, რომლებიც სოლიდარულად არიან პასუხისმგებელი A-ს წინაშე? ასეთი კონსტელაციის დროს, გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ზიანის თანაბრად გაყოფას უჭერს მხარს. ამის მიზეზი ის არის, რომ „პასუხისმგებლობის საზოგადოება“ A, C და D აყალიბებენ პასუხისმგებლობის ერთიანობას (Haftungseinheit), რადგან მათმა შესაბამისმა გადაცდომებმა გამოიწვია გამიჯვრადი შუალედური შედეგი (სატვირთო მანქანა არის გზის გასწვრივ), სანამ B თავის წვლილს შეიტანდა პასუხისმგებლობაში.¹⁰⁹ ასეთ შემთხვევებში პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპი (Haftungseinheit) ხელს უშლის იმას, რომ მიუხედავად სხვადასხვა მონაწილის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთობლივი მიზეზობრივი წილისა, თავიდანვე განსაზღვრონ თავიანთი პასუხისმგებლობის კვოტები ცალკე და შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაამატონ ისინი საერთო შეფასების საფუძველზე.¹¹⁰ მარტივად

რომ ვთქვათ: მიუხედავად იმისა, თუ რამდენი პირია საბოლოოდ პასუხისმგებელი ზარალისთვის, ის ფაქტი, რომ სატვირთო მანქანა, რომელსაც A მართავდა, ღამით ავტომაგისტრალზე იდგა განათების გარეშე, გსკ-ის §426-ის ფარგლებში მიზეზობრივი შენატანების ანონვისას ისინი B-სთან მიმართებით უნდა განვიხილოთ, როგორც ავარიის ერთიანი მონაწილეები.

თუმცა დაზუსტებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპი (Haftungseinheit) დასახელებულ მაგალითში მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, როდესაც A, C და D-ს მიერ გამოწვეული მიზეზობრიობის პირველმა ბლოკმა ავტობანის გასწვრივ მდგომი მანქანით მიაღწია გარკვეულ შედეგს. პრეცედენტული სამართალი ამას ასევე უწოდებს სხვადასხვა ინდივიდუალური ქმედებების „შერწყმას“ ერთგვაროვან, გამიჯვრად მიზეზობრიობის წვლილში. B რომ არ მიახლოებოდა რამდენიმე წუთის შემდეგ გზის გადაღმა გაჩერებული სატვირთო მანქანით გადაკეტილ შემთხვევის ადგილს, არამედ ყველა მონაწილე კლასიკური გაგებით დაჯახებოდნენ ერთმანეთს გადაჭარბებული სიჩქარის, არასაკმარისი უსაფრთხოების მანძილის დაცვის და/ან უყურადღებოდ მართვის გამო, სიტუაცია დარჩებოდა საერთო შეფასების სფეროში.

პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპის (Haftungseinheit) კიდევ ერთი ტიპური მაგალითია მშობლების მხრიდან საზედამხედველო მოვალეობის დარღვევა და შეზღუდული დელიქტუნარიანობის მქონე ბავშვის გადაცდომის გამიჯვრად მიზეზობრივ წვლილში გაერთიანება (მაგ., ბავშვი ქუჩაში გაიქცა) და მას კიდევ ემატება მესამე პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მაგ., მანქანის მძღოლი, რომელიც ძალიან სწრაფად მოძრაობს და ვერ ამუხრუჭებს).¹¹¹

„კლასიკური შემთხვევების“ გარდა, მაგალითად, მძღოლი/მფლობელი, ვალდებულების შესრულებისას დამხმარე (Erfüllungsgehilfe)/ხელშეკრულების მხარე, მუშაკი (Verrichtungsgehilfe)/ხელმძღვანელი (Geschäftsherr), პრეცე-

¹⁰⁹ BGH, Urteil vom 05.10.1982 - VI ZR 72/80 - VersR 1983, 131 (juris Rn. 9); BGH, Urteil vom 16.04.1996 - VI ZR 79/95 - NJW 1996, 2023 (juris Rn. 19).

¹¹⁰ BGH, Urteil vom 16.04.1996 - VI ZR 79/95 - NJW 1996, 2023 (juris Rn. 21).

¹¹¹ BGH, Urteil vom 18.04.1978 - VI ZR 81/76 - NJW 1978, 2392 (juris Rn. 7).

დენტული სამართალი საკმაოდ ერიდება პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპის (Haftungseinheit) გამოყენებას.

ამასთან, ზიანის მიმყენებელთან ერთად ასევე შეიძლება დაზარალებულიც იყოს ჩართული პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპში (Haftungseinheit).¹¹² მსგავსი მდგომარეობა იარსებებდა გვერდზე გაჩერებული სატვირთო მანქანის ზემოთ დასახლებულ მაგალითში, თუ A დაშავდებოდა B-ს დარტყმის შედეგად. რაც შეეხება სხეულის დაზიანების შედეგად წარმოშობილ ზიანს, A, C და D შექმნიდნენ პასუხისმგებლობის ერთიანობას (Haftungseinheit), ანუ A, პასუხისმგებლობის ერთიანობის (Haftungseinheit) დაზარალებული მხარე იქნებოდა. მათი ერთიანი და გამიჯვნადი მიზეზობრივი წვლილის შენონვა უნდა მოხდეს B-ს წვლილის გათვალისწინებით. ამის შედეგი ასევე იქნებოდა ის, რომ, ერთი მხრივ, B-სა და, მეორე მხრივ, C-სა და D-ს შორის არ წარმოიშობოდა მოვალეთა სოლიდარული ანგარიშსწორება. C და D-ს გადაცდომა პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპის (Haftungseinheit) გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შეფასებაში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.¹¹³

ცალკე პრობლემაა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საკითხი. მატერიალური ზიანისგან განსხვავებით, ეს არ უნდა განისაზღვროს პროპორციულად, თუ დაზარალებულს შერეული ბრალი მიუძღვის.¹¹⁴ პირიქით, წარმოიქმნება მორალური ზიანის კომპენსაციის ერთიანი, შესაბამისი ოდენობა, სადაც შერეული ბრალი წარმოადგენს (როგორც წესი, არსებით) გარემოებას, რომელიც ოდენობის დადგენისას გასათვალისწინებელია.¹¹⁵ აღნიშნული

გამორიცხავს საერთო შეფასების პრინციპების გამოყენებას მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნისას; აქ რჩება ინდივიდუალური შეფასება.¹¹⁶ თუმცა, აღნიშნულს პრაქტიკული ეფექტი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის ადეკვატურობა (ძალიან გამონაკლისად) განსხვავებულად უნდა შეფასდეს დაზარალებულ მხარესა და ცალკეულ ზიანის მიმყენებლებს შორის ურთიერთობაში.

გ) სოლიდარული ვალდებულების ცალკეული შემთხვევების მოწესრიგება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

სოლიდარული ვალდებულება განისაზღვრა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირისა და ნოტარიუსის მიმართ წარდგენილ სარჩელზე. ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ მოთხოვნა ემყარებოდა გარიგების დადებას ყალბი დოკუმენტის გამოყენების გზით, ხოლო მეორე მოპასუხის - ნოტარიუსის - მიმართ მოთხოვნა ემყარებოდა სანოტარო მოქმედებათა განხორციელების წესის დარღვევას. სასამართლომ დაადგინა, რომ მესაკუთრისათვის ზიანის მიყენება, ერთი მხრივ, გამოიწვია დანაშაულის ჩამდენი პირის ქმედებამ, რომელმაც ყალბი დოკუმენტის გამოყენებით სხვა პირის ნაცვლად დადო გარიგება, მეორეს მხრივ კი - ნოტარიუსის ქმედებამ, რომელმაც დაარღვია სანოტარო მოქმედებათა განხორციელების წესი და სათანადოდ არ დაადგინა გარიგების მონაწილე პირის ვინაობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის საფუძველზე, მათ დაეკისრათ სოლიდარული პასუხისმგებლობა.¹¹⁷ ამ დავაში თითოეული მოპასუხის ვალდებულება ემყარებოდა სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ საფუძველს, თუმცა, კრედიტორის შესრულების ინტერესი

¹¹² BGH, Urteil vom 05.10.1982 - VI ZR 72/80 - VersR 1983, 131 (juris Rn. 9); BGH, Urteil vom 18.09.1973 - VI ZR 91/71 - BGHZ 61, 213 (juris Rn. 14 f.).

¹¹³ BGH, Urteil vom 16.04.1996 - VI ZR 79/95 - NJW 1996, 2023 (juris Rn. 22).

¹¹⁴ იმ გაგებით, რომ მორალური ზიანის კომპენსაციის ფიქტიური ოდენობა ჯერ უნდა განისაზღვროს დაზარალებული მხარის შერეული ბრალის გარეშე და შემდეგ ეს პროპორციულად უნდა შემცირდეს.

¹¹⁵ BGH, Urteil vom 29.09.1970 - VI ZR 74/69 - BGHZ 54, 283 (juris Rn. 11 ff.); BGH, Beschluss vom 21.08.2002 - 5 StR 291/02 - BGHSt 47, 378 (juris Rn. 10); მორალირი

ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მოქმედი პრინციპებისთვის: BGH, Beschluss vom 16.09.2016 - VGS 1/16 - BGHZ 212, 48 (juris Rn. 29 ff.).

¹¹⁶ დეტალურად: Staudinger/Vieweg (2015) BGB § 840 Rn. 38.

¹¹⁷ იხ. სუსგ 27.04.2015 #ას-182-169-2015.

იყო იდენტური. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის 1-ელი ნაწილი სოლიდარული პასუხისმგებლობის წინაპირობად არ მიიჩნევა ზიანის დადგომაში ბრალეული პირების ერთობლივი განზრახვით, ურთიერთშეთანხმებით მოქმედებას. საკმარისი წინაპირობაა, რომ თითოეულ მათგანს ბრალი მიუძღოდეს ზიანის დადგომაში და ამ ზიანის ანაზღაურების მიმართ კრედიტორს ერთიანი ინტერესი გააჩნდეს.¹¹⁸

სოლიდარული პასუხისმგებლობის მაგალითია ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელისა და მოსარგებლის - სატრანსპორტო საშუალების მძღოლისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის შესაბამისად.¹¹⁹ „ავტოსატრანსპორტო შემთხვევით დაზარალებულ პირს არ ეკრძალება, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, რომელიც ზიანის მიმყენებელია 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების საფუძველზე, ისე - სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია 992-ე მუხლის საფუძველზე. ამ შემთხვევაში სახეზეა მოვალეთა სიმრავლე ვალდებულებაში, ვალდებულებათა ერთიანობა, როდესაც ყოველ მოვალეს თავისი საკუთარი ვალდებულება აკისრია კრედიტორის წინაშე, მაგრამ ისინი ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ ქმნის სოლიდარულ ვალდებულებას.“¹²⁰

¹¹⁸ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 1316, Überbl. § 840, Rn 1-2.

შდრ. სუსგ 19.06.2015 #ას-1037-995-2014, ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ 998-ე მუხლის გამოყენების აუცილებელ წინაპირობად ჩათვალა ზიანის დადგომაში ბრალეულ პირთა ერთობლივი განზრახვით და საერთო მიზნით მოქმედება და ამ საფუძველით უარი თქვა ამ ნორმის გამოყენებაზე. სოლიდარული პასუხისმგებლობა დააფუძნა მხოლოდ 463-ე მუხლს.

¹¹⁹ იხ. სუსგ 20.07.2010 #ას-254-239-2010; სუსგ 15.07.2010 #ას-39-38-10; სუსგ 30.09.2016; #ას-504-481-2016.

¹²⁰ სუსგ 20.07.2010; #ას-254-239-2010.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ძირითად მოვალესა და სოლიდარულ თავდებს შორის სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობა ასევე ივარაუდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად. დასახელებული ნორმა ადგენს, რომ თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა.

ერთ-ერთ სასამართლო დავაში საკითხი ეხებოდა იმას, რომ თავდები სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარდგენილი მოთხოვნების შესრულებაზე იყო ვალდებული. ძირითადი მოვალის გარდაცვალების შემდგომ კრედიტორმა სარჩელი აღძრა მხოლოდ თავდებების მიმართ, ხოლო მემკვიდრეს არ წარუდგინა მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის შესაბამისად, ექვსი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ რადგან კრედიტორმა, რომელმაც თავისი მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის მიხედვით არ წარუდგინა დროულად ძირითადი მოვალის მემკვიდრეს, ამით მან დაკარგა მოთხოვნის უფლება არამხოლოდ მის მიმართ, არამედ თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე სოლიდარული თავდებების მიმართაც.¹²¹

როგორც 895-ე მუხლის შინაარსის, ისე ზემოაღნიშნული საქმის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ სოლიდარული თავდებობის დროს თავდებობის აქცესორული ბუნება სამართლებრივი ურთიერთობის გადამწყვეტი მახასიათებელია. ამის სანაწილმდეგოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის მახასიათებელი არის ის, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორს შეუძლია, შესრულება მთლიანად ან ნაწილობრივ მოითხოვოს ნებისმიერი მოვალისგან თავის შეხედულებისამებრ (465-ე მუხლის პირველი წინადადება). ამიტომაც, თავდებობის

¹²¹ სუსგ 21.10.2016 #ას-513-490-2016.

აქცესორული ბუნება, წარმოდგენილი მოსაზრების შესაბამისად, გამორიცხავს სოლიდარული პასუხისმგებლობის არსებობას. თავდებობა მოვალის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა.¹²² თავდების პასუხისმგებლობა ყოველთვის მიბმულია ძირითადი მოვალის ვალდებულებასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ დავაში ძირითადი მოვალე და სოლიდარული თავდები განიხილებიან, როგორც სოლიდარული მოვალეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის მნიშვნელობით.¹²³ მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ ერთ-ერთ დავაში საქმე ეხებოდა შემთხვევას, როდესაც კრედიტის გამცემმა ბანკმა უარი თქვა სესხიდან გამომდინარე მოთხოვნაზე ძირითადი მოვალის მიმართ, სარჩელზე უარის თქმის ფორმით და შემდეგ მხოლოდ სოლიდარული მოვალისაგან მოითხოვა გადახდა. სასამართლომ აქ დაუშვა სოლიდარული ვალდებულების არსებობა. ამიტომაც, კრედიტორს შეეძლო სურვილისამებრ მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ წაეყენებინა ძირითადი მოვალის ან თავდების მიმართ; მის პასუხისმგებლობაზე არ აისახებოდა ის ფაქტი, რომ ბანკმა ძირითადი მოვალის მიმართ სარჩელზე უარი თქვა.¹²⁴

მოვალეთა სიმრავლის შემთხვევად (არც წილად და არც სოლიდარულ მოვალეებად) არ განიხილება მოვალე და აქცესორულად პასუხისმგებელი თავდები.¹²⁵ თავდები და ძირითადი მოვალე არ წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს მაშინაც კი, თუ სახეზეა ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე თავდების პასუხისმგებლობის

შემთხვევა.¹²⁶ თავდები და ძირითადი მოვალე ვერ ჩაითვლებიან სოლიდარულ მოვალეებად ვერც სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში.¹²⁷ თავდებობა არის აქცესორული ვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ იგი არის ძირითადი ვალდებულების წარმოშობასა და შეწყვეტაზე, მოცულობასა და განხორციელებადობაზე ხანგრძლივად დამოკიდებული დამხმარე ვალდებულება.¹²⁸ მისი მიზანია ძირითადი მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფა.¹²⁹ იგი განსხვავდება სოლიდარული ვალდებულებისგან, როგორცაა საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში დამქირავებლის ოჯახის წევრების ვალდებულება (571-ე მუხლი), არამართლზომიერი მფლობელების სოლიდარული ვალდებულება მესაკუთრის მიმართ,¹³⁰ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებისათვის (937-ე მუხლის 1-ელი ნაწილი), ასევე თანამსესხებლების ვალდებულება საკრედიტო ხელშეკრულებაში. თავდებობა, მისი აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, უნდა გაიმიჯნოს ასევე ვალის თანაკისრებისგან, როდესაც შეთანხმების საფუძველზე ვალის თანამკისრებელი თავისი დამოუკიდებელი ვალდებულებით ხდება თავდაპირველ მოვალესთან ერთად იმავე რიგის სოლიდარული მოვალე.¹³¹

¹²² რუსიაშვილი, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, მუხ. 891, ველი 1, 6; შემდგომი მითითებით: BGH WM 1968, 916; <http://www.gccc.ge/> [ბოლო გადამოწმების თარიღი 15.01.2022].

¹²³ იხ. სუსგ 17.07.2020 #ას-1427-2019, სუსგ 31.10.2019 #ას-1214-2018.

¹²⁴ იხ. სუსგ 05.07.2019 #ას-97-2019.

¹²⁵ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 605, Überbl. v § 420, Rn 10.

¹²⁶ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 1129, Einf. v § 765, Rn 1, შემდგომი მითითებით: BGH WM 68, 916.

¹²⁷ რუსიაშვილი, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, მუხ. 891, ველი 3; შემდგომი მითითებით: BGH WM 1968, 916; <http://www.gccc.ge/> [ბოლო გადამოწმების თარიღი 15.01.2022].

¹²⁸ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 1129, Einf. v § 765, Rn 1, შემდგომი მითითებით: BGH 139, 214.

¹²⁹ Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 1129, Einf. v § 765, Rn 2

¹³⁰ იხ. სუსგ 22.04.2015წ. #ას-445-420-2014.

¹³¹ რუსიაშვილი, გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, მუხ. 891 ველი 28-36; <http://www.gccc.ge/> [ბოლო გადამოწმების თარიღი 15.01.2022].

ქართულ კერძო სამართალზე გერმანული გავლენის¹³² გათვალისწინებით, სამართლის ნორმათა ისტორიული თუ სისტემური განმარტებისას მიზანშეწონილია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი რეგულაციის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი როგორც დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულებების, ისე - სასამართლო პრაქტიკის შესწავლის გზით.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 773-ე პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად, თავდების შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, გამორიცხულია, თუ თავდები უარს ამბობს შესაგებელზე, კერძოდ კი, თუ მან იკისრა თავდებობა, როგორც დამოუკიდებელმა მოვალემ (*Selbstschuldner*).¹³³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის რეგულაცია გარკვეულწილად ემსგავსება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ზემოთ დასახელებულ ნორმას. ისევე, როგორც თავდებობის მომწესრიგებელ სხვა ნორმებში, აქაც შეინიშნება გერმანული სამართლის გავლენა, თუმცა, 895-ე მუხლში გამოყენებულია ტერმინი „სოლიდარულად“, რაც გერმანულ მოწესრიგებაში არ არის გამოყენებული. გარდა სოლიდარულისა, 895-ე მუხლში მითითებულია ასევე „ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით“. შინაარსობრივად ორივე ნორმაში ერთსა და იმავე

მოცემულობაზეა საუბარი, როდესაც თავდებს წაყენება მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, რადგან თავდები იმთავითვე ამგვარ პირობაზეა შეთანხმებული. ეს ნორმა გამორიცხავს სუბსიდიურობას და ადგენს არასუბსიდიური თავდებობის შემთხვევას, თუმცა, არ აუქმებს თავდების პასუხისმგებლობის აქცესორულ ბუნებას. ძირითადი მოვალე და დამოუკიდებელი მოვალის სახით მოქმედი თავდები (*Selbstschuldnerische Bürgerschaft*) არ განიხილება სოლიდარულ მოვალეებად.¹³⁴

როგორც ზემოთ აღინიშნა, 895-ე მუხლში ტერმინის „სოლიდარული“ გამოყენება პრაქტიკაში რიგ შემთხვევებში განაპირობებს „სოლიდარული თავდებობის“ გაიგივებას სამოქალაქო კოდექსის 463-ე და შემდგომი მუხლებით მოწესრიგებულ სოლიდარულ ვალდებულებასთან. თუმცა, თუ ნორმის განმარტებისას გათვალისწინებული იქნება თავდებობის აქცესორული ბუნება, ცხადი ხდება, რომ თავდების და ძირითადი მოვალის განხილვა სოლიდარულ მოვალეებად არ არის თავსებადი სოლიდარული ვალდებულების არსთან. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ერთი და იმავე რიგის (რანგის, საფეხურის) ვალდებულებები ქმნიან სოლიდარულ ვალდებულებას.¹³⁵ ეს კი ნიშნავს, რომ სხვადასხვა მოვალე იმგვარად უნდა იდგეს ერთმანეთის გვერდით, რომ თითოეულს, სულ ცოტა, შეეძლოს შიდა ურთიერთობაში ვალდებულების რაღაც ნაწილის შესრულება. მოვალეთა „ერთ საფეხურზე დგომა“ არ იქნება სახეზე, თუკი მოვალეთაგან ერთ-ერთს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება, ხოლო მეორის ვალდებულება მხოლოდ კრედიტორის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება. ამ შემთხვევაში ერთი ვალდებულება დაქვემდებარებულია მეორის მიმართ და ვალდებულების შემს-

¹³² იხ. *კერესელიძე, დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 42; სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით იხ. *ჭანტურია, ლ.* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, 2017, ავტორთა ჯგუფი, გვ. 8-9, ველი 28-32; იხ. *ჭანტურია, ლ.* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2011, გვ. 19-23.

¹³³ იხ. *Bürgerliches Gesetzbuch (BGB) § 773*, https://www.gesetze-im-internet.de/bgb/_773.html [ბოლო გადამოწმების თარიღი - 15.01.2022]; ქართულ ენაზე იხ. *BGB* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, თბილისი, 2019, GIZ, რედ. *ჩაჩანიძე, ე., დარჯანია, თ.*, გვ. 241, http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge_BGB_GE.pdf?fbclid=IwAR1VEHzEt8fhevfuCXXKiH_gOCgTgU8LE_zNZDzpoJglZ1dvBKuKBh093sw4 [ბოლო გადამოწმების თარიღი - 15.01.2022].

¹³⁴ *Palandt, Bürgerliches Gesetzbuch*, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 1144, § 773, Rn 2; შემდგომი მითითებით: BGH WM 84, 131.

¹³⁵ *Palandt, Bürgerliches Gesetzbuch*, 63. neubearbeitete Aufl. 2004, S. 607, § 421, Rn 6; შემდგომი მითითებით: BGH 106, 319, 108, 183, 137, 77/82, *Larenz* § 37 I, *Medicus* § 35 II 1 b, *BaRo/Gehrlein* Rn 8, *MüKo/Bydlinski* Rn 12, hM.

რულებელ მოვალეს აქვს სრული რეგრესის უფლება იმ მოვალის მიმართ, რომელიც არ ახორციელებს შესრულებას. აქედან გამომდინარე, ძირითადი მოვალე და თავდები არ განიხილებიან სოლიდარულ მოვალეებად.¹³⁶

III. სოლიდარულ მოვალეთა წილთა გათანაბრება

1. გერმანული მონესრიგება

ა) მოთხოვნის საფუძველი

გსკ-ის § 426-ის 1-ელ და მე-2 აბზაცში მოცემულია ორი სპეციალური მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.¹³⁷ გსკ-ის §426-ის 1-ელი აბზაცი ადგენს თავდაპირველ წილთა გათანაბრებას სოლიდარულ მოვალეებს შორის, რომლებიც სოლიდარული ვალდებულების დაფუძნების დროს წარმოიშობა.¹³⁸ გსკ-ის § 426-ე პარაგრაფის მეორე აბზაცი მოქმედებს მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლისას, რომელიც შედარებადი სკ-ის 905-ე მუხლთან. ეს ორი მოთხოვნა ერთმანეთთან კონკურენციაშია¹³⁹ და ექვემდებარება სპეციალური ხანდაზმულობის წესებს.¹⁴⁰ შედეგად, ძირითადი მოვალის წინააღმდეგ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა გსკ-ის §§ 412, 404 პარაგრაფების¹⁴¹ (შდრ. სკ-ის

201 II და სკ-ის 207 მუხლებთან) შესაბამისად, შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს გსკ-ის § 426 II პარაგრაფთან, მაგრამ არა თავდაპირველ მოთხოვნასთან გსკ-ის § 426 I პარაგრაფის შესაბამისად.¹⁴² გარდა ამისა, ძირითადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად არსებული აქცესორული უზრუნველყოფის უფლებები გადაეცემა *cessio legis*-ის შემთხვევაში გსკ-ის § 426 II შესაბამისად შემსრულებელ სოლიდარულ მოვალეებს (გსკ-ის §§ 412, 401-ე პარაგრაფები, შდრ. სკ-ის 201 I- თან, სკ-ის 207 I-თან).

მოთხოვნების კონკურენციაში არსებული სხვა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები გვხვდება დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობებში ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევებში.¹⁴³

ბ) წილობრივი პასუხისმგებლობა

წილთა გათანაბრების ვალდებულების მოცულობა დამოკიდებულია სოლიდარულ მოვალეებს შორის არსებულ კონკრეტულ ურთიერთობებზე. გსკ-ის § 426 I პარაგრაფში აღნიშნული წილობრივი პასუხისმგებლობა პირთა მიხედვით მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თუნდაც ყველა გარემოების შეფასების შემდეგ არ არსებობს რაიმე ხელჩასაჭიდი პუნქტი განსხვავებული შეფასებისთვის.¹⁴⁴ შედეგად, გსკ-ის §426 I პარაგრაფის ინტერპრეტაციის წესის გამოყენება პრაქტიკაში გამოწვევების წარმოადგენს.¹⁴⁵ გარდა პასუხისმგებლობის შიდა განაწილების შესახებ კანონისმიერი დებულებებისა

¹³⁶ კროფკოლერი, ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014, გვ. 306, ველი 12.

¹³⁷ BGH, Teilurteil vom 25.11.2009 – IV ZR 70/05 – NJW 2010, 435 (juris Rn. 8); BGH, Urteil vom 09.03.1972 – VII ZR 178/70 – BGHZ 58, 216 (juris Rn. 13).

¹³⁸ BGH, Urteil vom 08.11.2016 – VI ZR 200/15 – VersR 2017, 170 (juris Rn. 11); BGH, Versäumnisurteil vom 18.06.2009 – VII ZR 167/08 – BGHZ 181, 310 (juris Rn. 13).

¹³⁹ Böttcher in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 426 BGB Rn. 53.

¹⁴⁰ BGH, Teilurteil vom 25.11.2009 – IV ZR 70/05 – NJW 2010, 435 (juris Rn. 8).

¹⁴¹ იგი შეესაბამება ზოგად მოსაზრებას, რომ გსკ-ის § 404-ე პარაგრაფი მიუხედავად ტერმინის მოთხოვნის შეწყვეტის (Einwendung) გამოყენებისა, მოიცავს ხანდაზმულობის ვადის შესაგებელს (Einrede). შდრ. BGH, Urteil vom 19.11.1997 – IV ZR 357/96 – NJW 1998, 1142

(juris Rn. 6); BGH, Urteil vom 04.10.1983 – VI ZR 194/81 – VersR 1984, 136 (juris Rn. 11).

¹⁴² BGH, Teilurteil vom 25.11.2009 – IV ZR 70/05 – NJW 2010, 435 (juris Rn. 8); BGH, Urteil vom 09.03.1972 – VII ZR 178/70 – BGHZ 58, 216 (juris Rn. 13).

¹⁴³ BGH, Urteil vom 06.10.2009 – VI ZR 24/09 – NJW-RR 2010, 831 (juris Rn. 10); როგორ აისახება ხარჯების ანაზღაურების თაობაზე წარმოშობილი მოთხოვნები სოლიდარულ მოვალეთა წილთა გათანაბრებაზე, მაღევე განიხილება ბ) ქვეთავში.

¹⁴⁴ შეფასების კრიტერიუმების შესახებ ამომწურავად: Böttcher in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 426 BGB Rn. 15 ff.; Staudinger/Looschelders (2017) BGB § 426 Rn. 49 ff..

¹⁴⁵ Staudinger/Looschelders (2017) BGB § 426 Rn. 50.

(მაგ., გსკ-ის § 840 I, II) არსებობს (პრაქტიკაში - იშვიათად) სახელშეკრულებო შეთანხმებები პასუხისმგებლობის შიდა განაწილებაზე და, უპირველეს ყოვლისა, ზიანის გამომწვევ გარემოებათა შეფასებაზე, შერეული ბრალის პრინციპების შესაბამისად (გსკ-ის § 254-ე პარაგრაფი; შდრ. სკ-ის 415-ე მუხლი) შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.¹⁴⁶ ამ შენონვამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ერთმა ზიანის გამომწვევმა გარემოებამ შიდა ურთიერთობაში სრულად შეავიწროოს მეორე.¹⁴⁷

ვინაიდან შერეული ბრალისთვის შემუშავებული კრიტერიუმები სრულყოფილად სხვაგან არის განხილული, აქ მხოლოდ რამდენიმე კონსტელაცია იქნება ნახსენები.

- ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელსა და ბრალეულად მოქმედ მძღოლს შორის შიდა ურთიერთობაში, როგორც წესი, მხოლოდ ეს უკანასკნელი არის პასუხისმგებელი.¹⁴⁸ გარდა ამისა, ზოგადად ითვლება, რომ, ერთი მხრივ, მომეტებული საფრთხის წყაროდან მომავალი პასუხისმგებლობის ან სავარაუდო ბრალზე დაფუძნებულ პასუხისმგებლობისა და მეორე მხრივ, დადასტურებულ ბრალზე დაფუძნებული პასუხისმგებლობის ერთად დამთხვევის პირობებში, პირს, რომელიც დადასტურებულად ბრალეულად მოქმედებდა, სრულად უნდა

დაეკისროს ზიანის ანაზღაურება (შდრ. ასევე სპეციალური რეგულაცია გსკ-ის § 840 I, II).¹⁴⁹ ზოგადად, თუ განზრახი და გაუფრთხილებლობითი ქმედებები თანხვედრაშია, შიდა ურთიერთობებში ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმას მოუწევს, ვინც განზრახ მოქმედებდა.

- თუ არსებობს სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი მოთხოვნები ხარჯების ანაზღაურებაზე, მაგალითად, დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, ეს ასევე განსაზღვრავს შიდა პასუხისმგებლობის ოდენობას გსკ-ის § 426-ე პარაგრაფიდან გამომდინარე მოთხოვნებთან მიმართებით.¹⁵⁰ იგივე ეხება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების (*Freistellungsanspruch*) შიდა მოთხოვნებს, როგორცაა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნა (*Freistellungsanspruch*) შრომის კანონმდებლობიდან¹⁵¹ ან - რამდენადაც არსებობს მზღვეველის გარე პასუხისმგებლობა - დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან. სხვა შემთხვევაში, გსკ-ის 426-ე პარაგ-

¹⁴⁹ BGH, Urteil vom 11.11.2003 - VI ZR 13/03 - BGHZ 157, 9 (juris Rn. 17).

¹⁵⁰ BGH, Urteil vom 06.10.2009 - VI ZR 24/09 - NJW-RR 2010, 831 (juris Rn. 10).

¹⁵¹ ამასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 11.11.2003 - VI ZR 13/03 - BGHZ 157, 9 (juris Rn. 18 ff.); BGH, Urteil vom 10.05.2005 - VI ZR 366/03 - NJW 2005, 2309 (juris Rn. 14). ამონარიდი BGH, Urteil vom 11.11.2003 - VI ZR 13/03 - BGHZ 157, 9 (juris Rn. 20): „შრომის კანონმდებლობით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უფლება (*Freistellungsanspruch*) არის შრომის სამართლის იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც დამსაქმებლის სოციალური მოვალეობის პრინციპებიდან გამომდინარე დასაქმებულს ათავისუფლებს ეკონომიკური შედეგების პასუხისმგებლობისგან მცირე გაუფრთხილებლობით ჩადენილი შეცდომების გამო, რომლებსაც ის უშვებს მისი შრომითი ურთიერთობის რისკებთან დაკავშირებით.... ეს სოციალური დამოკიდებულება შრომით ურთიერთობაში განსაკუთრებით გამოიხატება იმით, რომ დასაქმებული პასუხისმგებელია დამსაქმებელთან მიმართებაში მხოლოდ ბრალის ხარისხის მიხედვით: მარტივი გაუფრთხილებლობისას ის არ არის პასუხისმგებელი, ის არის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას პასუხისმგებელი და ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობისთვის ის პასუხს აგებს პროპორციულად, სადაც ზიანის გამომწვევი საერთო გარემოებები და ზიანის შედეგები უნდა შეფასდეს სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპების შესაბამისად.“

¹⁴⁶ Rüßmann in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 9. Aufl. (2020), § 426 BGB Rn. 7; Böttcher in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 426 BGB Rn. 15; Staudinger/Looschelders (2017) BGB § 426 Rn. 49 ff.

¹⁴⁷ BGH, Urteil vom 13.10.2004 - I ZR 249/01 - NJW-RR 2005, 34 (juris Rn. 23).

¹⁴⁸ BGH, Urteil vom 19.03.2013 - VI ZR 174/12 - NJW 2013, 2351 (juris Rn. 28). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებით საგზაო შემთხვევისას, პასუხისმგებლობის შეფასება ეფუძნება არა გსკ-ის § 254-ე პარაგრაფს, არამედ საგზაო მოძრაობის კანონის (StVG) მე-17 მუხლით შემუშავებულ კრიტერიუმებს. თუმცა, ეს არ ცვლის ძირითად მიდგომას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ ხელმძღვანელის (*Geschäftsherr*) პასუხისმგებლობა გსკ-ის § 831-ე პარაგრაფიდან გამომდინარე და მუშაკის (*Verrichtungsgehilfe*) პასუხისმგებლობა ემთხვევა ერთმანეთს, შრომით სამართლებრივ გათავისუფლების მოთხოვნებთან მიმართებით მოქმედ პრინციპებს შეიძლება ჰქონდეთ უპირატესობა (დანვრილებით ამის შესახებ ქვემოთ).

რაფის მიხედვით პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ასევე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ის, რომ ერთ-ერთმა ზიანის მიმცენებელმა დაზარალებულის მიმართ დაარღვია სპეციალური ქცევის სახელშეკრულებო მოვალეობა.¹⁵² თუმცა, როგორც წესი, ეს ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც ყველა მონაწილე პირი მოიქცა გაუფრთხილებლობით. თუ, მაგალითად, საწყობის გაქურდვისას, ქურდის გარდა, დაზარალებულის წინაშე პასუხისმგებელია დაცვის კომპანია, რომლის თანამშრომლებმაც მართლსაწინააღმდეგოდ არ აღკვეთეს ქურდობა, შიდა ურთიერთობებში პასუხს აგებს მხოლოდ ქურდი. აღნიშნულზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ დაცვის კომპანიას ობიექტის მეთვალყურეობის განსაკუთრებული სახელშეკრულებო მოვალეობა ეკისრებოდა.

– ამხანაგობის წევრებს შორის შიდა განაწილებისთვის, როგორც წესი, გადამწყვეტია, წილის რა ოდენობით აგებენ პასუხს კომპანიის დანაკარგზე¹⁵³ ან კომპანიის აქტივების რომელ წილს ფლობენ.¹⁵⁴ ამის მიუხედავად, მეწილეს, რომელსაც მესამე მხარემ უჩივლა ამხანაგობის სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე, ვალდებულია, (სრული) რეგრესული მოთხოვნა, პირველ რიგში, წაუყენოს ამხანაგობას.¹⁵⁵

– მეუღლეთა ქონებრივი უფლებების მომწესრიგებელი დებულებები, რომლებიც ეხება განქორწინების შემთხვევაში ქონების გაყოფის დროს ქორწინების შედეგად მიღებული ქონების ნამატის გათანაბრების საკითხებს (Zugewinnausgleich), ვერ შეავიწროებს სოლიდარული მოვალეობის წილთა გათანაბრების საკითხს, იმისდა მიუხედავად, სოლიდარულად პასუხისმგებელი მეუღლის შესრულება განქო-

რწინების პროცესის მიმდინარეობამდე იყო თუ მის შემდეგ.¹⁵⁶ თუმცა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მეუღლეთა ქონებრივ სამართალს, როგორც *lex specialis*, არ ენიჭება უპირატესობა სოლიდარული მოვალეობის წილთა გათანაბრების საკითხთან მიმართებით. თუმცა, მეუღლეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში, წილთა გათანაბრების მოთხოვნის შინაარსზე დიდ გავლენას ახდენს ცხოვრების პირობების სპეციფიკური სტრუქტურა.¹⁵⁷ პრინციპი, რომელიც გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში არის დაახლოებით შემდეგი:¹⁵⁸

„განქორწინებამდე პერიოდისთვის შეიძლება იყოს გონივრული მიდგომა, რომ სასესხო დავალიანებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ერთი მეუღლე, ოჯახური ცხოვრების პირობების კონკრეტული მოწყობიდან გამომდინარე (...). თუმცა, ქორწინების რღვევასთან ერთად შეიცვალა მიმდინარე შესრულებისთვის უმნიშვნელოვანესი გარემოებები; ადრეული ქმედების საფუძველი აღარ გამოიყენება. მეუღლეთა თანაცხოვრების შეწყვეტის შემდეგ, როგორც წესი, აღარ არსებობს რაიმე მიზეზი ერთ-ერთი მეუღლისთვის, რომ მეორე მეუღლის ქონების შემდგომი ზრდა რაიმე სარგებელს ანიჭებდეს, რადგან ორმხრივი ურთიერთობა, რომელზეც დაფუძნებული იყო ერთობლივი წვლილი საერთო მეურნეობის გასაძლელად, მოიშალა. ამიტომ, სხვა გარემოებები უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა გამოირიცხოს მეუღლის წილობრივი პასუხისმგებლობა, რომელმაც არ გადაიხადა გადასახადები განქორწინების განაცხადის წარდგენის შემდგომ პერიოდში“.

ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ¹⁵⁹ მოგვიანებით სხვა გადაწყვეტილებით ეს პრეცედენტული განმარტება ისე დააკონკრეტა,

¹⁵² BGH, Beschluss vom 23.02.1984 - III ZR 77/83 - VersR 1984, 443 (juris Rn. 5).

¹⁵³ BGH, Urteil vom 15.01.1988 - V ZR 183/86 - BGHZ 103, 72 (juris Rn. 26).

¹⁵⁴ BGH, Urteil vom 05.04.2011 - II ZR 279/08 - ZIP 2011, 1103 (juris 13); შდრ. შპს-ის პარტნიორების შიდა ანგარიშსწორებისთვის მათ მიერ აღებული მაქსიმალური თანხის გარანტიებისთვის: BGH, Urteil vom 27.09.2016 - XI ZR 81/15 - BGHZ 212, 126 (juris Rn. 11).

¹⁵⁵ BGH, Urteil vom 15.01.1988 - V ZR 183/86 - BGHZ 103, 72 (juris Rn. 26).

¹⁵⁶ BGH, Beschluss vom 20.05.2015 - XII ZB 314/14 - NJW-RR 2015, 897 (juris Rn. 15).

¹⁵⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით: Böttcher in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 426 BGB Rn. 19 ff.; ბოლო გადაწყვეტილება დეტალურად: BGH, Beschluss vom 06.11.2019 - XII ZB 311/18 - BGHZ 223, 374 (juris Rn. 13 ff.).

¹⁵⁸ ამონარიდი: BGH, Beschluss vom 20.05.2015 - XII ZB 314/14 - NJW-RR 2015, 897 (juris Rn. 18 ff.).

¹⁵⁹ BGH, Beschluss vom 06.11.2019 - XII ZB 311/18 - BGHZ 223, 374 (juris Rn. 20 f.).

რომ მეუღლეთა შორის არსებული ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი პრინციპები წონის მოვალეთა სოლიდარული ანგარიშ-სწორების შესახებ მოთხოვნას, როდესაც საქმე ეხება თანაცხოვრების დროს განხორციელებული პროცენტებისა და ძირითადი თანხის გადახდას. პრინციპში, ეს გადახდები სოლიდარულ ვალდებულებებთან მიმართებით არ ნაწილდება არც თანაცხოვრების არსებობის დროს და არც მისი მოშლის შემდეგ. საპროცენტო განაკვეთების გადახდა, როგორც წესი, წარმოადგენს წვლილს საოჯახო მეურნეობაში გსკ-ის § 1360-ე პარაგრაფის მიხედვით, რაც გამორიცხავს გსკ-ის § 1360ბ პარაგრაფის მიხედვით მისი უკან დაბრუნების მოთხოვნას.¹⁶⁰ იგივე ეხება სარჩოს ანაზღაურებისთვის გამიზნულ გადახდებს. მაგრამ მაშინაც კი, თუ ქონების დაგროვება, მაგალითად, საცხოვრებელი ფართის ყიდვა მოხდა არასავალდებულო სარჩოს გადახდის ფარგლებში, აღნიშნული არ ცვლის იმას, რომ არსებობს შესრულება, რომელიც ოჯახურ თანაცხოვრებას ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქონების დაგროვება გავლენას ახდენს განქორწინებისას ქონების გაყოფის დროს ქორწინების შედეგად მიღებული ქონების ნამატის გათანაბრების საკითხებზე (*Zugewinnausgleich*), ის ჩვეულებრივ არ ექვემდებარება რაიმე ცალკეულ განაწილებას ქორწინებასთან დაკავშირებული საჩუქრის გათანაბრების პრინციპებიდან (*Zuwendungen*)¹⁶¹ გა-

მომდინარე. ეს პრინციპები ასევე ვრცელდება შესაძარებელ შემთხვევებზეც, მაგალითად, როდესაც მეუღლეებს სოლიდარულად ქირის გადახდის ვალდებულება აქვთ, მაგრამ თანაცხოვრების არსებობის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ ერთმა მეუღლემ გადაიხადა უპირატესად ან სრულად.

- შიდა ურთიერთობაში ზედამხედველობის მოვალეობის დარღვევის გამო პასუხისმგებელი სოლიდარულ მოვალე არ შეიძლება მიუთითებდეს მეორე ზიანის მიმყენებელზე, რომ მან სათანადო ზედამხედველობა არ განახორციელა (თუმცა შდრ. გსკ-ის § 840 II ბოლო ალტერნატივა).¹⁶² გამონაკლის შემთხვევაში, სხვანაირად შეიძლება წარმოჩინდეს საკითხი, თუ პირს, რომელიც ვალდებულია, შეასრულოს ზედამხედველობა, აქვს უმაღლესი რანგის საექსპერტო ცოდნა ან გამოცდილება და შესაბამისად, მას დაევალა ზედამხედველობა.¹⁶³

- თუ ზიანის მიმყენებელი პასუხისმგებელია დაზარალებულის წინაშე, რომ მან მეორე ზიანის მიმყენებელის მიერ მიზანმიმართულად შექმნილი საშიში მდგომარეობა დაუყოვნებლივ ვერ აღმოფხვრა, როგორც წესი, ამ უკანასკნელს არ აქვს წილის გათანაბრების მოთხოვნის უფლება.¹⁶⁴

სასამართლო პრაქტიკაში საბოლოოდ არ არის გადანყვეტილი, არის თუ არა, და თუ არის, რა ფარგლებში მარტივდება ან ბრუნდება მტკიცების ტვირთი¹⁶⁵ კრედიტორის სასარგებლოდ პასუხისმგებლობის დაკისრების მოთ-

¹⁶⁰ „თუ მეუღლეს იმაზე მეტი შენატანი შეაქვს აქვს ოჯახის სარჩოსთვის, ვიდრე აღნიშნულის ვალდებულება აკისრია, ეჭვის შემთხვევაში სავარაუდოა, რომ იგი არ აპირებს მეორე მეუღლისგან კომპენსაციის მოთხოვნას.“

¹⁶¹ ქორწინებასთან დაკავშირებული საჩუქარი (*Zuwendungen*) (ზოგჯერ ასევე მოიხსენიება, როგორც უსახელო საჩუქარი (*unbenannte Zuwendungen*)) არის მეუღლეებისთვის გამიზნული საჩუქარი, რომელიც ემყარება იდეას ან მოლოდინს, რომ ოჯახური ურთიერთობა იარსებებს, ან სხვაგვარად შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც წვლილი მეუღლეთა ერთად ცხოვრების განხორციელებაში ან მოწყობაში. ქორწინებასთან დაკავშირებული საჩუქარი ეფუძნება ამ შესრულების მიზანს. ისინი განსხვავდებიან მეუღლეებისთვის გამიზნული საჩუქრისგან იმით, რომ ჩუქება ხდება მჩუქებლის ალქმადი ნების მიხედვით, უსასყიდლოდ, ნამდვილი გულუხვობის გაგებით. ჩუქება არ უკავშირდება ქორწინების გაგრძელების მოლოდინს, არამედ ხდება ნივ-

თის გადაცემა მიმღებისთვის მისი მხრიდან ნივთის თავისუფალი განკარგვის მიზნით. შდრ. *etwa*: BGH, Urteil vom 08.11.2011 - IX ZR 33/11 - NJW 2012, 1217 (juris Rn. 44); BGH, Urteil vom 09.07.2008 - XII ZR 179/05 - BGHZ 177, 193 (juris Rn. 15 ff.).

¹⁶² BGH, Urteil vom 23.01.1990 - VI ZR 209/89 - BGHZ 110, 114 (juris Rn. 17); BGH, Urteil vom 07.03.1989 - VI ZR 191/88 - VersR 1989, 633 (juris Rn. 19).

¹⁶³ BGH, Urteil vom 07.03.1989 - VI ZR 191/88 - VersR 1989, 633 (juris Rn. 19).

¹⁶⁴ BGH, Urteil vom 22.04.1980 - VI ZR 134/78 - NJW 1980, 2348 (juris Rn. 25).

¹⁶⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად: <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> zu Art. 102, insb. Rn.6 ff. (უდავო მტკიცებულებები), Rn. 44 ff. (მეორადი მტკიცების ტვირთი) und Rn. 57 ff. (მტკიცების ტვირთის შემობრუნება).

ხოვნისას, მაგალითად, მიზეზობრივი კავშირის არსებობის ვარაუდი უხეში სამედიცინო შეცდომის დროს, ასევე, შეიძლება გადავიდეს თუ არა შიდა წილთა განაწილებაზე გსკ-ის § 426 I და გსკ-ის § 426 II გამომდინარე. ყოველ შემთხვევაში, როგორც ტენდენცია უჩვენებს, აღნიშნული დამოკიდებულება იმაზე, არსებობს თუ არა გარე ურთიერთობაში მოქმედი მტკიცების ტვირთის გამარტივებისთვის ან შებრუნებისთვის მნიშვნელოვანი მიზეზები შიდა ურთიერთობაშიც.¹⁶⁶

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ წილთა გადანაწილება, როგორც წესი, არ ვრცელდება კრედიტორთან სამართლებრივ დავაში სოლიდარული მოვალის მიერ გაწეულ პროცესუალურ ხარჯებზე. თითოეულმა სოლიდარულმა მოვალემ უნდა გაითვალისწინოს მთლიანი მოთხოვნა; ამიტომ მან უნდა ატაროს აღნიშნული ტვირთი, თუ იგი არ აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას.¹⁶⁷

გ) დარღვეული სოლიდარული ვალდებულებები

გერმანულ სამართალში, პრობლემურ შემთხვევებს აღნიშნავენ ფრაზებით „დარღვეული სოლიდარული პასუხისმგებლობა“ ან „დარღვეული სოლიდარული პასუხისმგებლობის ურთიერთობები“. მარტივად რომ ვთქვათ, საკითხი ეხება შეკითხვას, აისახება თუ არა, და როგორ ზეგავლენას მოახდენს სოლიდარულ მოვალეებს შორის შიდა ანგარიშსწორებაზე კრედიტორსა და ცალკეულ მოვალეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების შინაარსობრივი არაიდენტურობა. ზოგჯერ ეს კითხვები ჩნდება ასევე მაშინ, როდესაც სამოქალაქო სამართლის ზოგად პრინციპებზე დაფუძნებული პასუხისმგებლობა მონაწილე მხარის მიმართ სპეციალური კანონისმიერი რეგულაციების (პასუხისმგებლობის პრივილეგიების) გამო არ წარმოიქმნება. გსკ-ის §§ 423-დან 425-ე პარაგრაფებში

დადგენილ სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა შემდეგი კრიტერიუმები.

ზოგადი დათქმების გათვალისწინებით, თუ არსებობს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი კანონისმიერი გარემოებები ზიანის მომტანი პირის სასარგებლოდ, ასეთ შემთხვევაში წილთა განაწილების მოთხოვნა გსკ-ის § 426-ე პარაგრაფის მიხედვით თავიდანვე გამორიცხულია. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობა გარე ურთიერთობებში არასოდეს წარმოშობილა.¹⁶⁸ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი კანონისმიერი გარემოებებისას, გადამწყვეტია საკითხი, არაპრივილეგირებული მოვალის გარე პასუხისმგებლობა შემცირებულია თუ არა იმ პროპორციით, რომელიც (პასუხისმგებლობის გამომრიცხავი კანონისმიერი გარემოებების გარეშე) გამოერიცხა პრივილეგირებულ მხარეს.¹⁶⁹ ამ მოსაზრების მიღმა დგას იდეა, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვის სხვანაირი გაგების შემთხვევაში ეკონომიკური შედეგის თვალსაზრისით აღნიშნულს არა მხოლოდ კრედიტორი, არამედ მთლიანად ან ნაწილობრივ არაპრივილეგირებული მოვალე გამოიყენებდა; პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე მას სხვა მონაწილეებისგან ნაწილობრივი კომპენსაცია შეეძლო მიეღო, რასაც მას პასუხისმგებლობის გამორიცხვა ართმევს.

სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობისა და საჯარო მოხელეთა პენსიის შესახებ კანონის¹⁷⁰ (სამუშაო ან სამსახურებრივი

¹⁶⁶ BGH, Urteil vom 06.10.2009 - VI ZR 24/09 - NJW-RR 2010, 831 (juris Rn. 12).

¹⁶⁷ BGH, Urteil vom 26.06.2003 - VII ZR 126/02 - BGHZ 155, 265 (juris Rn 23 ff.).

¹⁶⁸ BGH, Urteil vom 27.10.2020 - XI ZR 429/19 - NJW 2021, 550 (juris Rn. 19).

¹⁶⁹ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარე პასუხისმგებლობის მოთხოვნა შემოიფარგლება იმ თანხით, რომელიც შიდა ურთიერთობაში არაპრივილეგირებულ მოვალეს გამოერიცხება, თუ პასუხისმგებლობის გამორიცხვა არ იქნება მხედველობაში მიღებული. მაშინ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შედეგად კრედიტორს მოუწევდა, თავად აეღო საკუთარ თავზე პრივილეგირებული მოვალის ფიქტიური წილი.

¹⁷⁰ მაგალითად: საწარმოო უბედური შემთხვევისას დამსაქმებლის პასუხისმგებლობის პრივილეგირება უბედური შემთხვევის დაზღვევის დაწესებულების კანონისმიერი ვალდებულების გამო; § 104 პუნქტი 1 SGB VII: „დაზღვეული მენარმეები, რომლებიც მუშაობენ თავიანთი კომპანიისთვის ან იმყოფებიან დაზღვევის

უბედური შემთხვევების) გარკვეული კონსტელაციებისთვის ეს მოგვარების გზა არჩეულია გერმანული სასამართლო პრაქტიკით.¹⁷¹ საბოლოო ჯამში, აქ გადამწყვეტი ფაქტორია ის მოსაზრება, რომ სოციალური დაცვის კანონის ან საჯარო მოხელეების პენსიის შესახებ კანონმ-

ფარგლებში წარმოშობილ სხვა ურთიერთობებში ისევე, როგორც მათი ნათესავები და მემკვიდრეები სხვა კანონისმიერ დებულებების შესაბამისად, პირადი ანაზღაურების მიზნით. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ დაზიანებაზე მხოლოდ მაშინ არიან ვალდებული, თუ მათ სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვიეს განზრახ ან...“. იგივე წესი მოქმედებს პასუხისმგებლობის დაკისრებისას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს შორის სამსახურში უბედური შემთხვევისას. მსგავსი რეგულაციები (მაგრამ არა იმავე შინაარსით) ვრცელდება ავარიებზე, რომლებშიც მონაწილეობენ საჯარო მოხელეები, მოსამართლეები და ჯარისკაცები. ძალიან მოკლედ რომ ითქვას, პასუხისმგებლობის გამორიცხვის მიზეზი არის ის, რომ დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, შრომითი ურთიერთობიდან ან მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე უბედური შემთხვევის დადგომისას მოთხოვნა წამოაყენოს უბედური შემთხვევის დაზღვევის კანონისმიერი დანესებულებების წინაშე და ამ შემთხვევის დაზღვევის შენატანები ეკისრება დამსაქმებელს. აღნიშნული კანონისმიერი სადაზღვევო ვალდებულების გათვალისწინებით, დამსაქმებელი არ უნდა იყოს დამატებით პასუხისმგებელი სამოქალაქო კანონმდებლობით. ამავე იდეას ეფუძნება დამსაქმებლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება თანამდებობის პირების, მოსამართლეების და ჯარისკაცების მონაწილეობით სამსახურებრივი ავარიის შემთხვევაში. სამსახურში უბედური შემთხვევისას, დამსაქმებლის მიმართ არსებობს სოციალური უზრუნველყოფის მოთხოვნები; შესაბამისად, მათ არ უნდა დაემატოთ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

¹⁷¹ BGH, Urteil vom 18.11.2014 - VI ZR 47/13 - BGHZ 203, 224 (juris Rn. 18 ff.); BGH, Urteil vom 23.09.2014 - VI ZR 483/12 - VersR 2014, 1395 (juris Rn. 16); BGH, Urteil vom 30.05.2017 - VI ZR 501/16 - VersR 2017, 1014 (juris Rn. 13); სპეციალური სიტუაციისთვის ასევე: BGH, Urteil vom 17.10.2017 - VI ZR 423/16 - BGHZ 216, 149 (juris Rn. 42). დამსაქმებლისა და სამსახურში ავარიის გამომწვევი დასაქმებულის პასუხისმგებლობის ამ გათავისუფლების საფუძველი არის ის (ძალიან მოკლედ წარმოდგენილი), რომ დამსაქმებელი თავისი შენატანებით აფინანსებს კანონით გათვალისწინებული უბედური შემთხვევის დაზღვევას, რაც ანიჭებს დასაქმებულს ნებისმიერი უბედური შემთხვევისას დაზღვევით გათვალისწინებულ დაცვას სამუშაოზე. სანაცვლოდ, მენარმე ან თანამშრომელი, რომელიც იწვევს სამსახურში ავარიას, ნაწილობრივ თავისუფლდება სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან.

დებლობიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის გამორიცხვის ეფექტი არ უნდა აისახოს სხვა ზიანის მიმყენებლის ინტერესების საზიანოდ და არც ის, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვა დამსაქმებლის ან დამკვეთის წინააღმდეგ მიმართული რეგრესული საჩივრებით იყოს არაპირდაპირი გვერდის ავლა. თუმცა, ამ განსაკუთრებული სიტუაციის გარდა, პასუხისმგებლობის სამართლებრივი გამორიცხვა გავლენას არ ახდენს კრედიტორის მოთხოვნებზე სხვა ზიანის მიმყენებლების მიმართ.

იგივე მოქმედებს, თუ პასუხისმგებლობის პრივილეგიების შემთხვევები გამომდინარეობს ბრალეულობის კვალიფიციური სტანდარტიდან. თუ, მაგალითად, მონაწილე პირის პასუხისმგებლობა კანონის მიხედვით დგება მხოლოდ უხეში დაუდევრობის ან ჩვეული გულმოდგინების დარღვევის შემთხვევაში (*diligentia quam in suis*) და თუ ესეთი შემთხვევა სახეზე არ არის, ეს ჩვეულებრივ გავლენას არ ახდენს სხვა ზიანის მიმყენებელი პირების პასუხისმგებლობაზე. ასევე გამორიცხულია, შიდა ურთიერთობებში პრივილეგიებულ თანაბრალეულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისროს გსკ-ის §426-ე პარაგრაფის მიხედვით, ვინაიდან მას აკლია ამისთვის აუცილებელი სოლიდარული პასუხისმგებლობა გარე ურთიერთობაში. თუმცა, ამ თემის პრაქტიკული აქტუალობა მცირდება იმით, რომ სასამართლო პრაქტიკა მაინც არ იყენებს ჩვეული გულმოდგინების დარღვევის ბრალეულობის სტანდარტს (მაგ., გსკ-ის § 1359-ე პარაგრაფი მეუღლეებისთვის, გსკ-ის § 708-ე პარაგრაფი პარტნიორებისთვის), თუ ზიანი დადგა საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისას ან საჯაროსამართლებრივი მოვალეობების დარღვევით გამოწვეული უბედური შემთხვევისას.¹⁷² ასე რომ, თუ ერთი მეუღლე ზიანს აყენებს მეორეს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს,

¹⁷² BGH, Urteil vom 10.06.1974 - IV ZR 212/72 - BGHZ 63, 51 (juris Rn. 9 ff.), ერთი მეუღლის მიერ გამოწვეული ზიანი ავტოსაგზაო შემთხვევისას; BGH, Urteil vom 20.12.1966 - VI ZR 53/65 - BGHZ 46, 313 (juris Rn. 9 ff.) პარტიორისთვის; BGH, Urteil vom 24.03.2009 - VI ZR 79/08 - NJW 2009, 1875 (juris Rn. 10 ff.) ერთი მეუღლის მიერ გამოწვეული ზიანი წყალზე სრიალის დროს.

მას არ შეუძლია თქვას, რომ მან საგზაო მოძრაობის წესები ჩვეულებრივ უგულებელყო.¹⁷³

თუ დადგინდა სოლიდარული პასუხისმგებლობა და ინდივიდუალური მოთხოვნების ბედი განსხვავებულია, სამართლებრივი შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მოწყობილი სამართლებრივი ურთიერთობა კრედიტორსა და მოვალეს შორის, რომელსაც უშუალოდ შეეხო ვალდებულებით სამართლებრივი ცვლილება. თუ ეს ცვლილებები კანონისმიერ ხასიათს ატარებს, სამართლებრივი შედეგები დიდწილად რეგულირდება გსკ-ის §§ 422-ე და შემდგომ პარაგრაფებში.

სახელშეკრულებო ცვლილებებთან დაკავშირებით მიღებული პრეცედენტული სამართალი წარმოდგენილი უნდა იყოს პრაქტიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კონსტელაციის საფუძველზე, როგორიცაა კრედიტორის მორიგება სოლიდარულ მოვალესთან ან სოლიდარული მოვალეების ნაწილთან, რაც უნდა შემოწმდეს ორ ეტაპად.

უპირველეს ყოვლისა - მოთხოვნაზე უარის თქმის შინაარსობრივად დაკავშირებული კანონისმიერი მოწესრიგების მიხედვით (გსკ-ის § 423-ე პარაგრაფი; სკ-ის 449-ე მუხლი გარკვეულწილად განსხვავებულად არის აღქმული) - საკითხავია, აქვს თუ არა მოვალესთან მორიგებას ე.წ. საერთო ეფექტი. თუ არსებობს ასეთი საერთო ეფექტი, მორიგებაში ჩართული სოლიდარული მოვალის მიმართ მოთხოვნა ასევე შემოიფარგლება მორიგების ოდენობით. ამის შემდეგ წილთა გათანაბრების მოთხოვნებზე ვრცელდება გსკ-ის 426-ე პარაგრაფის ზოგადი პრინციპები.

თუ ასეთი საერთო ეფექტი არ არის ნასურვები, ძირითადად არსებობს შემდეგი მოგვარების გზები:

- განმარტება აჩვენებს, რომ მოთხოვნა სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელიც არ მონაწილეობს მორიგებაში, ამ მომენტიდან უნდა შემოიფარგლოს მისი შიდა პასუხისმგებლობის კვოტით (ე.წ. შეზღუდული საერთო ეფექტი). მორიგებაში ჩართული სოლიდარული მო-

ვალე მიღწეული მორიგებით თავისუფლდება შემდგომი ვალდებულებისაგან არა მხოლოდ კრედიტორთან მიმართებით, არამედ შეზღუდული საერთო ეფექტით მას აღარ უნდა ეშინოდეს, რომ კრედიტორი სრულ გადასახდელ თანხას მოითხოვს - როგორც სხვაგვარად შესაძლებელი იქნებოდა - სოლიდარული მოვალისგან, რომელიც არ არის ჩართული მორიგებაში და, საბოლოო ჯამში, აღნიშნული გამოიწვევს შიდა რეგრესის მოთხოვნას, რომელიც მიმართული იქნება მის წინააღმდეგ გსკ-ის § 426-ე პარაგრაფის მიხედვით.

- სხვანაირი განმარტება გვიჩვენებს, რომ მორიგებამ უნდა იმოქმედოს მხოლოდ ხელშემკრელ მხარეებს შორის გარე სამართლებრივ ურთიერთობაზე (ინდივიდუალური ეფექტი). მაშინ, როცა კრედიტორის მოთხოვნები სოლიდარული მოვალის მიმართ, რომელიც არ არის ჩართული მორიგებაში და მისი კომპენსაციის მოთხოვნები გსკ-ის § 426-ე პარაგრაფიდან, უცვლელი რჩება. ამის შედეგია ის, რომ მორიგებაში ჩართული სოლიდარული მოვალეები მორიგების დადებით ვერ აღწევენ იმ მიზანს, რომ საბოლოოდ გაირკვეს მათი სამართლებრივი მდგომარეობა. პირიქით, შეიძლება მოხდეს ისე, რომ მათ (თუ მორიგების თანხა მათ შიდა ვალდებულების კვოტაზე ნაკლებია), მორიგების თანხის გარდა, სხვა სოლიდარული მოვალის წილობრივი კომპენსაცია მართებდეთ.

ამ შესაძლო გადანყვებიდან რომელია სასურველი, დამოკიდებულია ინტერესებზე დაფუძნებულ მიღწეული მორიგების განმარტებაზე. სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნევა შემდეგი ტენდენციები:

საექვოობისას, ფედერალური უმაღლესი სასამართლო სოლიდარულ მოვალესთან მორიგებას არ ანიჭებს საერთო ეფექტს.¹⁷⁴ ასეთი შეთანხმება ივარაუდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მორიგება პირდაპირ ან გარემოებების მიხედვით ცხადყოფს, რომ კრედიტორს სურვილი ჰქონდა უარი ეთქვა შემდგომ მოთხოვნებზე დანარჩენი სოლიდარული მოვალეების მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ მორი-

¹⁷³ BGH, Urteil vom 24.03.2009 - VI ZR 79/08 - NJW 2009, 1875 (juris Rn. 11).

¹⁷⁴ BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 21).

გებაში. ამისთვის საკმარისი არ არის, რომ მორიგების სიტყვასიტყვითი ფორმულირებით ხელშეკრულების პარტნიორების ყველა მოთხოვნა გაუქმდეს.¹⁷⁵ ამდენად, ასეთი „მოგვარების დათქმა“ ავტომატურად არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მორიგებაში ჩართულ სოლიდარულ მოვალეს წარმოეშვას შემდგომი ეკონომიკური ტვირთი სხვა სოლიდარული მოვალის კომპენსაციის მოთხოვნისას. თუმცა, ცალკეული შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, საერთო ეფექტის არსებობაზე შეიძლება მიუთითებდეს ის, რომ მორიგებაში ჩართული სოლიდარული მოვალე შიდა ურთიერთობებში არის ექსკლუზიურად პასუხისმგებელი და რომ ხელშეკრულების მხარეებმაც იცოდნენ ან, სულ მცირე, შეეძლოთ სცოდნოდათ აღნიშნული.¹⁷⁶ თუმცა, სოლიდარული მოვალის შიდა ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მორიგების დადებაზე არ არის საკმარისი თავისთავად საერთო ეფექტის მისაღებად.¹⁷⁷ იგივე მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური პარტნიორობა ან თანაცხოვრება სოლიდარულ მოვალეებს შორის ან პასუხისმგებლობის ერთიანობის პრინციპი.¹⁷⁸

ნაწილობრივი საერთო ეფექტი ასევე აშკარაა, თუ კრედიტორი მორიგებას აფორმებს მოვალესთან, რომელიც ითვალისწინებს ანაზღაურების გადახდის წინასწარ შესაძლებლო-

ბას.¹⁷⁹ ასეთ შემთხვევებში აღნიშნულის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ კრედიტორს აღარ შეუძლია მოსთხოვოს სხვა სოლიდარულ მოვალეებს, თუნდაც ნაწილობრივი ოდენობის გადახდა, რომელზედაც ის უარს ამბობს თანხის დროულად გადახდის შემთხვევაში (შდრ. სკ-ის 449-ე მუხლი).

შეზღუდული საერთო ეფექტი, თუ წმინდად ინდივიდუალური ეფექტია ნასურვები, დამოკიდებულია ინდივიდუალური შემთხვევის გარემოებებზე. აქ, სხვა საკითხებთან ერთად, გადამწყვეტი ფაქტორია, შეეძლო თუ არა მორიგებაში ჩართულ სოლიდარულ მოვალეს ჰქონოდა ნდობა, რომ მისთვის მთელი დავა მოგვარდა მორიგების დასრულებით ყოველგვარი „თუ“ და „მაგრამების“ გარეშე. ასეთი სურვილი, როგორც წესი, არ არსებობს, ვინაიდან მოვალისთვის მორიგების დადება ხშირად ასოცირდება მიზანთან - რაც ასევე ცნობილია კრედიტორისთვის - „საბოლოო სიმშვიდე“ მიღწეულ იქნეს მორიგებით. თუ ასეთი (შესაძლოა სავარაუდო) ნება დადგინდება, ეს მიუთითებს შეზღუდულ საერთო ეფექტზე.

მეორე მხრივ, თავიდანვე გამორიცხულია, რომ მორიგება, რომელიც, მართალია, ხელშეუხებელს ტოვებს სამართლებრივ ურთიერთობას კრედიტორსა და იმ მოვალეს შორის, რომელიც არ მონაწილეობს ანგარიშსწორებაში, მაგრამ ამ უკანასკნელს შეიძლება უარი ეთქვას

¹⁷⁵ BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 21); განმარტების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დეტალურად: OLG Düsseldorf, Urteil vom 28.07.2016 - I-5 U 111/15 juris Rn. 75 ff.

¹⁷⁶ BGH, Urteil vom 21.03.2000 - IX ZR 39/99 - NJW 2000, 1942 (juris Rn. 23); vgl. auch: OLG Karlsruhe, Urteil vom 06.10.2004 - 7 U 143/03 - VersR 2006, 130 (juris Rn. 6 ff.); OLG Düsseldorf, Urteil vom 24.08.2005 - I-15 U 190/04 - juris Rn. 23.

¹⁷⁷ BGH, Urteil vom 22.12.2011 - VII ZR 7/11 - BGHZ 192, 182 (juris Rn. 23).

¹⁷⁸ თუ, მაგალითად, მეუღლეები ან მშობლები და შვილები სოლიდარულად არიან პასუხისმგებელი და კრედიტორი აფორმებს მორიგებას ერთ მეუღლესთან ან მშობლებთან, საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მან ასევე უნდა იმოქმედოს მეორე მეუღლის ან შვილების მიმართაც. ანალოგიურად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ავტოტრანსპორტის მძღოლთან დადებულ მორიგებას ასევე ჰქონდეს საერთო ეფექტი მფლობელის სასარგებლოდ (შიდა ურთიერთობებში, მას ჩვეულებრივ არ ეკისრება ვალდებულება მძღოლთან).

¹⁷⁹ დაახლოებით შემდეგნაირად: სოლიდარული მოვალე იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს 100 000 ევრო. თუ ის გადაიხდის 50,000 ევროს X დღემდე, დანარჩენ ნაწილზე მოთხოვნა უქმდება. შემდგომში წარმოდგენილია გარკვეული მტკიცებულებები იმის სასარგებლოდ, რომ თუ ნაწილობრივი თანხა დროულად გადაიხდება, კრედიტორი უარს იტყვის 50,000 ევროზე და აღნიშნულს ექნება საერთო ეფექტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორი შეინარჩუნებდა მოთხოვნებს სხვა მოვალის მიმართ და ამ უკანასკნელს შეეძლო მოეთხოვა ნილობრივი შიდა ანგარიშსწორება. თუმცა, ზოგადად, აღნიშნული უნდა ეწინააღმდეგებოდეს ასეთი ანაზღაურების პუნქტის მიზანს. ანალოგიური პრობლემა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ მორიგებაში მონაწილე სოლიდარული მოვალის მიმართ მოთხოვნა ხანდაზმულია (ან ხანდაზმულობის ვადა მაინც ცალსახად გარდაუვალია) და ამის გათვალისწინებით, მორიგების თანხა განზრახ ჩამოუვარდება ამ გადასახდელის ოდენობას, რომელიც რომ არა ხანდაზმულობის პრობლემა, სავარაუდოდ, წარმოიშობოდა.

სოლიდარული მოვალეობა წილთა განაწილებაზე გსკ-ის 426-ე პარაგრაფის მიხედვით. ასეთი ინტერპრეტაციით მორიგების დადებას დაუშვებელი ირიბი ეფექტი ექნება მესამე პირების საზიანოდ.¹⁸⁰

რთულია პასუხის გაცემა შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა მორიგებისთვის შემუშავებული ამ გერმანული სასამართლო პრაქტიკის საქართველოს სამართლებრივ ვითარებაში შეზღუდვის გარეშე გამოყენება და შეენიშნაღმდეგება თუ არა ის სკ-ის 449-ე მუხლს. სკ-ის 449-ე მუხლის მსგავს გამოყენებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ როგორც ვალის პატიებას, ისე მორიგებას, იგივე ეფექტი აქვს მოთხოვნაზე. თუმცა, მეორე მხრივ, მორიგება არის სინალაგმატური შეთანხმება ორმხრივი დათმობით, ანუ სამართლებრივ-დოგმატურად მნიშვნელოვნად განსხვავებული შეთანხმებაა.

მსგავსი საკითხი წარმოიქმნება, თუ მხარე (რომელიც ვალდებულია, გადაიხადოს) პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ხელშეკრულების საფუძველზე.¹⁸¹ აქაც პირველი ნაბიჯი არის იმის შემოწმება, აქვს თუ არა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას საერთო ეფექტი, ანუ ვრცელდება თუ არა ის ყველა პოტენციურ მოვალეზე.¹⁸² ასეთი საერთო ეფექტი უნდა განიხილებოდეს, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, თუ ყველა ჩართული მხარე, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული სარგებლის მიმღები პირის ჩათვლით, ქმნის პასუხისმგებლობის ერთიანობას (*Haftungseinheit*).¹⁸³ თუ ეს ასე არ არის, მოქმედებს მორიგების შემთხვევაში არსებულის იდენტური პრინციპი. კერძოდ, შესაძლებელია, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე (გსკ-ის § 242-ე პარაგრაფი), კრედიტორს მოეთხოვოს, რომ მან ზიანის მიმყენე-

ბელს, რომელიც არ არის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებით პრივილეგირებული, პრეტენზია წაუყენოს მხოლოდ მისი ფაქტობრივი (პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე) შიდა პასუხისმგებლობის კვოტაზე.¹⁸⁴ ზოგადად, აქ განმარტებისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ სახელშეკრულებო რეგულაციები გავლენას არ ახდენენ ზიანის მიმყენებლებს შორის შიდა ურთიერთობაზე. თუმცა, სხვა რამ შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუ რამდენიმე მონაწილესთან შეთანხმებით, არა მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო პარტნიორი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, არამედ მეორე პარტნიორსაც მიენიჭება უფლებამოსილება ზიანის პრევენციასთან (მხოლოდ შიდა ურთიერთობით) დაკავშირებით.¹⁸⁵ თუმცა, ეს ყოველთვის განმარტების საკითხია, სადაც ცალკეული საქმის გარემოებებია გადამწყვეტი.

დ) პროცესუალური საკითხები

სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გერმანიაში ასევე არსებობს მთელი რიგი პროცესუალური საკითხები, რომლებიც აქ მხოლოდ მოკლედ იქნება წარმოდგენილი.

სავალდებულო და მარტივ საპროცესო თანამონაწილეობასთან დაკავშირებით უნდა მიეთითოს Lawlibrary-ის¹⁸⁶ სამოქალაქო საპროცესო კომენტარის 86-ე და შემდგომ მუხლებზე.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში მატერიალურსამართლებრივი ეფექტი მხოლოდ სამართლებრივი დავის მხარეებსა და მათ უფლებამონაცვლებს შორის მოქმედებს (გსკ-ის §§ 322, 325-ე პარაგრაფები).¹⁸⁷ აღნიშ-

¹⁸⁰ BGH, Urteil vom 09. 03.1972 - VII ZR 178/70 - BGHZ 58, 216 (juris Rn. 17 ხელშეკრულებით პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება).

¹⁸¹ BGH, Urteil vom 09. 03.1972 - VII ZR 178/70 - BGHZ 58, 216 (juris Rn. 17 ff.); BGH, Urteil vom 17.12.2009 - VII ZR 172/08 - NJW 2010, 1592 (juris Rn. 14 ff.).

¹⁸² BGH, Urteil vom 17.12.2009 - VII ZR 172/08 - NJW 2010, 1592 (juris Rn. 14 ff.); BGH, Urteil vom 06.07.1995 - I ZR 123/93 - BGHZ 130, 223 (juris Rn. 12 ff.).

¹⁸³ BGH, Urteil vom 17.12.2009 - VII ZR 172/08 - NJW 2010, 1592 (juris Rn. 14 ff.).

¹⁸⁴ BGH, Urteil vom 09. 03.1972 - VII ZR 178/70 - BGHZ 58, 216 (juris Rn. 22).

¹⁸⁵ vgl. BGH, Urteil vom 11.11.2003 - VI ZR 13/03 - BGHZ 157, 9 (juris Rn. 22); BGH, Urteil vom 23.01.1990 - VI ZR 209/89 - BGHZ 110, 114 (juris Rn. 12 ff.).

¹⁸⁶ <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> zu Art. 86 f.

¹⁸⁷ <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> zu Art. 10 Rn. 4 ff. und 9 ff.; შენიშვნა: ეს მონაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი ონლაინ რეჟიმში, მისი წაკითხვა

ნული პირდაპირ არის მითითებული გსკ-ის § 425 II-ში, მაგრამ ასევე გამომდინარეობს ზოგადი პროცესუალური პრინციპებიდან. მაშასადამე, გერმანიის საპროცესო კანონმდებლობაში მოქმედებს შემდეგი:

თუ სარჩელი პოტენციური სოლიდარული მოვალის წინააღმდეგ საბოლოოდ იქნა უარყოფილი, მოვალეს, რომელმაც სრულად შეასრულა მოთხოვნა, თავისუფლად შეუძლია მოითხოვოს სოლიდარულ მოვალეთა წილთა კომპენსაცია გსკ-ის 426 I პარაგრაფის შესაბამისად. სარჩელის უარყოფით, იურიდიული ეფექტის უფლებამონაცვლეზე გავრცელების გამო (გსკ-ის § 325-ე პარაგრაფი), ასევე პოტენციურ სოლიდარულ მოვალეებს შორის დადგენილად ითვლება, რომ აღარ არსებობს გსკ-ის § 426 II პარაგრაფის შესაბამისად გადასაცემი მოთხოვნა.¹⁸⁸ წილთა კომპენსაციის თავდაპირველი მოთხოვნა გსკ-ის § 426 I პარაგრაფიდან უცვლელი რჩება.¹⁸⁹

თუ ორ საპროცესო თანამონაწილეს, როგორც სოლიდარულ მოვალეებს, საბოლოოდ დაევაღათ ზიანის ანაზღაურება, მათი პასუხისმგებლობა საბოლოოდ დადგენილია მხოლოდ კრედიტორთან მიმართებაში, მაგრამ არა თავად სოლიდარულ მოვალეთა ურთიერთობაში. მაშასადამე, თითოეულ საპროცესო თანამონაწილეს, რომელიც მიჩნეულია სოლიდარულ მოვალედ, შეუძლია შემდგომ სამართლებრივ დავაში იდავოს შიდა განაწილების საკითხზე, რომ გარე ურთიერთობაში არსებობდა კრედიტორის ერთი გსკ-ის § 426-ე პარაგრაფით გათვალისწინებული წილთა გათანაბრების მოთხოვნა.¹⁹⁰

თუმცა, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალი გვთავაზობს კრედიტორის ინიციატივით ე.წ. მესამე მხარის ჩაბმის შესაძლებლო-

ბას¹⁹¹ (გსკ-ის § 72-ე პარაგრაფი). ისევე, როგორც ინტერვენციის ეფექტის შემთხვევაში, სოლიდარულ მოვალეებს შორის სამართლებრივ ურთიერთობაში, უპირველეს ყოვლისა, სოლიდარულ მოვალეთა რეგრესული მოთხოვნების პროცედურებში, აღარ შეიძლება სადავო იყოს, რომ კრედიტორთან წარმოებული წინა პროცესი იყო არასწორად გადანაცვლებილი.¹⁹²

მიზეზობრივი წილის შეწონვა მიეკუთვნება ფაქტობრივი შეფასების სფეროს. ზედა ინსტანციის სასამართლოებს შეუძლიათ მხოლოდ გადახედონ სამართლებრივ უსწორობებს, კერძოდ, გათვალისწინებული იყო თუ არა საქმისთვის არსებითი გარემოებები.¹⁹³

2. პროცესუალურსამართლებრივი პრობლემატიკა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

კრედიტორს უფლება აქვს, ცალ-ცალკე სარჩელები წარადგინოს თითოეული მოვალის მიმართ, პარალელურ რეჟიმში ან ერთი საქმის დასრულების შემდეგ წარადგინოს სარჩელი სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ, თუკი ვალდებულება ჯერ კიდევ არ შესრულებულა. სარჩელის წარდგენა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ არ არის დამოკიდებული იმაზე, შეეცადა თუ არა კრედიტორი შესრულების მიღებას სხვა მოვალისგან. ეს უფლება გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 465-ე და 469-ე მუხლებიდან.

თუ სოლიდარული მოვალე კრედიტორის პრეტენზიას არ დააკმაყოფილებს, ამ უკანასკნელის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანა არ ართმევს უფლებას, სარჩელი შეიტანოს და-

შესაძლებელია მხოლოდ PDF-ფაილის ჩამოტვირთვის შემთხვევაში.

¹⁸⁸ BGH, Urteil vom 06.10.2009 - VI ZR 24/09 - NJW-RR 2010, 831 (juris Rn. 12)

¹⁸⁹ vgl. auch: BGH, Urteil vom 22.09.1969 - VII ZR 116/67 VersR 1969, 1039 (juris 19); BGH, Urteil vom 06.10.2009 - VI ZR 24/09 - NJW-RR 2010, 831 (juris Rn. 12).

¹⁹⁰ BGH, Urteil vom 20.11.2018 - VI ZR 394/17 - NJW 2019, 1751 (juris Rn. 12).

¹⁹¹ <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> zu Art. 89 ff. Rn. 22 ff.

¹⁹² BGH, Urteil vom 07.03.2015 - VII ZR 104/14 - NJW-RR 2015, 1058 (juris Rn. 23).

¹⁹³ BGH, Urteil vom 16.04.1996 - VI ZR 79/95 - NJW 1996, 2023 (juris Rn. 26); BGH, Urteil vom 21.09.1983 - VIII ZR 163/82 - JZ 1984, 230 (juris Rn. 27). ამ მხრივ, ლოგიკურად გამოიყენება რევიზიისთვის დადგენილი შემთხვევების სტანდარტები შერეული ბრალის შემთხვევაში. Dazu: <http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> zu Art. 399 ff. Rn. 11.

ნარჩენ მოვალეთა მიმართაც.¹⁹⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართალურთიერთობები შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარეებისა და მათი სამართალმემკვიდრეებისათვის. გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები სხვა მოვალეთა მიმართ არ ვრცელდება. ამდენად, სოლიდარული მოვალეების მიმართ სარჩელის ცალკე წარდგენის შემთხვევაში თითოეული მოთხოვნა დამოუკიდებლად განიხილება. შესაძლოა, ერთიანი სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით პროცესუალური შედეგი დადგეს ორი ან მეტი გადაწყვეტილების გამოტანის გზით. თითოეული მათგანის კანონიერ ძალაში შესვლას ეს გარემოება არ დააბრკოლებს, თუმცა, გადაწყვეტილებების აღსრულების ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ სკ-ის 463-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, კრედიტორს მხოლოდ ერთხელ შეუძლია შესრულების სრულად მიღება. ამდენად, მას შეუძლია, ერთ-ერთი გადაწყვეტილება აღასრულოს მთლიანად ან ნაწილობრივ აღასრულოს ყველა გადაწყვეტილება და ყველა მოვალისგან ჯამურად დაიკმაყოფილოს თავისი სრული ინტერესი. პროცესუალურსამართლებრივი თვალსაზრისით, ყველა ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებას არ აბრკოლებს არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები და არც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, თუმცა, მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, სკ-ის 467-ე მუხლის რეგულაციიდან გამომდინარე, როგორც კი კრედიტორი სრულ შესრულებას მიიღებს, სოლიდარული ვალდებულება წყდება და ზედმეტი შესრულების მიღება წარმოქმნის უსაფუძვლო გამდიდრების წინაპირობებს. ზუსტად ასევე შეუძლია კრედიტორს თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ნაუყენოს მთლიანი მოთხოვნა სარჩელის ფორმით ან ნაწილ-ნაწილ მოითხოვოს გადახდა და აწარმოოს ამასთან დაკავშირებული რამდენიმე პროცესი.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სოლიდარული ვალდებულების მიზანია კრედიტორის მდგომარეობის გაუმჯობესება. სკ-ის 465-ე მუხლის თანახმად, კრედიტორი მოვალის არჩევანში თავისუფალია. სკ-ის 469-ე მუხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, მას შეუძლია, სარჩელი აღძრას როგორც ყველა მოვალის მიმართ ერთობლივად, ისე - ნებისმიერი მათგანის მიმართ ცალ-ცალკე.

თუკი სახეზეა სოლიდარული მოვალეების მიმართ წარდგენილი სარჩელების გაერთიანების ფორმალური წინაპირობები, შინაარსობრივი თვალსაზრისით შესაძლებელია ამ საქმეთა ერთ წარმოებად გაერთიანება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სოლიდარული მოვალეების მიმართ ერთად წარდგენილი სარჩელიდან სასარჩელო მოთხოვნის ცალკე წარმოებად გამოყოფის მიზანშეწონილობა ცალკეულ შემთხვევებში უნდა შეაფასოს სასამართლომ. სადავოა, თუ რამდენად გამართლებულია თითოეული მოვალის მიმართ საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა მაშინ, როდესაც მოსარჩელემ სასამართლოს მსჯელობის საგნად აქცია მოპასუხეთა სოლიდარული ვალდებულება.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც უკავშირდება საგნობრივი განსჯადობის გამიჯვნის პრობლემატიკას, ვლინდება სოლიდარულად პასუხისმგებელი პირების მიმართ წარდგენილი სარჩელის შემთხვევაში, სადაც ზიანის ანაზღაურებაზე ერთ-ერთი მოპასუხის ვალდებულება კერძოსამართლებრივი შინაარსისაა, ხოლო მეორე მოპასუხეა სახელმწიფო, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტი, სკ-ის 1005-ე მუხლის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნა განსჯადობით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარება,¹⁹⁵ ხოლო ფიზიკური პირის მიმართ წარდგენილი სარჩელი სამოქალაქო

¹⁹⁴ იხ. სუსგ 15.06.2001 #3კ/253-01.

¹⁹⁵ იხ. სუსგ 22.09.2015 #ბს-281-277 (გ-15).

ლაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.¹⁹⁶ თუმცა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად მოპასუხედ დასახელებულია ფიზიკური პირი და სარჩელი ორივე სუბიექტის წინააღმდეგ ერთობლივად არის წარდგენილი სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე მითითებით დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, საქმე განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.¹⁹⁷

მაგალითად, ერთ-ერთ დავაში მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს მოპასუხეების აღსრულების ეროვნული ბიუროსა და აღმასრულებლის (ფიზიკური პირის) წინააღმდეგ და მოითხოვა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაკისრებოდათ აღმასრულებლის მიერ არამართლზომიერი სააღსრულებო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე იყო კრედიტორი სააღსრულებო საქმეში. აღნიშნული საქმე სამივე ინსტანციის სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.¹⁹⁸

ერთ-ერთ დავაში, სადაც მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა სოლიდარულად რამდენიმე მოპასუხის მიმართ, მათ შორის - ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ „დავა განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული წესით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის დროს დაშვებული იყო პროცესუალური დარღვევა, რაც გამოიხატა გადასაწყვეტი დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვაში, იმ პირობებში, როდესაც მოცემულ დავაში ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო - აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ვისგანაც მოსარჩელე, სხვა მოპასუხეებთან ერთად, სოლიდარულად ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2

მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა“. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საკასაციო სასამართლომაც და, საბოლოოდ, საკითხი გადაწყდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.¹⁹⁹

განსაკუთრებით აქტუალურია მოთხოვნის ცალკე წარმოებად გამოყოფის საკითხი, როდესაც სარჩელი წარდგენილია სოლიდარული მოვალეების მიმართ, სადაც ერთ-ერთი მოვალის მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი კერძო სამართლებრივი ბუნებისაა, მეორე მოვალის მიმართ კი - საჯარო სამართლებრივი. ერთ-ერთ მსგავს საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა მოპასუხე კერძო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლის შუამდგომლობა მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. განჩინებაში სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც მოპასუხეებს წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად კერძო სამართლის სუბიექტები, სოლიდარული ვალდებულების საფუძველზე, ადმინისტრაციულ დავებს განიხილავს ადმინისტრაციული სასამართლო, ვინაიდან სასამართლო იყენებს მატერიალურსამართლებრივ ნორმებს, რომელიც შეეხება როგორც სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ისე კერძო პირის მხრიდან ზიანის ანაზღაურებას. ორივე შემთხვევაში გამოიყენება მატერიალურსამართლებრივი საფუძვლის სახით სამოქალაქო კოდექსის დებულებები. რადგან მოთხოვნა წარდგენილი იყო სოლიდარულად რამდენიმე მოპასუხის მიმართ, სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია მისი გამიჯვნა და ცალ-ცალკე მოპასუხეების მიმართ დავის წარმართვა იმ მიზნით, რომ ერთი საქმე განხილულიყო სამოქალაქო, მეორე კი - ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.²⁰⁰

¹⁹⁶ იხ. სუსგ 16.04.2019 #ბს-436(გ-19).

¹⁹⁷ იხ. სუსგ 08.04.2010 #ბს-233-224(გ-10), სუსგ 13.05.2021 #ბს-1212(გ-20).

¹⁹⁸ იხ. სუსგ 13.06.2017 #ბს-312-310(გ-17).

¹⁹⁹ იხ. სუსგ 16.05.2019 #ბს-327-309(გ-07).

²⁰⁰ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 აპრილის განჩინება #3/5047-16 საქმეზე.

ინვესტორის ინდივიდუალური დაცვა ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში

თამარ ხავთასი

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

I. შესავალი

კაპიტალის ბაზრის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. ეკონომიკის სწრაფი ზრდა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა სწორედ ფუნქციაუნარიანი კაპიტალის ბაზრის მეშვეობით შეიძლება იყოს მიღწეული,¹ რაც დამოკიდებულია როგორც კაპიტალის ბაზრის პროდუქტების ემისიების რაოდენობაზე, ასევე ინვესტიციების დონეზე. ინვესტიციების ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული კაპიტალის ბაზრისადმი ინვესტორების ნდობაზე, რაც მათი ინტერესების სათანადო დაცვით მიიღწევა. ინვესტორთა სათანადო დაცვა კი ქმედითი საკანონმდებლო რეგულაციების მეშვეობით არის შესაძლებელი.²

ინვესტორის დაცვის მარეგულირებელი ნორმები, კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობის დაცვის მარეგულირებელ ნორმებთან ერთად, ევროკავშირის კანონმდებლობის ქვაკუთხედს წარმოადგენს,³ რაც ასევე საქართველოს კანონმდებლობაში აისახება ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების კვალდაკვალ.

ინვესტორის დამცავი ნორმების მიზნობრიობიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან განასხვავებენ ინვესტორთა ინსტიტუციურ დაცვას, რაშიც ინვესტორთა პუბლიკის, „ზეინდივიდუალური“ დაცვა მოიაზრება,⁴ და ინვესტორის ინ-

¹ ემპირიული კვლევები მოწმობენ, რომ ქვეყნები, რომელთაც კაპიტალის ბაზარზე დაფუძნებული ფინანსური სისტემა და, შესაბამისად, მოსახლეობაში აქციონერთა მაღალი რაოდენობა ჰყავთ, ეკონომიკის ზრდის საშუალოზე მაღალი ზრდის ტემპი, სიღარიბისა და უმუშევრობის შედარებით ნაკლები მაჩვენებელი აქვთ [იხ. *von Dryander*, Individualschutz bei Marktmissbrauch am Kapitalmarkt, Köln 2010, 13; *Duisenberg*, The role of financial markets for economic growth, BIS Review 48/2001, 1-6; *Allen/Gale*, A welfare comparison of intermediaries and financial markets in Germany and the US, European Economic Review 39/1995, 179, 180; *Caprio/Honohan*, A World Bank Policy Research Report, Finance for growth: Policy Choices in a Volatile World, 2001].

² 2007-2008 წლების ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ინვესტორთა სათანადო დაცვასა და მათგან შედეგად

მიღებულ ნდობას კაპიტალის ბაზრებისადმი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რის მიღწევაც ქმედითი რეგულაციების მეშვეობით არის შესაძლებელი. კრიზისი სწორედ მთელ მსოფლიოში არსებული ფინანსური ბაზრების დერეგულირების შეჯიბრის შედეგი იყო. დიდხანს გაბატონებული შეხედულება, თითქოსდა დერეგულირება ეკონომიკის განვითარების მთავარ კატალიზატორს წარმოადგენდა, არასწორი აღმოჩნდა [*Koschyk*, *Koschyk/Leible/Schäfer* (Hrsg.), *Anlegerschutz und Stabilität der Finanzmärkte*, Jena 2012, 18].

³ *Buck-Heeb*, Kapitalmarktrecht, 11. Aufl., Heidelberg 2020, § 1 Rn. 6; *Veil*, Europäisches Kapitalmarktrecht, Veil (Hrsg.), 2. Aufl., Tübingen 2014, § 2 Rn. 3; *Merk*, Unternehmenspublizität, Tübingen 2001, 296; *Bumke*, Hopt/Veil/Kämmerer (Hrsg.), Kapitalmarktgesetzgebung im europäischen Binnenmarkt, Tübingen 2008, 118.

⁴ ინვესტორთა პუბლიკის დაცვა ამავდროულად კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობის დაცვის მნიშვნელოვან ასპექტად განიხილება, პრაქტიკაში მათი ერთმანეთისგან განცალკევება სშირ შემთხვევაში რთულია [*Bartsch*, *Effektives Kapitalmarktrecht*, Augsburg

დივიდუალურ დაცვას, რაც ცალკეული ინვესტორის ინდივიდუალური ინტერესების დაცვას გულისხმობს.⁵ სტატიაში ყურადღება სწორედ ამ უკანასკნელზე შეჩერდება.

ინვესტორის ინდივიდუალური დაცვა გულისხმობს ცალკეული ინვესტორისთვის სუბიექტური უფლების მინიჭებას, მოითხოვოს კაპიტალის ბაზრის სხვა მონაწილეთა მიერ კაპიტალის ბაზრის სამართლის ნორმების ბრალეული დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.⁶ აღნიშნული წარმოადგენს დაზარალებული ინვესტორის ინტერესების აღდგენის ყველაზე ეფექტურ საშუალებას, რადგან სწორედ ის არის ყველაზე მეტად დაინტერესებული სათანადო სამართლებრივი შედეგების დადგომით, რომლის უშუალო ადრესატიც, განსხვავებით ადმინისტრაციულსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი სანქციებისაგან, თვითონვე იქნება. ამავდროულად, სხვა სანქციებთან ერთად სამოქალაქოსამართლებრივი სანქციების დაკისრების საშიშროება კიდევ ერთ დამატებით ფაქტორს წარმოადგენს პოტენციური ზიანის მიმყენებლის ქცევის სამართავად და, ამდენად, ნორმის დარღვევის პრევენციულ ფუნქციას ასრულებს.⁷ ამ თვალსაზრისით, ინვესტორისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება მისი ინდივიდუალური სამართლებრივი პოზიციების დაცვასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება კაპიტალის ბაზრის სამართლის ნორმების აღსრუ-

ლებას და, შესაბამისად, კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობის დაცვას.⁸

კაპიტალის ბაზრის სამართლის ნორმები, რომლებიც ინვესტორის ინდივიდუალურ დაცვას ემსახურება, შეიძლება შეგვხვდეს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმის სახით, რომელიც მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს, ან დამცავი ნორმის სახით, რომლის დარღვევის შემთხვევაში ინვესტორს შეუძლია დააყენოს დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად.⁹ სხვა მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებაზე, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ინდივიდუალური სახელშეკრულებო ან სხვა ურთიერთობებიდან, რჩება ხელშეუხებელი.¹⁰

ინვესტორის ინდივიდუალური დაცვის გაუმჯობესებას განსაკუთრებით უწყობს ხელს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმები.

⁸ *Uhlmann*, Individualschutz im Kapitalmarkt- und Bankenaufsichtsrecht, Tübingen 2021, 349, 350; *Mülbert*, Anlegerschutz und Finanzmarktregulierung – Grundlagen, ZHR 177 (2013), 160, 172.

⁹ დელიქტური მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს დამცავი ნორმის დარღვევა, ვინაიდან კაპიტალის ბაზარზე არსებულ ურთიერთობებში, როგორც წესი, აბსოლუტური სიკეთის დარღვევა გამოირიცხება. დამცავ ნორმად კვალიფიკაციისთვის არასაკმარისია, როცა ნორმის ერთადერთ მიზანს კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობის/ინვესტორთა პუბლიკის დაცვა წარმოადგენს და ის არაპირდაპირ, რეფლექსიურად ემსახურება ასევე ცალკეული ინვესტორის ინტერესებს, არამედ ეს უკანასკნელი პირდაპირ უნდა გამომდინარეობდეს კანონმდებლის ნებიდან, რაც უნდა დადგინდეს განმარტების საფუძველზე ნორმის მიზნიდან გამომდინარე. ამდენად, ნორმის ერთ-ერთ მიზანს მაინც უნდა წარმოადგენდეს ინვესტორის ინდივიდუალური დაცვა და, შედეგობრივად, მას უნდა ენიჭებოდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა. [*Buck-Heeb*, Kapitalmarktrecht, 11. Aufl., Heidelberg 2020, § 1 Rn. 18; *von Dryander*, Individualschutz bei Marktmissbrauch am Kapitalmarkt, Köln 2010, 20-24; BGH, Urt. v. 21.10.1991 – II ZR 204/90, in NJW 1992, 241; BGH, Urt. v. 18.11.2003 – VI ZR 385/02, in NJW 2004, 356, BGH, Urt. v. 26.02.1993 – V ZR 75/92, in NJW 1993, 1580, BGH, Urt. v. 28.03.2006 – VI ZR 50/05, in NJW 2006, 2110, 2112].

¹⁰ *Buck-Heeb*, Kapitalmarktrecht, 11. Aufl., Heidelberg 2020, § 1 Rn. 17; § 16 II WpPG; § 26 III 2 WpHG.

2005, 20; *Seiler/Geier*, Schimansky/Bunte/Lwowski (Hrsg.), Bankrechts-Handbuch, Band II, 5. Aufl., München 2017, § 104 Rn. 72].

⁵ *Hopt*, Der Kapitalanlegerschutz im Recht der Banken, München 1975, 51, 334; *Seiler/Geier*, Schimansky/Bunte/Lwowski (Hrsg.), Bankrechts-Handbuch, Band II, 5. Aufl., München 2017, § 104 Rn. 72; *Oulds*, Kümpel/Witting (Hrsg.), Bank- und Kapitalmarktrecht, 4. Aufl., Köln 2011, Rn. 14.141.

⁶ *Buck-Heeb*, Kapitalmarktrecht, 11. Aufl., Heidelberg 2020, § 1 Rn. 13; *Uhlmann*, Individualschutz im Kapitalmarkt- und Bankenaufsichtsrecht, Tübingen 2021, 349; *von Dryander*, Individualschutz bei Marktmissbrauch am Kapitalmarkt, Köln 2010, 20-21.

⁷ *Uhlmann*, Individualschutz im Kapitalmarkt- und Bankenaufsichtsrecht, Tübingen 2021, 349; *von Dryander*, Individualschutz bei Marktmissbrauch am Kapitalmarkt, Köln 2010, 21.

მათი არსებობა ზრდის ინვესტორის ყურადღებას და წარმოადგენს მისთვის დამატებით მოტივაციას, იზრუნოს მისი დაზიანებული ინტერესების აღდგენაზე. ამავდროულად, კანონმდებელი მათი მეშვეობით ზუსტად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს, რათა კაპიტალის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს გაეცეს ერთგვაროვანი და ადეკვატური პასუხი და დაბალანსებულად იქნეს გათვალისწინებული ბაზრის მონაწილეების ურთიერთსაპირისპირო ინტერესები.¹¹

ქართულ სამართალში ასეთი სპეციალური ნორმები თითქმის არ გვხვდება, რაც პირველ რიგში, როგორც კაპიტალის ბაზრის, ასევე კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების საწყის ეტაპზე ყოფნით შეიძლება აიხსნას.¹² გამონაკლისს წარმოადგენს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი, რომელიც ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევის შედეგად ინვესტორისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს განსაზღვრავს. აღნიშნული ნორმა, რომელიც ფაქტობრივად იმავე შინაარსითაა წარმოდგენილი, როგორც ეს 1998 წელს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებისას იყო, შეიცავს არაერთ ხარვეზს. წინამდებარე სტატია სწორედ ამ ნორმისა და მისი ხარვეზების განხილვას ეთმობა, გერმანულ სამართალთან შედარებითი ანალიზის გამოყენებით, რამდენადაც ეს უკანასკნელი კონკრეტული საკითხის შეფასებისთვის რელევანტური იქნება. შედარებითი ანალიზის გერმანულ სამართალთან განხორციელების მიზანშეწონილობა საბუთდება ქართული სამოქალაქო სამართლის უმეტესნი-

ლად გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბებით. სტატიის თეორიული ბაზისი ეყრდნობა ასევე გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურას.

საკითხის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, თავდაპირველად განხილული იქნება, თუ რა არის ემისიის პროსპექტის ვალდებულება და რაში გამოიხატება ამ ვალდებულების დარღვევა, რის შემდეგაც დეტალურად იქნება მიმოხილული ინვესტორის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თითოეული წინაპირობა და სამართლებრივი შედეგები.

II. ემისიის პროსპექტის ვალდებულება

პროსპექტი არის ყველაზე მნიშვნელოვანი და დანვრილებითი ინფორმაციის წყარო,¹³ რომელიც ინვესტორებს მიეწოდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ან ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით,¹⁴ და რომლის მეშვეობით ინვესტორი იღებს ფასიანი ქაღალდების შეძენის თაობაზე საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო არსებით ინფორმაციას.¹⁵ ამდენად, პროსპექტის მიზანს წარმოადგენს ემიტენტსა და კაპიტალის ბაზრის პროდუქტების შემთავაზებელსა და ინვესტორს შორის არსებული ინფორმაციული ასიმეტრიის აღმოფხვრა¹⁶ და ინვესტორისთვის შესაძლებლობის მიცემა, ინვესტიციასთან დაკავშირებული რისკებისა და შანსების გაანალიზების საფუძველზე მიიღოს გააზრებული და მისთვის ხელსაყრელი საინვესტიციო გადაწყვეტილება.¹⁷

¹³ *Donalies, Anlegerschutz bei Investmentfonds, Hamburg 2016, 149.*

¹⁴ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტი.

¹⁵ BGH, Urt. v. 19.7.2004 – II ZR 218/03, NJW 2004, 2664.

¹⁶ *Brickmann, Europäisches Kapitalmarktrecht, Veil (Hrsg), 2. Aufl., Tübingen 2014, § 16 Rn. 5.*

¹⁷ Verordnung (EU) 2017/1129 des europäischen Parlaments und des Rates vom 14. Juni 2017 über den Prospekt, der beim öffentlichen Angebot von Wertpapieren oder bei deren Zulassung zum Handel an einem geregelten Markt zu veröffentlichen ist, Erwägungsgrund 3, 7.

¹¹ *Uhlmann, Individualschutz im Kapitalmarkt- und Bankenaufsichtsrecht, Tübingen 2021, 171.*

¹² გერმანიის კანონმდებლობაში ვხვდებით სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ არაერთ სპეციალურ ნორმას, მაგალითად, პასუხისმგებლობა პროსპექტის ვალდებულების დარღვევისთვის (§§ 9 ff WpPG, §§ 20 ff VermAnlG, § 306 KAGB), პასუხისმგებლობა შეთავაზების დოკუმენტების ნაკლის გამო (§ 12 WpÜG), ემიტენტის პასუხისმგებლობა (§§ 97 f WpHG).

საქართველოს კანონმდებლობაში პროსპექტის ვალდებულებას ვხვდებით საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, ¹⁸ რომელიც ემიტენტის მიერ ემისიის პროსპექტის გამოქვეყნების ვალდებულებას ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ეტაპზე (მუხლი 4), და საქართველოს კანონში „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომელიც ავტორიზებული/ალიარებული საინვესტიციო კომპანიისა და ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ სხვა დოკუმენტებთან ერთად პროსპექტის გამოქვეყნების ვალდებულებას ითვალისწინებს, რათა ინვესტორმა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება ფონდის ერთეულების შეძენის შესახებ (მუხლი 65). როგორც აღვნიშნეთ, სტატიის განხილვის საგანს წარმოადგენს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო, ამდენად, პროსპექტის ვალდებულება და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა სწორედ ამ კანონის ჩრილში იქნება განხილული.

ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას, ასევე ორგანიზებულ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვებისას პროსპექტის გამოქვეყნების ვალდებულებას ადგენს ევროკავშირის 2017 წლის 14 ივნისის მიღებული დადგენილება (EU) 2017/1129, რომელსაც პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ¹⁹ გერმანიის კანონმდებ-

ლობაში ამ დადგენილების შემცვებ ფუნქციას ასრულებს გერმანიის კანონი „ფასიანი ქაღალდების პროსპექტის შესახებ“ (WpPG), რომელიც დეტალურად აწესრიგებს პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობებსა და სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ევროკავშირს არ გააჩნია სამართლის განხორციელების კომპეტენცია სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სფეროში და აღნიშნული ეროვნული რეგულირების საგნად რჩება. ²⁰

მნიშვნელოვანია ყურადღება შევაჩეროთ იმ გარემოებაზე, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი პროსპექტის ვალდებულებას ადგენს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ეტაპზე და, განსხვავებით ევროკავშირის კანონმდებლობისგან, არ ითვალისწინებს ასეთ ვალდებულებას ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვების მიზნებისთვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პროსპექტის წარდგენის ვალდებულებას ვხვდებით საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2018 წლის 04 ოქტომბერს (ოქმი N8) დამტკიცებულ დებულებაში „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ“. მართალია, საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდის სავაჭროდ დაშვების საკითხის გადანყვეტა უშუა-

¹⁸ პროსპექტთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად არის მოწესრიგებული „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით N179/04 დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესით“.

¹⁹ 2017 წლის 14 ივნისის მიღებული დადგენილების (EU) 2017/1129 საფუძველზე გაუქმდა ევროკავშირის დირექტივა 2003/71/EC პროსპექტის შესახებ, რომელთან დაახლოების ვალდებულება საქართველოს ალბულის აქვს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, შესაბამისად, საქართველომ თავისი კანონმდებლობა დასახელებულ დადგენილებას უნდა დაუახლოვოს. პროსპექტის მარეგულირებელი აქტის დადგენილების ფორმით მიღება გა-

ნპირობებული იყო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის პროსპექტთან მიმართებით არსებული განსხვავებული რეგულირებების შემცირების ინტერესით, რადგან, დირექტივისგან განსხვავებით, დადგენილებას მთელ ევროკავშირში პირდაპირი მოქმედების ძალა გააჩნია და, შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის მასთან ჰარმონიზების საჭიროება აღარ არსებობს. დადგენილების ძირითადი ნაწილი ძალაში შევიდა 2019 წლის 21 ივლისს [COM (2015) 583 final, 8; Verordnung (EU) 2017/1129 des europäischen Parlaments und des Rates vom 14. Juni 2017 über den Prospekt, der beim öffentlichen Angebot von Wertpapieren oder bei deren Zulassung zum Handel an einem geregelten Markt zu veröffentlichen ist, Erwägungsgrund 5].

²⁰ Assmann, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VerAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 21-25 WpPG Rn. 32.

ლოდ საფონდო ბირჟის კომპეტენციაა, თუმცა აღნიშნულის წინაპირობების განსაზღვრა, მათ შორის, პროსპექტის ვალდებულების დადგენა, რომელიც ინვესტორის ინფორმირების და შესაბამისად მისი დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმია, ცალსახად წარმოადგენს საკანონმდებლო მოწესრიგების საგანს.

ფასიანი ქაღალდების ემისია საჯარო შეთავაზების გზით გულისხმობს საზოგადოებისადმი მიმართულ წინადადებას, რომელიც შეიცავს საკმარის ინფორმაციას შეთავაზების პირობებისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების შესახებ, რათა ინვესტორს მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილება მათი შეძენის შესახებ (დადგენილების (EU) 2017/1129 მე-2 მუხლის „d“ ქვეპუნქტი). „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ეს წინადადება მიმართული უნდა იყოს არანაკლებ 100 პირის ან წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობის პირთა წრის მიმართ. ამდენად, თუ შეთავაზება ხდება უფრო ნაკლები, წინასწარ განსაზღვრული პირთა წრის მიმართ, პროსპექტის გამოქვეყნების ვალდებულება არ არსებობს. ასევე არ არსებობს პროსპექტის გამოქვეყნების ვალდებულება, როცა ხდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება მხოლოდ გამოცდილი ინვესტორებისადმი (იხ. ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი), ვინაიდან მიიჩნევა, რომ ისინი ნაკლები დაცვის ღირსი არიან. ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, მნიშვნელოვანია, დაწესდეს ასევე სხვა გამონაკლისი შემთხვევები, რომლებზეც არ გავრცელდება პროსპექტის ვალდებულება (დადგენილების (EU) 2017/1129 1-ლი მუხლი). აღნიშნული რიგ შემთხვევებში გაამარტივებს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პროცედურას და დადებითად იმოქმედებს კაპიტალის ბრუნვაზე.

ფასიანი ქაღალდების ემისია, იქნება ეს საჯარო თუ კერძო შეთავაზების გზით, ხშირ შემთხვევაში გრძელდება მათი ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებით. ფუნქციონირებადი მეორადი ბაზრის არსებობა, რომლის ფარგლებშიც ფასიანი ქაღალდების კურსი განისაზღვრება და ინვესტორებს შეძენილი ფასიანი ქაღალდების კვლავ გასხვისება შეუძლიათ, მათი

ინტერესებიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, ეს ორი პროცესი ყოველთვის არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ფასიანი ქაღალდების ემისია შესაძლოა ისე განხორციელდეს, რომ ემიტირებული ფასიანი ქაღალდები ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ არ დაიშვას და ისინი არასაბირჟო გარიგებების მეშვეობით გასხვისდეს შემდგომში. შესაძლებელია ასევე პირიქით, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებას წინ არ უძღოდეს ფასიანი ქაღალდების ემისიის პროცესი, რაც პრაქტიკაში ძირითადად უცხოელი ემიტენტის ფასიანი ქაღალდების საქართველოს საფონდო ბირჟაზე მეორადად დაშვების შემთხვევაში ხდება.²¹

ემიტენტს ევალება პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის გამოქვეყნებაც, რომელიც უნდა წარმოადგენდეს პროსპექტში წარმოდგენილი ძირითადი ინფორმაციის შეჯამებას. ამ დოკუმენტმა საშუალება უნდა მისცეს ინვესტორს, გაეცნოს მნიშვნელოვან ინფორმაციას ემიტენტის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის, გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების მახასიათებლებისა და მათთან დაკავშირებული შესაძლო რისკების შესახებ.²²

ემისიის პროსპექტს გამოქვეყნებამდე ამტკიცებს საქართველოს ეროვნული ბანკი. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს როგორც „დამტკიცებული პროსპექტის“, ასევე „საბოლოო პროსპექტის“ ცნებას, რომელიც წარმოადგენს დამტკიცებული პროსპექტისა და დამტკიცებული შეთავაზების საბოლოო პირობების ერთობლიობას (მე-2 მუხლის მე-14-15 პუნქტები). ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება შესაძლებელია დაიწყოს დამტკიცებული პროსპექტის საფუძველზე, მაგრამ ინვესტორებს უნდა მიეწოდოს საბოლოო პროსპექტი საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამ-

²¹ Grunewald/Schlitt, Einführung in das Kapitalmarktrecht, 4. Aufl. 2020, 19.

²² საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით N179/04 დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-5 მუხლი.

დე, დაწყებისთანავე ან გაყიდვის პროცესში (მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი).

პროსპექტის მოქმედების ვადა საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვე. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა მასში ცვლილებები მისი დამტკიცების შემდგომ.²³

III. ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევა

ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევა, რომელიც პასუხისმგებელი პირის ადმინისტრაციულსამართლებრივი,²⁴ სისხლისსამართლებრივი²⁵ და სამოქალაქოსამართლებრივი²⁶ პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს, შეგვიძლია ორ კატეგორიად დავყოთ: ნაკლის მქონე პროსპექტის გამოქვეყნება და პროსპექტის გამოქვეყნების გარეშე საჯარო შეთავაზების განხორციელება.

1. ნაკლის მქონე პროსპექტის გამოქვეყნება

ევროკავშირის დადგენილება (EU) 2017/1129 შესავალ დებულებებში განსაზღვრავს, რომ პროსპექტი უნდა შეიცავდეს საკმარის და ობიექტურ ინფორმაციას, რომელიც

არის მოკლედ და გასაგებად ფორმულირებული და მარტივად გასაანალიზებელი.²⁷ პროსპექტის შედგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, ინვესტორთა რომელი ჯგუფია მისი ადრესატი, როგორი ინფორმაციული მდგომარეობა აქვთ მათ, რა თავისებურებები ახასიათებს შეთავაზებულ ფინანსურ პროდუქტს და შესაბამისად, რომელი გარემოებებია არსებითი საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად.²⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადი პრინციპები პროსპექტთან მიმართებით, კერძოდ, პროსპექტი უნდა შეიცავდეს ყველა არსებით ინფორმაციას, უნდა იყოს სწორად, მკაფიოდ და გასაგებად ფორმულირებული. მნიშვნელოვანია აქტუალურობის პრინციპიც: პროსპექტი უნდა ეფუძნებოდეს უახლეს ინფორმაციას. რომელიმე მათგანის დარღვევის შემთხვევაში პროსპექტი ნაკლის მქონე იქნება.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი ნაკლის მქონედ ასახელებს პროსპექტს, რომელშიც არსებითი მოვლენა არ არის გადმოცემული ან გადმოცემულია არასწორად. მართალია, კანონის ტექსტი პირდაპირ არ ასახელებს პროსპექტის მკაფიოობისა და აქტუალურობის პრინციპებს, თუმცა, ისინი უნდა მოვიაზროთ დასახელებული ორი პრინციპის შემადგენელ ნაწილებად. ასე მაგალითად, მხოლოდ მკაფიოდ და გასაგებად ფორმულირებულ მონაცემებს შეუძლიათ ინვესტორის სრულყოფილად ინფორმირება,²⁹ მხოლოდ აქტუალური მონაცე-

²³ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით N179/04 დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი.

²⁴ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-12 მუხლი განსაზღვრავს პროსპექტზე პასუხისმგებელი პირების ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც ამავე კანონის 55-ე და 55¹-ე მუხლებისა და მათ საფუძველზე შემუშავებული საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის N35/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლით განისაზღვრება.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლი.

²⁶ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი.

²⁷ Verordnung (EU) 2017/1129 des europäischen Parlaments und des Rates, vom 14. Juni 2017 über den Prospekt, der beim öffentlichen Angebot von Wertpapieren oder bei deren Zulassung zum Handel an einem geregelten Markt zu veröffentlichen ist, Erwägungsgrund 27.

²⁸ Keunecke, Prospekte im Kapitalmarkt, 2. Aufl. 2009, Rn. 767; Verordnung (EU) 2017/1129 des europäischen Parlaments und des Rates, vom 14. Juni 2017 über den Prospekt, der beim öffentlichen Angebot von Wertpapieren oder bei deren Zulassung zum Handel an einem geregelten Markt zu veröffentlichen ist, Erwägungsgrund 27.

²⁹ Schlitt, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 5 WpPG Rn. 10.

მები აწვდიან ინვესტორს სწორ სურათს საინვესტიციო პროდუქტის შესახებ.

არსებით ინფორმაციაში მოიაზრება ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს ინვესტორს შეაფასოს ემიტენტის აქტივები და ვალდებულებები, საწარმოს სამომავლო გეგმები, საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები, ფასიანი ქაღალდების ფლობასთან დაკავშირებული უფლებები, შეზღუდვები და პროცედურები, ასევე ემისიის მიზეზი და მისი სავარაუდო გავლენა ემიტენტზე.³⁰ პროსპექტში მოცემული მონაცემები შეიძლება იყოს ფაქტები, შეფასებები, პროგნოზები, რომლებიც საკმარის და სათანადო ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება.³¹ პროსპექტში გადმოსაცემი მონაცემების მინიმალურ ჩამონათვალს ვხვდებით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში. გამონაკლისის სახით, ეროვნულმა ბანკმა შესაძლოა დაუშვას, რომ ემიტენტისთვის განსაკუთრებით სენსიტიური ინფორმაცია პროსპექტში არ აისახოს, თუ გარემოებების გათვალისწინებით ამ ინფორმაციის გასაჯაროება ემიტენტს დიდი ოდენობით ზიანს მიაყენებს, იმ დათქმით, რომ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა არ გამოიწვევს ინვესტორის შეცდომაში შეყვანას იმ ფაქტებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც აუცილებელია ემიტენტისა და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებების შესაფასებლად.³²

³⁰ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით N179/04 დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი.

³¹ Keunecke, Prospekte im Kapitalmarkt, 2. Aufl. 2009, Rn. 768.

³² Verordnung (EU) 2017/1129 des europäischen Parlaments und des Rates, vom 14. Juni 2017 über den Prospekt, der beim öffentlichen Angebot von Wertpapieren oder bei deren Zulassung zum Handel an einem geregelten Markt zu veröffentlichen ist, Erwägungsgrund 56; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით N179/04 დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი.

იმისათვის, რომ ინვესტორმა შეძლოს ემიტენტისა და საინვესტიციო პროდუქტის სათანადო შეფასება და მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღება, პროსპექტის მონაცემები უნდა იყოს სწორი.³³ შესაფასებელია როგორც პროსპექტში მოცემული ფაქტების, ასევე შეფასებების და პროგნოზების სისწორე.³⁴ შეფასებები და პროგნოზები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ არასწორად, თუ ისინი არასაკმარის ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობიან.³⁵ ამასთან, პროსპექტის შეფასებისას ცალკეული მონაცემის სისწორე გადამწყვეტი არ არის, თუ ის იმგვარად არის ფორმულირებული, რომ შედეგად პროსპექტის საერთო სურათი „შეცდომაში შემყვანია“³⁶ და პირიქით, შესაძლოა ცალკეული მონაცემი არასწორი იყოს ან ის საერთოდ არ იყოს მოცემული პროსპექტში, მაგრამ ეს არ ახდენდეს გავლენას პროსპექტის საერთო სურათზე და ინვესტორის წარმოდგენებზე და ამიტომ, პროსპექტი არ უნდა განვიხილოთ ნაკლის მქონედ.³⁷

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას.³⁸ პროსპექტი არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც არ არის არსებითი ხასიათის ან ემიტენტისთვის და მის მიერ გამოცემული ფასია-

³³ Holzborn/Mayston, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl. 2014, § 5 WpPG Rn. 5; Meyer, Berrar/Meyer/Müller/Schnorbus/Singhof/Wolf (Hrsg.), WpPG und EU-ProspektVO, 2. Aufl. 2016, § 5 WpPG Rn. 7.

³⁴ Habersack, Habersack/Mülbelt/Schlitt (Hrsg.), Handbuch der Kapitalmarktinformation, München 2008, § 28 Rn. 16.

³⁵ Schlitt, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 5 WpPG Rn. 12.

³⁶ Schlitt, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 5 WpPG Rn. 12.

³⁷ Meyer, Berrar/Meyer/Müller/Schnorbus/Singhof/Wolf (Hrsg.), WpPG und EU-ProspektVO, 2. Aufl. 2016, § 5 WpPG Rn. 10.

³⁸ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით N179/04 დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

ნი ქალაქებისთვის არ არის სპეციფიკურად დამახასიათებელი, რადგან აღნიშნული გამოიწვევს საინვესტიციო გადანაცვების მისაღებად საჭირო რელევანტური ინფორმაციის ყურადღების მიღმა დატოვებას.³⁹

პროსპექტის მონაცემების სისრულე და სისწორე უნდა არსებობდეს პროსპექტის გამოქვეყნების მომენტში (აქტუალურობის პრინციპი).⁴⁰ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ტექსტში მოცემული აღწერა შესაძლო უახლეს თარიღს უნდა შეესაბამებოდეს. დამტკიცებულ პროსპექტში ცვლილებების შეტანის წესებს აწესრიგებს ამავე კანონის მე-5 მუხლი.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, პროსპექტის შეფასების ნიშნულს, თუ რამდენად შეიცავს ის ყველა არსებით ინფორმაციას, არის სწორი და გასაგებად ფორმულირებული, წარმოადგენს საშუალო ინვესტორის სურათი.⁴¹ საშუალო ინვესტორად მიიჩნევა პირი, რომელიც ერკვევა კაპიტალის ბაზარზე არსებულ სამართლებრივ და ეკონომიკურ ურთიერთობებში.⁴²

სისწორისა და მკაფიოობის მოთხოვნებს ასევე უნდა აკმაყოფილებდეს პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა. ზოგადი მიმოხილვა შეიძლება შეფასდეს ნაკლის მქონედ, თუ ის პროსპექტის სხვა ნაწილებთან წინააღმდეგობაში მოდის და საინვესტიციო პროდუქტის ძირითადი მახა-

სიათებლების, შანსებისა და რისკების შესახებ არასწორი წარმოდგენების შექმნას იწვევს.⁴³

2. საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გამოქვეყნების გარეშე

პროსპექტის ვალდებულება ირღვევა ასევე იმ შემთხვევაში, თუ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ფასიანი ქალაქების საჯარო შეთავაზება და გასხვისება ხორციელდება პროსპექტის გამოქვეყნების გარეშე. საჯარო შეთავაზება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ პროსპექტის გამოქვეყნებისთანავე ან მისი გამოქვეყნების შემდეგ.

პროსპექტის გამოუქვეყნებლობას უთანაბრდება შემთხვევა, როცა ის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ არ არის დამტკიცებული საზედამხედველო ორგანოს მიერ.⁴⁴ „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი პირდაპირ კრძალავს ემისიის პროსპექტის გავრცელებას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მის დამტკიცებამდე. ანალოგიურად განიხილება შემთხვევა, როცა გამოქვეყნდება ისეთი პროსპექტი, რომელიც მოქმედი აღარ არის.⁴⁵ როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პროსპექტის მოქმედების ვადა შეადგენს 12 თვეს და ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

IV. სპეციალური ნორმით განსაზღვრული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო

ვიდრე პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო სპეციალური ნორმით განსაზღვრუ-

³⁹ Verordnung (EU) 2017/1129 des europäischen Parlaments und des Rates, vom 14. Juni 2017 über den Prospekt, der beim öffentlichen Angebot von Wertpapieren oder bei deren Zulassung zum Handel an einem geregelten Markt zu veröffentlichen ist, Erwägungsgrund 27; Keunecke, Prospekte im Kapitalmarkt, 2. Aufl. 2009, Rn. 769.

⁴⁰ Keunecke, Prospekte im Kapitalmarkt, 2. Aufl. 2009, Rn. 768.

⁴¹ BGH, Urt. v. 12.07.1982 – II ZR 175/81, NJW 1982, 2823, 2824; Assmann, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 21-25 WpPG Rn. 37.

⁴² Kontogeorgou, das IPR der Kapitalmarktdelikte, Berlin 2018, 9.

⁴³ Assmann, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 21-23 WpPG Rn. 53, 54.

⁴⁴ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 24 WpPG Rn. 5.

⁴⁵ Pankoke, Just/Voß/Ritz/Zeising (Hrsg.), WpPG und EU-Prospektverordnung, München 2009, § 13a VerkprospG Rn. 7.

ლი სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მხარეებს, წინაპირობებსა (მიზეზობრივი კავშირი პროსპექტის ვალდებულების დარღვევასა და ინვესტორის მიერ მიღებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებასა და დამდგარ ზიანს შორის, პასუხისმგებელი პირების ბრალეულობა, დამდგარი ზიანი) და სამართლებრივ შედეგებს განვიხილავთ, მნიშვნელოვანია მოკლედ შევეხოთ მის დოგმატურ ადგილს სამოქალაქო სამართლის სისტემაში. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი შედეგების ანალიზის თვალსაზრისით, ასევე საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების შემთხვევაში, რამდენადაც მისი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიხედვით განისაზღვრება, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იყოს გამოყენებული დავის გადაწყვეტისას.⁴⁶

გერმანიაში არსებული გაბატონებული შეხედულების თანახმად,⁴⁷ პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობა წარმოადგენს წინასახელშეკრულებო ნდობის გაწევის დაფუძნებული პასუხისმგებლობის სპეციალურ შემადგენლობას.⁴⁸ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ე.წ. „ტიპიზირებულ“ ნდობას, რომ-

ლის საფუძველი არის პროსპექტში ასახული ინფორმაცია და არა ინვესტორსა და პროსპექტზე პასუხისმგებელ პირებს შორის არსებული პერსონალური საქმიანი ურთიერთობები; მათ შორის პირდაპირი სოციალური კავშირის დამყარება არ არის აუცილებელი.⁴⁹ ინვესტორს აქვს მოლოდინი, რომ პროსპექტზე პასუხისმგებელმა პირებმა პროსპექტი საჭირო გულისხმიერებით შეამოწმეს და მასში ყველა არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია ასახეს.⁵⁰ ამდენად, ინვესტორს აქვს ნდობა პროსპექტში ასახული ინფორმაციის სისრულისა და სისწორისადმი და ამ ნდობის საფუძველზე იღებს საინვესტიციო გადაწყვეტილებას.

1. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის მხარეები

1.1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი არის საჯარო შეთავაზებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების შემძენი, რომელმაც ნაკლის მქონე ემისიის პროსპექტის საფუძველზე ან ემისიის პროსპექტის გარეშე (თუ ემისიის პროსპექტის გამოქვეყნება არ განხორციელებულა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად) მიიღო საინვესტიციო გადაწყვეტილება. ინდივიდუალური დაცვის ყველა დაზარალებულ სუბიექტზე გავრცელების მიზნით, მიზანშეწონილია, ნორმამ დააკონკრეტოს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს როგორც ფასიანი ქაღალდების არსებულ მფლობელს, ასევე მის ძველ მფლობელს, რომელმაც ნაკლის მქონე პროსპექტის საფუძველზე ან მის გარეშე შეიძინა ფასიანი ქაღალ-

⁴⁶ *Einsele*, Internationales Prospekthaftungsrecht – Kollisionsrechtlicher Anlegerschutz nach der Rom II-Verordnung, ZEuP 2012, 23, 24.

⁴⁷ გავრცელებულია ასევე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ის წარმოადგენს დელიქტური ტიპის მოთხოვნას, რადგან ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ნაკლის მქონე პროსპექტის საფუძველზე ან პროსპექტის გარეშე უკვე წარმოადგენს ზიანის მიმყენებელ ქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ინვესტორსა და პროსპექტზე პასუხისმგებელ პირებს შორის ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ დადებულია. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ასევე ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო [Assmann, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 21-25 WpPG Rn. 30; *Einsele*, Internationales Prospekthaftungsrecht – Kollisionsrechtlicher Anlegerschutz nach der Rom II-Verordnung, ZEuP 2012, 23, 27; EuGH v. 28.1.2015 – Rs. C-375/13, ZIP 2015, 1486 Rn.44 – „Kollassa“].

⁴⁸ „kraft Gesetzes eintretende Vertrauenshaftung“ [Canaris, Bankvertragsrecht, 2. Aufl. 1981, Rn. 2277]; Schwark, Schwark/Zimmer (Hrsg.), Kapitalmarktrechts-Kommentar, 4. Aufl., München 2010, §§ 44, 45 BörsG Rn. 5; Buck-Heeb/Diekmann, Grundlagen der Prospekthaftung, ZHR 184, 2020, 646, 655.

⁴⁹ Canaris, Bankvertragsrecht, 2. Aufl. 1981, Rn. 2277; BGHZ 71, 284, 287 ff.; 72, 284, 287; 79, 337, 340 f.; 83, 222, 223 f.; 123, 106, 109 f.; BGHZ 79, 337, 342; 83, 222, 224. Herresthal, in Grosskommentar zum Zivilrecht, München 2018, § 311 BGB Rn. 549.

⁵⁰ BGHZ 71, 284, 287 f.

დები და შემდგომ გაასხვისა ისინი. გერმანული კანონმდებლობის თანახმად, მათ მიმართ დგება განსხვავებული სამართლებრივი შედეგები, რასაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ (§§ 9 II, 14 II WpPG).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს პროსპექტის ვალდებულებას ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვების მიზნებისათვის, შესაბამისად, ნორმა ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ სუბიექტად ასახელებს მხოლოდ „საჯარო შეთავაზებით გაყიდული“ ფასიანი ქაღალდების შემძენს. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პარალელურად გაფართოვდება ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირთა წრეც.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის 1-ლი წინადადება შეიცავს საკმაოდ ბუნდოვან ჩანაწერს „აქციის მფლობელის“ მიმართ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო. „აქციის მფლობელში“, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, უნდა მოვიაზროთ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელი, რომელმაც სურვილი გამოთქვა მის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ დაგეგმილი საჯარო შეთავაზების ფარგლებში გასხვისების თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ ამ ჩანაწერში მოაზრებულ აქციის მფლობელს ნაკლის მქონე პროსპექტის საფუძველზე ფასიანი ქაღალდი არ შეუძენია და, ამდენად, არ წარმოადგენს ინვესტორს, რომელსაც ზიანი მიადგა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო, მასთან მიმართებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობაზე ყურადღება არ შეჩერდება. მიზანშეწონილი იქნებოდა, მისი, როგორც აქციონერის, ინტერესების დაცვა განხორციელდეს არა კაპიტალის ბაზრის სამართლით, არამედ საკორპორაციო სამართლით განსაზღვრული აქციონერის დაცვის მექანიზმების მეშვეობით.

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, შემძენს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის

უფლება, თუ შეძენის გარიგება დაიდება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების პირველად განხორციელებიდან ექვსი თვის ვადაში (§ 10 WpPG). გაბატონებული შეხედულების თანახმად, აღნიშნული ემსახურება სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას იმ გეგმით, რომ საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენ ხანს შეიძლება მოქმედებდეს პროსპექტის მიერ შექმნილი ე.წ. საინვესტიციო განწყობა, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია ინვესტორის მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან და დამდგარ ზიანთან.⁵¹ საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ვადას არ ითვალისწინებს, რაც მართებულ გადანყვეტად უნდა მივიჩნიოთ. ექვსთვიანი ვადის დაწესება წინააღმდეგობაში მოვიდოდა პროსპექტის მოქმედების ვადასთან, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო შეთავაზების საფუძველს წარმოადგენს საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში. ექვსთვიანი ვადის განსაზღვრა კრიტიკის საგანია ასევე გერმანიაში.⁵²

1.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე პასუხისმგებელი პირი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი ნაკლის მქონე პროსპექტზე პასუხისმგებელ პირად ასახელებს ფასიანი ქაღალდების ემიტენტს და ადგენს შესაძლო პასუხისმგებლობას

- ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართ, რომლებმაც პროსპექტს ხელი მოაწერეს სოლიდარულად;

- ყოველი საბროკერო კომპანიისა და ბროკერის ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის მიმართ, რომლებიც მოქმედებენ ემიტენტის სახელით, ფასიანი ქაღალდების

⁵¹ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 59. Hamann, Schäfer/Hamann (Hrsg.), Kapitalmarktgesetze, 2. Aufl. 2013, §§ 44, 45 Rn. 124.

⁵² Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 59.

შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე (შემთავაზებელი);

- ყოველი აუდიტორისა თუ სხვა ექსპერტის მიმართ, რომელმაც განაცხადა თანხმობა მის, როგორც ემისიის პროსპექტის ნაწილის ავტორის, მოხსენიებაზე – ემისიის პროსპექტის მის მიერ მომზადებულ ნაწილში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემისთვის ან გამოტოვებისთვის.

ეს პირები ემიტენტის ანალოგიურად პასუხისმგებელი იქნებიან ინვესტორის წინაშე, „თუ მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დასახელებული მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად“, სადაც მათ ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობაზეა საუბარი. აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა გაგებულ იქნეს ორგვარად. (1) თუ ჩავთვლით, რომ მისი მიზანია, დასახელებული პირების სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობად მათდამი ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების განსაზღვრა, ის წინააღმდეგობაში მოვა სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებთან. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტი პირის მიმართ არათუ სამოქალაქოსამართლებრივი დავის დაწყების წინაპირობა არ შეიძლება იყოს, არამედ მას პირის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას პრეიუდიციული მნიშვნელობაც არ ენიჭება.⁵³ (2) მარ-

თებული იქნება, თუ ჩავთვლით, რომ აღნიშნული ჩანაწერის მიზანია მითითება გაკეთდეს ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ პირის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე, რაზეც, თავის მხრივ, მიუთითებს მე-12 პუნქტი. მე-13 პუნქტის თანახმად, პირის ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამომრიცხულია (გარდა ემიტენტისა), თუ ემისიის პროსპექტში პირდაპირ არის მითითებული ამის შესახებ ან თუ მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ არ მიუღია მონაწილეობა საბოლოო პროსპექტის შედგენაში ან არ მიუძღვის ბრალი პროსპექტში არასრული ან არასწორი ინფორმაციის ასახვაში. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, პირის მიერ პროსპექტის ვალდებულების განზრახ დარღვევის შემთხვევაში, მისი ზიანის ანაზღაურებისგან განთავისუფლება პროსპექტში წინასწარ გაკეთებული დათქმის საფუძველზე დაუშვებელია. გერმანიის კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს, რომ წინასწარი შეთანხმება, რომელიც ამცირებს პირის პასუხისმგებლობას პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო ან ათავისუფლებს მისგან, არ არის ქმედითი და არ გამომრიცხავს მის მიმართ ინვესტორის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურებაზე (§ 16 I WpPG). პასუხისმგებელი პირების ბრალთან დაკავშირებული საკითხი დეტალურად განხილულია ქვემოთ შესაბამის ქვეთავში.

განვიხილოთ პასუხისმგებლობის თითოეული შესაძლო სუბიექტი.

დამატებით დასაბუთებას არ საჭიროებს ემიტენტის პასუხისმგებლობა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო, რომელიც პროსპექტის ინიციატორია და ცენტრალურ ადგილს იკავებს ამ ვალდებულების შესრულებისას. თუ პროსპექტის ფაქტობრივად შემქმნელი მესამე პირია, ემიტენტის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ის ეყრდნობა ემიტენტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.⁵⁴ ემიტენტი პროსპექტის ხელმოწე-

⁵³ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, სადაც საუბარია მხოლოდ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების პრეიუდიციულ მნიშვნელობაზე. აქვე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სამოქალაქო დავა, თუნდაც არსებობდეს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი პასუხისმგებელი პირის მიმართ სანქციის დაკისრების თაობაზე, არ წარმოადგენს გამარტივებულ წესით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავის შესაბამისად, ვინაიდან პროსპექტის ვალდებულების დარღვევა თავისთავად არ ნიშნავს, რომ ამის შედეგად ზიანი მიადგა ინვესტორს/ინვესტორებს. სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო, ინვესტორის მიმართვის შემთხვევაში, თავად განსაზღვრავს კონკრეტულ შემთხვევაში როგორც ზიანის მიყენების ფაქტს წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ასევე სარჩელში დასახელებული პირის პასუხისმგებლობას მისი ბრალეულობის შესაბამისად.

⁵⁴ Roberto/Wegmann, Prospekthaftung in der Schweiz, SZW/RSDA 4 /2001, 161, 174.

რით ასევე ყველასათვის შეცნობადად იღებს პასუხისმგებლობას მის შინაარსზე.

რაც შეეხება ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირისა⁵⁵ და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობას, რომლებმაც პროსპექტს ხელი მოაწერეს სოლიდარულად,⁵⁶ აღსანიშნავია, რომ მათ პასუხისმგებელ სუბიექტებად არსებობის შესაძლებლობას უშვებს ასევე ევროკავშირის დადგენილება (EU) 2017/1129 და არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა.⁵⁷ იმ შემთხვევაში, თუ ეს სუბიექტები ხელს არ მოაწერენ პროსპექტს საკუთარი სახელით და შესაბამისად, ყველასათვის შეცნობადად არ აიღებენ პასუხისმგებლობას, შესაძლოა მაინც დადგეს მათი პასუხისმგებლობა გერმანულ სამართალში არსებული გადაწყვეტის გათვალისწინებით. კერძოდ, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ასეთ შემთხვევაში დადგება მმართველი ორგანოს ნევრების პასუხისმგებლობა, თუ მათ პროსპექტის შედგენის პროცესი მნიშვნელოვანწილად წარმართეს და ემისიისადმი საკუთარი ეკონომიკური ინტერესი გააჩნიათ.⁵⁸ ეს უკანასკნელი შეიძლება დასაბუთდეს, მაგალითად, იმ გარემოე-

ბით, რომ ისინი საწარმოში საკუთარ აქციათა პაკეტს ფლობენ.⁵⁹

პასუხისმგებლობის შესაძლო სუბიექტად დასახელებულია ასევე ფასიანი ქაღალდების შემთავაზებელი.⁶⁰ ფასიანი ქაღალდების შემთავაზებელი ცენტრალურ როლს ასრულებს ემისიის განხორციელებისას, ის პასუხისმგებელია მთლიანი ემისიის პროცესის ორგანიზებაზე, შესაბამისად, ემისიისათვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაზე, რომელთა შორის, პირველ რიგში, ემისიის პროსპექტი მოიაზრება.⁶¹ გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, შემთავაზებელმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აიღოს პასუხისმგებლობა პროსპექტის შინაარსზე (WpPG § 8).

დაბოლოს, პასუხისმგებლობის შესაძლო სუბიექტად დასახელებულია ასევე ყოველი აუდიტორი თუ სხვა ექსპერტი, რომელმაც განაცხადა თანხმობა მისი, როგორც ემისიის პროსპექტის ნაწილის ავტორის, მოხსენიებაზე. ამ პირების პასუხისმგებლობას იცნობს ასევე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც,⁶² მაგრამ უარყოფილია გერმანიის სამართალში იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მხოლოდ არასწორი მასალის მიწოდებით, ფასიანი ქაღალდების ემისიისადმი საკუთარი ეკონომიკური ინტერესის გაჩვენება ამ პირების პასუხისმგებლობის შემადგენლობა არ დასაბუთდება.⁶³ განუვლი სამუშაოს სანაცვლოდ მხოლოდ ანაზღაურების მიღების ინტერესი ასეთად არ აღიქმება.⁶⁴ სხვა არგუმენ-

⁵⁵ ნორმაში უნდა მიეთითოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის/ ხელმძღვანელი ორგანოს ნევრების პასუხისმგებლობაზე.

⁵⁶ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერაში უნდა ვიგულისხმოდ მისი არა როგორც ემიტენტის წარმომადგენლის ხელმოწერა, არამედ მან პროსპექტს ხელი უნდა მოაწეროს საკუთარი სახელით და ამით სხვებისთვის შეცნობადად საკუთარი სახელით აიღოს პასუხისმგებლობა პროსპექტზე [Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 45].

⁵⁷ მაგალითისთვის, აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად (sec. 11 (a) (2) des US-amerikanischen Securities Act) პასუხისმგებელია ყველა, ვინც პროსპექტის შედგენის დროისათვის ემიტენტის დირექტორი იყო, ანალოგიურ გადაწყვეტას ითვალისწინებს დიდი ბრიტანეთის (sec. 152 (1) (b) des britischen Financial Services Act 1986), შვეიცარიის სამართალი [იხ., Roberto/Wegmann, Prospekthaftung in der Schweiz, SZW/RSDA 4 /2001, 161, 174.] და სხვა.

⁵⁸ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 45, Groß, Kapitalmarktrecht, 8. Aufl., München 2022, § 9 WpPG Rn. 47.

⁵⁹ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 45, Groß, Kapitalmarktrecht, 8. Aufl., München 2022, § 9 WpPG Rn. 47.

⁶⁰ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ემიტენტის ვალდებულებას, დადოს ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ საბროკერო კომპანიასთან ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსურ ინსტიტუტთან.

⁶¹ Roberto/Wegmann, Prospekthaftung in der Schweiz, SZW/RSDA 4 /2001, 161, 175.

⁶² ESMA, Report: Comparison of liability regimes in Member States in relation to the Prospectus Directive, ESMA/2013/619 vom 30.03.2013, 12 (28).

⁶³ RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 54, 78.

⁶⁴ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 24 WpPG Rn. 49.

ნტის თანახმად, პასუხისმგებლობა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო არის პასუხისმგებლობა მთლიანი პროსპექტისთვის და არა მისი ცალკეული ნაწილისთვის.⁶⁵ აღნიშნული მსჯელობა კრიტიკას იმსახურებს თავად გერმანიაშიც⁶⁶ და არ არის გასაზიარებელი, ერთი მხრივ, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ დასახელებული სუბიექტები პროსპექტში მათი, როგორც პროსპექტის ნაწილის ავტორის, მოხსენიებით ყველასათვის შეცნობადად იღებენ პასუხისმგებლობას მათ მიერ შედგენილი ნაწილის შინაარსზე, და თუნდაც, მათ არ აიღონ პასუხისმგებლობა ამ ფორმით, ისინი მაინც უნდა განვიხილოთ პასუხისმგებელ სუბიექტებად, ვინაიდან მათ ფაქტობრივად მიიღეს მონაწილეობა პროსპექტის შედგენაში და განსაზღვრეს მისი შინაარსი. მეორე მხრივ, ევროკავშირის კანონმდებლობა იცნობს დიფერენცირებულ, პროსპექტის მხოლოდ ცალკეულ ნაწილზე პასუხისმგებლობის აღების შესაძლებლობას.⁶⁷

ევროკავშირის დადგენილება (EU) 2017/1129 ითვალისწინებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე გარანტიის მიმცემის პასუხისმგებლობას, რომელიც იძლევა გარანტიას პროსპექტში ასახული მონაცემების სისწორის თაობაზე (მუხლი 11). მნიშვნელოვანია, საქართველოს კანონმდებლობამაც გაითვალისწინოს ამ სუბიექტის პასუხისმგებლობა.

⁶⁵ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 24 WpPG Rn. 49; Groß, Kapitalmarktrecht, 8. Aufl., München 2022, § 9 WpPG Rn. 48.

⁶⁶ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 24 WpPG Rn. 54.

⁶⁷ იხ. შემდეგი დადგენილების დანართები, სადაც გარკვევით არის დიფერენცირებული პასუხისმგებლობის აღება მთლიანი პროსპექტისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისთვის - Delegierte Verordnung (EU) 2019/980 der Kommission vom 14. März 2019 zur Ergänzung der Verordnung (EU) 2017/1129 des Europäischen Parlaments und des Rates hinsichtlich der Aufmachung, des Inhalts, der Prüfung und der Billigung des Prospekts, der beim öffentlichen Angebot von Wertpapieren oder bei deren Zulassung zum Handel an einem geregelten Markt zu veröffentlichen ist, und zur Aufhebung der Verordnung (EG) Nr. 809/2004 der Kommission [Groß, Kapitalmarktrecht, 8. Aufl., München 2022, § 9 WpPG Rn. 48].

გერმანიის სამართალი პროსპექტზე პასუხისმგებელ პირებს შორის მოიაზრებს ასევე „პროსპექტის ფაქტობრივ ავტორებს“, რომელთა შორის იგულისხმებიან ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ კაპიტალის ბაზრის პროდუქტების ემისიისადმი ეკონომიკური ინტერესი⁶⁸ და მის შინაარსზე არსებით გავლენას ახდენენ.⁶⁹ მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მსხვილი აქციონერი, რომელსაც სურს მის საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის გასხვისება და პროსპექტის შინაარსის განსაზღვრაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.⁷⁰ ქართული კანონმდებლობაც უნდა იძლეოდეს მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, რათა ნაკლის მქონე პროსპექტის ფაქტობრივმა ავტორებმა, რომელთა ინტერესებში შედიოდა პროსპექტის ვალდებულების დარღვევა, პასუხისმგებელ სუბიექტთა წრის გაფართოება დადებითად აისახება ასევე ინვესტორის ინტერესების დაკმაყოფილების შანსებზე.

პროსპექტის გამოქვეყნების გარეშე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების შემთხვევაში პასუხისმგებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს ემიტენტი და შემთავაზებელი, როგორც ამას გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს (§ 14 I WpPG).

მნიშვნელოვანია, კანონში გაკეთდეს მითითება იმის თაობაზე, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე რამდენიმე პასუხისმგებელი პირის არსებობის შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად, როგორც ამას ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობის, მათ შორის, გერმანიის კანონმდებლობა.⁷¹

⁶⁸ RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 78.

⁶⁹ BGH, Urt. v. 18.9.2012 _ XI ZR 344/11, BKR 2012, 515, 519.

⁷⁰ RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 78.

⁷¹ ESMA, Report: Comparison of liability regimes in Member States in relation to the Prospectus Directive, ESMA/2013/619 vom 30.03.2013, 12 (30); Schwark,

2. მიზეზობრივი კავშირი

ნაკლის მქონე პროსპექტის ან პროსპექტის გამოუქვეყნელობის (რომელშიც მოიაზრება ასევე ისეთი პროსპექტის გამოქვეყნება, რომელიც საზედამხედველო ორგანოს მიერ არ არის დამტკიცებული ან გასულია მისი მოქმედების ვადა) გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელმაც ასეთი პროსპექტის საფუძველზე მიიღო საინვესტიციო გადაწყვეტილება და შეიძინა საინვესტიციო პროდუქტი, რომელიც ექვემდებარება პროსპექტის ვალდებულებას.⁷² აღნიშნული, ე.წ. პასუხისმგებლობის განმაპირობებელი კაუზალობა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დადგენის ეტაპზე უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. მას პირდაპირი კავშირი აქვს ასევე ამ პასუხისმგებლობის სამართლებრივ ბუნებასთან, რაც პროსპექტის საფუძველზე შექმნილი ე.წ. „ტიპიზირებული“ ნდობის განხილვის გამო დამდგარ პასუხისმგებლობას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობის განსახილველი ნორმა მიზეზობრივი კავშირის ამ ელემენტზე პირდაპირ მითითებას არ შეიცავს, რაც მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა განვიხილოთ.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, პროსპექტი საზოგადოებაში ქმნის ე.წ. „საინვესტიციო განწყობას“, რადგან ინვესტორები მასში ასახულ ინფორმაციას პროფესიულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ან ფასიანი ქაღალდების შეძენისას გამართული საინვესტიციო კონსულტაციების ფარგლებში სულ მცირე არაპირდაპირ მაინც ეცნობიან.⁷³ ამ მსჯელობის საფუძველზე მოქმედებს ვარაუდი, რომ პროსპექტი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან მიზეზობრივ კავშირშია, თუ საინვესტიციო პროდუქტის შეძენა განხორციე-

ლდება პროსპექტის მოქმედების ვადაში.⁷⁴ ეს ვარაუდი არ შეიძლება უარყოფილ იქნეს იმ ფაქტის დადასტურების შემთხვევაშიც, რომ ინვესტორი სინამდვილეში პროსპექტის შინაარსს საერთოდ არ იცნობდა,⁷⁵ ვინაიდან პროსპექტის მიერ შექმნილი პოზიტიური „საინვესტიციო განწყობა“ ასეთ შემთხვევაშიც ახდენს ზეგავლენას ინვესტორის გადაწყვეტილების ფორმირებაზე.⁷⁶ ვარაუდის უარყოფისთვის საკმარისი საფუძველი შეიძლება იყოს საზოგადოებაში არსებული პოზიტიური „საინვესტიციო განწყობის“ გაქარწყლება,⁷⁷ რაც, პირველ რიგში, შეიძლება მოხდეს ემიტენტისა და საინვესტიციო პროდუქტის შესახებ უარყოფითი ცნობების გავრცელებით, ემიტენტის ნეგატიური წლიური ანგარიშგების გავრცელებით ან ნეგატიური მოვლენებით, როგორიცაა მაგალითად, საფონდო ინდექსის არსებითად შემცირება.⁷⁸

ინვესტორისადმი მიყენებული ზიანის გამოკვლევის ეტაპზე უნდა დადგინდეს ასევე, რომ პროსპექტის ვალდებულების დარღვევამ წვლილი შეიტანა ზიანის დადგომაში. აღნიშნულზე პირდაპირ მიუთითებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის მე-2 წინადადება, რომლის თანახმად, ემიტენტი პასუხისმგებელია იმ ზარალისთვის, რომელიც წარმოიქმნა ფასიანი ქაღალდების შეძენის შედეგად და გამოწვეულია დამტკიცებულ პროსპექტში ან საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემით ან განუცხადებლობით. ამ შემთხვევაში უნდა დადასტურდეს, რომ ნაკლის მქონე პროსპექტის გამოქვეყნება ან პროსპექტის არგამოქვეყნება დამდგარი ზიანის სულ მცირე

Schwark/Zimmer (Hrsg.), Kapitalmarktrechts-Kommentar, 4. Aufl., München 2010, §§ 44, 45 BörsG Rn. 74.

⁷² Schwark, Schwark/Zimmer (Hrsg.), Kapitalmarktrechts-Kommentar, 4. Aufl., München 2010, §§ 44, 45 BörsG Rn. 46.

⁷³ RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 76.

⁷⁴ RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 76.

⁷⁵ Kumpan, Baumbach/Hopt (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Band 9, Aufl. 38, München 2018, § 23 Rn. 2.

⁷⁶ Schwark, Schwark/Zimmer (Hrsg.), Kapitalmarktrechts-Kommentar, 4. Aufl., München 2010, §§ 44, 45 BörsG Rn. 46.

⁷⁷ Kumpan, Baumbach/Hopt (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Band 9, Aufl. 38, München 2018, § 23 Rn. 2.

⁷⁸ Schwark, Schwark/Zimmer (Hrsg.), Kapitalmarktrechts-Kommentar, 4. Aufl., München 2010, §§ 44, 45 BörsG Rn. 47.

თანაგანმაპირობებელი ფაქტორია.⁷⁹ ინვესტორს არ ექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ პროსპექტში ასახულ კონკრეტულ შეცდომას ფასიანი ქაღალდების კურსის განვითარებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია, შესაბამისად, არ არსებობს კაუზალური კავშირი პროსპექტში ასახულ არასწორ ან არასრულ ინფორმაციასა და საინვესტიციო პროდუქტის საბაზრო ფასის შემცირებას შორის.⁸⁰

გერმანული სამართლის თანახმად, მტკიცების ტვირთი იმის თაობაზე, იყო თუ არა ნაკლის მქონე პროსპექტი ან პროსპექტის არარსებობა ფასიანი ქაღალდების შეძენასთან და დამდგარ ზიანთან მიზეზობრივ კავშირში, ეკისრება პროსპექტზე პასუხისმგებელ პირს იმ არგუმენტაციით, რომ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები სწორედ მისი ძალაუფლების სფეროშია და ინვესტორისთვის სათანადო მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.⁸¹ აღნიშნული მიდგომა გაზიარებულ უნდა იქნეს ასევე ქართულ სამართალში.

3. ბრალი

პასუხისმგებლობა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო წარმოადგენს ბრალეულ პასუხისმგებლობას.⁸² ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის თანახმად, სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი უნდა მოქმედებდეს განზრახ ან

გაუფრთხილებლობით.⁸³ გერმანიის კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს პირის ბრალეულობის ელემენტებზე, კერძოდ, მოპასუხე მხარეზე ზიანის ანაზღაურების დაკისრება გამოირიცხულია, თუ ის დაამტკიცებს, რომ მან პროსპექტში არსებითი მნიშვნელობის მქონე მონაცემების განუცხადებლობის ან უსწორობის შესახებ არ იცოდა და ეს უცოდინრობა არ არის გამონეუელი უხეში გაუფრთხილებლობით (WpPG § 12 I). ამდენად, მოპასუხეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია პროსპექტთან დაკავშირებული ვალდებულებები. ბრალის კომპონენტის მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით შემოფარგვლა საკამათოა სამეცნიერო ლიტერატურაში.⁸⁴ მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, პასუხისმგებლობის გამკაცრება ბრალის კომპონენტში მსუბუქი გაუფრთხილებლობის დამატებით ინვესტორებისათვის კაპიტალის ბაზრის მიმზიდველობას გაზრდის.⁸⁵ აქვე აღსანიშნავია, რომ პროსპექტის გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში პირზე პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ბრალის კომპონენტის შემონმება არ არის რელევანტური.⁸⁶

პასუხისმგებელი პირის ბრალთან დაკავშირებულ ჩანაწერებს ვხვდებით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტში, რომლითაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. ამ ნორმის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, არცერთ პირს, გარდა ემიტენტისა, არ დაეკისრება პასუხისმგებლობა პროსპექტის ვალდებულების დარღვევისათვის, (1) თუ საბოლოო პროსპექტის შესაბამისი ნაწილი ძალაში შევიდა მასთან შეუთანხმებლად, რომლის თაობაზეც მან კანონით გათ-

⁷⁹ Assmann, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 21-23 WpPG Rn. 103; Mühlert/Steup, Habersack/Mühlert/Schlitt, Unternehmensfinanzierung am Kapitalmarkt, 3. Aufl., Köln 2013, § 41 Rn. 102.

⁸⁰ WpPG § 12 II 2; Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 87.

⁸¹ RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 80.

⁸² Assmann, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 21-23 WpPG Rn. 107.

⁸³ ESMA, Report: Comparison of liability regimes in Member States in relation to the Prospectus Directive, ESMA/2013/619 vom 30.03.2013, 13 (35).

⁸⁴ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 89.

⁸⁵ Grundmann/Selberr, Börsenprospekthaftung in der Reform, WM 1996, 985, 993.

⁸⁶ Becker, in NomosKommentar BGB Schuldrecht, Band 2, 1, 3. Aufl., Berlin 2016, § 311 BGB Rn. 212.

ვალისწინებული წესით უნდა აცნობოს საზედამხედველო ორგანოს და გააკეთოს საჯარო განცხადება, (2) ან თუ საბოლოო პროსპექტის ამა თუ იმ ნაწილთან დაკავშირებით, სათანადო გამოკვლევის შემდეგ მას ჰქონდა საფუძველი მიეჩნია და მიიჩნია კიდევ, რომ საბოლოო პროსპექტის ძალაში შესვლისას მითითებული მონაცემები სწორი იყო, (3) ან საბოლოო პროსპექტის ეს ნაწილი სწორად არ ასახავს შესაბამისი პირის განცხადებას ანდა არ არის მის მიერ მომზადებული ანგარიშის ზუსტი ასლი თუ ნაწილი. ამდენად, მოცემული ნორმის თანახმად, პირის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, რადგან მან არ იცოდა და არ შეიძლება სცოდნოდა, რომ პროსპექტი ნაკლის მქონე იყო. აღნიშნულს მოწმობს ნორმის შემდეგი ჩანაწერები: ემისიის პროსპექტის შესაბამისი ნაწილი ძალაში შევიდა მასთან „შეუთანხმებლად“ და „სათანადო გამოკვლევის შემდეგ მას ჰქონდა საფუძველი მიეჩნია, რომ მონაცემები სწორი იყო.“ ამდენად, ის მოქმედებდა საკმარისი გულისხმიერებით. პირის ბრალი ცალსახად გამორიცხულია მესამე შემთხვევაში, როცა პროსპექტში მის მიერ მომზადებული ინფორმაცია არასწორად აისახება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ქართული სამართალი იცნობს პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო ბრალეულ პასუხისმგებლობას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს განზრახი ქმედებით ან გაუფრთხილებლობის ორივე ფორმით, უხეში ან მსუბუქი გაუფრთხილებლობით. თითოეული სუბიექტის ბრალეულობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ფუნქციური დაწინაურება პროსპექტის შედგენის პროცესში. ის, რაც ემიტენტისთვის უხეშ გაუფრთხილებლობად განიხილება, ემისიის განხორციელების თანმხლები ინსტიტუტისთვის ან სხვა მოპასუხისთვის შესაძლოა მხოლოდ მსუბუქი გაუფრთხილებლობა იყოს.⁸⁷

განხილული ნორმა გამორიცხავს ბრალის კომპონენტს ემიტენტთან მიმართებით და მას ნებისმიერ შემთხვევაში განიხილავს პასუხისმგებელ სუბიექტად. ემიტენტი წარმოადგენს

ცენტრალურ ფიგურას, რომელიც არის პროსპექტში ასახული ინფორმაციის პირველადი და ძირითადი წყარო, ამდენად, მას განსაკუთრებით მაღალი გულისხმიერების გამოჩენა ევალება.⁸⁸ ის ადგენს წლიურ ანგარიშგებას, ახორციელებს პროსპექტში აღწერილ საქმიანობას და იცნობს მასთან დაკავშირებულ რისკებს, საჭიროების შემთხვევაში მასვე ევალება სხვადასხვა კვლევის განხორციელება შესაძლო რისკების გამოსავლენად.⁸⁹ მისი როლიდან გამომდინარე რთულია ისეთი შემთხვევების დასახელება, როცა ემიტენტი შეძლებს დაამტკიცოს მისი არაბრალეულობა.⁹⁰ ამდენად, მის მიმართ ბრალეული პასუხისმგებლობის განსაზღვრას მხოლოდ თეორიული დატვირთვა ექნებოდა.

უნდა შემოწმდეს ასევე ინვესტორის თანაბრალეულობა. თუ ინვესტორმა საინვესტიციო პროდუქტის შეძენისას იცოდა, რომ პროსპექტში არსებითი მნიშვნელობის მქონე მონაცემები არ არის ასახული ან პროსპექტში ასახული მონაცემები არასწორია, მაშინ შესაბამის პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა გამოირიცხოს.⁹¹ აღნიშნულში მოიაზრება მხოლოდ პოზიტიური ცოდნა, ინვესტორის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობის გამოჩენაც კი პასუხისმგებლობის გამორიცხვას არ გამოიწვევს.⁹² თანაბრალეულობის პრინციპი გამოიყენება ასევე ზიანის ოდენობის განსაზღვრის ეტაპზე,⁹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად.

⁸⁸ Habersack, Habersack/Mülbert/Schlitt (Hrsg.), Handbuch der Kapitalmarktinformation, München 2008, § 29 Rn. 39, Groß, Kapitalmarktrecht, 8. Aufl., München 2022, § 9 WpPG Rn. 98.

⁸⁹ Groß, Kapitalmarktrecht, 8. Aufl., München 2022, § 9 WpPG Rn. 98.

⁹⁰ Seiler/Singhof, Berrar / Meyer / Müller / Schnorbus / Singhof / Wolf (Hrsg.), Frankfurter Kommentar zum WpPG und EU-ProspektVO, 2. Aufl., Frankfurt am Main 2017, § 23 Rn. 11.

⁹¹ Assmann, Assmann/Schütze (Hrsg.), Handbuch des Kapitalanlagerechts, 4. Aufl., München 2015, § 5 Rn. 185.

⁹² RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 80.

⁹³ Assmann, Assmann/Schlitt/von Kopp-Colomb (Hrsg.), WpPG, VermAnlG Kommentar, 3. Aufl., Köln 2017, § 21-23 WpPG Rn. 115; Hamann, Schäfer/Hamann (Hrsg.), Kapitalmarktgesetze, 2. Aufl. 2013, §44, 45 BörsG, Rn. 298.

⁸⁷ Kumpan, Baumbach/Hopt (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Band 9, Aufl. 38, München 2018, § 23 Rn. 1.

გერმანული სამართლის თანახმად, მოქმედებს პასუხისმგებელი სუბიექტის ბრალეულობის ვარაუდი და საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთიც მასზეა,⁹⁴ რაც დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ ინვესტორისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია მოპასუხე მხარის ბრალეულობის შეფასებისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვება.⁹⁵ ინვესტორის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული გაზიარებულ უნდა იქნეს ასევე ქართულ სამართალში.

4. ზიანი

პასუხისმგებლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ქონებრივი ზიანი,⁹⁶ რომელიც დგება მაშინ, როცა შეძენილი საინვესტიციო პროდუქტის რეალური ღირებულება ინვესტორის მიერ გადახდილ ფასს არ შეესაბამება.⁹⁷

5. სამართლებრივი შედეგი

პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის ზემოთ წარმოდგენილი წინაპირობების შესრულება ინვესტორს კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგს - ზიანის ანაზღაურებას ინვესტორის სასარგებლოდ. იმის მიხედვით, ინვესტორი კვლავ ფასიანი ქაღალდების მფლობელია თუ არა, დგება განსხვავებული სამართლებრივი შედეგი.

5.1. ფასიანი ქაღალდების მფლობელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, ნაკლის მქონე პროსპექტის გამოქვეყნების შემთხვევაში, ემიტენტისა და სხვა პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების მიხედვით. კერძოდ, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაზიანებულ ინვესტორს უფლება აქვს, უარი განაცხადოს შეძენილ ფასიან ქაღალდებზე, ხოლო ემიტენტი და მასთან ერთად სოლიდარულად პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ფასიანი ქაღალდების საფასური უკან დააბრუნონ გამოუქვითავად, ინვესტორთა მიერ უარის განცხადებიდან 10 დღის განმავლობაში. ამდენად, ინვესტორს გააჩნია სპეციალური კანონით მინიჭებული საინვესტიციო გარიგებიდან გასვლის უფლება,⁹⁸ რომელიც მიმართულია საინვესტიციო გარიგების უკუქცევისკენ, განხორციელებული შესრულებების უკან დაბრუნებისკენ.⁹⁹ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ანალიზიდან გამომდინარე, სადაც საუბარია მხოლოდ საინვესტიციო ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობაზე, „ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე“, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინვესტორს არ შეუძლია გარიგების უკუქცევის ნაცვლად მფლობელობაში დაიტოვოს საინვესტიციო პროდუქტი და მხოლოდ მის მიერ გადახდილ ფასსა და ფაქტობრივ ფასს შორის სხვაობის ანაზღაურება მოითხოვოს.¹⁰⁰

⁹⁴ Assmann, Assmann/Schütze (Hrsg.), Handbuch des Kapitalanlagerechts, 4. Aufl., München 2015, § 5 Rn. 178.

⁹⁵ Assmann, Assmann/Schütze (Hrsg.), Handbuch des Kapitalanlagerechts, 4. Aufl., München 2015, § 5 Rn. 178.

⁹⁶ Herresthal, in Grosskommentar zum Zivilrecht, München 2018, § 311 BGB Rn. 603; Uhlmann, Individualschutz im Kapitalmarkt- und Bankenaufsichtsrecht, Tübingen 2021, 366-368.

⁹⁷ Emmerich, in Münchener Kommentar zum BGB, Band 2, 7. Aufl., 2016, § 311 BGB Rn. 154.

⁹⁸ Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 24 WpPG Rn. 104.

⁹⁹ Assmann, Assmann/Schütze (Hrsg.), Handbuch des Kapitalanlagerechts, 4. Aufl. München 2015, § 5 Rn. 187; Geibel, Der Kapitalanlegerschaden, Tübingen 2002, 76; Grundlegend Ernst, in Münchener Kommentar zum BGB, Band 2, 7. Aufl., 2016, § 323 BGB Vorbemerkung Rn. 5.

¹⁰⁰ საინტერესოა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობისა და სააქციო სამართლით განსაზღვრული კაპიტალის შენარჩუნების პრინციპის (შეზღუდვები განხორციელებული შენატანების

საინვესტიციო გარიგების უკუქცევას ითვალისწინებს ასევე გერმანიის კანონმდებლობა, რომლის თანახმად, ფასიანი ქაღალდების საფასურის უკან დაბრუნებასთან ერთად ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე შეძენასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ხარჯები (§ 9 I WpPG), რაზეც დამატებით ქვემოთ გამახვილებულია ყურადღება.

საინვესტიციო გარიგების უკუქცევა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო დამდგარი პასუხისმგებლობის ფარგლებში წარმოადგენს ინვესტორის ნეგატიური სახელშეკრულებო ინტერესის დაკმაყოფილებას.¹⁰¹ ნეგატიური ინტერესის ანაზღაურებით ინვესტორი ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს ჩაყენებული, როგორშიც ის იქნებოდა, პასუხისმგებელ პირს პროსპექტის ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებინა.¹⁰² პროსპექტის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ინვესტორი სწორად შეაფასებდა ინვესტიციასთან დაკავშირებულ რისკებს და მისთვის საზიანო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, შესაბამისად, საინვესტიციო ხელშეკრულება საერთოდ არ გაფორმდებოდა. ნეგატიური ინტერესის ანაზღაურებით შემოფარგვლა საბუთდება პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის სამართლებრივი ბუნებით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს წინასახელშეკრულებო ნდობის განხილვის გამო დამდგარი პასუხისმგებლობის სპეციალურ შემადგენლობას, კერძოდ, ადგილი აქვს ე.წ. „ტიპიზირებული“ ნდობის განხილვას, რომლის საფუძველიც არის პროსპექტში ასახული ინფორმაცია.¹⁰³ წინასახელშეკრულებო ურთიე-

რობებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ფარგლებში კი ანაზღაურდება მხოლოდ ნეგატიური ინტერესი.¹⁰⁴ ამასთან, პასუხისმგებელ პირებზე პოზიტიური ინტერესის ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობა, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიწვევდა ისეთი ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, რომლის ოდენობაც მათთვის წინასწარ სავარაუდო არ იქნებოდა ან რიგ შემთხვევებში, ზედმეტად მძიმე ტვირთი იქნებოდა. აღნიშნული კაპიტალის ბაზარზე ემისიების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევდა.

განსხვავებით გერმანული კანონმდებლობისაგან, განსახილველი ნორმა არ შეიცავს მითითებას ინვესტორის მიერ ფასიანი ქაღალდების შეძენასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ნეგატიური ინტერესის ანაზღაურებისას, უპირველეს ყოვლისა, ანაზღაურებას ექვემდებარება ის დანახარჯები, რომლებიც პირმა ხელშეკრულების ნამდვილობისადმი ნდობის საფუძველზე გაიღო,¹⁰⁵ ამდენად, პასუხისმგებელმა პირმა ფასიანი ქაღალდების საფასურის სრულად დაბრუნებასთან ერთად, ინვესტორს უნდა აუნაზღაუროს მათ შეძენასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი ხარჯები, რომლებსაც მიეკუთვნება საბროკერო მომსახურების, ემისიის ბანკისა თუ სხვა ფინანსური მომსახურების გამწვანათვის გადასახდელი საკომისიოები ან ტრანზაქციის ხარჯები.¹⁰⁶ მიზანშეწონილია, კანონის ტექსტი შეიცავდეს პირდაპირ მითითებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქ-

უკან დაბრუნებასა და სააქციო საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვასთან დაკავშირებით) ურთიერთმიმართება. პასუხისმგებლობა პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო არის *lex specialis* სააქციოსამართლებრივ რეგულირებებთან მიმართებით და მას უპირატესობა უნდა მიენიჭოს [Groß, Kapitalmarktrecht, 8. Aufl., München 2022, § 9 WpPG Rn. 22; Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 21-23 WpPG Rn. 115].

¹⁰¹ Geibel, Der Kapitalanlegerschaden, Tübingen 2002, 81.

¹⁰² Herresthal, in Grosskommentar zum Zivilrecht, München 2018, § 311 BGB Rn. 602.

¹⁰³ Canaris, Bankvertragsrecht, 2. Aufl. 1981, Rn. 2277; Herresthal, in Grosskommentar zum Zivilrecht, München

2018, § 311 BGB Rn. 602. BGHZ 71, 284, 287 ff.; 72, 284, 287; 79, 337, 340 f.; 83, 222, 223 f.; 123, 106, 109 f.; BGHZ 79, 337, 342; 83, 222, 224.

¹⁰⁴ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ჭანჭურია (რედ.), თბილისი 2019, მუხ. 408 ველი 15; Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, Band 2, 7. Aufl., 2016, § 249 BGB Rn. 129.

¹⁰⁵ Ackermann, Der Schutz des negativen Interesses, Tübingen 2007, 280 ff.

¹⁰⁶ Schwark, Schwark/Zimmer (Hrsg.), Kapitalmarktrechts-Kommentar, 4. Aufl., München 2010, §§ 44, 45 BörsG Rn. 66; Assmann, Assmann/Schütze (Hrsg.), Handbuch des Kapitalanlagerechts, 4. Aufl., München 2015, § 5 Rn. 190.

ტის ბოლო წინადადება განსაზღვრავს ასევე სამართლებრივ შედეგებს პროსპექტის გამოქვეყნების გარეშე ან გამოქვეყნების წესების დარღვევით ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების შემთხვევისთვის. ფასიანი ქაღალდების შემძენს შეუძლია მოითხოვოს შეძენის გარიგების გაუქმება, „რაც დაექვემდებარება ისეთ პროცედურულ და დროით შეზღუდვებს, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით“. გაურკვეველია, რას ემსახურება ეს უკანასკნელი ჩანაწერი. ამ შემთხვევაშიც, სრულად უნდა იქნეს გაზიარებული ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა ნაკლის მქონე პროსპექტის სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით. კერძოდ, უნდა მოხდეს გარიგების უკუქცევა და შესაბამისად, ინვესტორის ნეგატიური ინტერესის ანაზღაურება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში პასუხისმგებელი პირები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ემიტენტი და შემთავაზებელი. ანალოგიურ სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს ასევე გერმანიის კანონმდებლობა (§ 14 WpPG).

5.2. ფასიანი ქაღალდების ძველი მფლობელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე

პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა არ შეიცავს მითითებას ფასიანი ქაღალდების ძველი მფლობელის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასა და მის სამართლებრივ შედეგებზე. აღნიშნული საკითხი დეტალურად არის მოწესრიგებული გერმანული კანონმდებლობით, რომლის თანახმად თუ შემძენი აღარ არის საინვესტიციო პროდუქტის მფლობელი, მას შეუძლია მოითხოვოს ფასიანი ქაღალდის შეძენისას მის მიერ გადახდილ ფასსა და იმ ფასს შორის სხვაობის ანაზღაურება, რამდენადაც მან შემდგომში გაასხვისა ისინი, ასევე შეძენასთან და გასხვისებასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი დანახარჯების ანაზღაურება (§§ 9 II, 14 II WpPG). ამდენად, თუ ინვესტორს ემისიის პროსპექტის საფუძველზე შეძენილი საინვესტიციო პროდუქტი უკვე გასხვი-

სებული აქვს, ნეგატიური სახელშეკრულებო ინტერესის ანაზღაურება შემოიფარგლება შეძენისა და გასხვისების ფასებს შორის არსებული ღირებულებითი სხვაობით, რადგან საინვესტიციო გარიგების უკუქცევა (საინვესტიციო პროდუქტის უკან დაბრუნება) ობიექტურად შეუძლებელია.¹⁰⁷ გასხვისებას უთანაბრდება ფასიანი ქაღალდით მინიჭებული უფლების განხორციელება სხვა ფასიანი ქაღალდის ან საგნის შეძენის გზით.¹⁰⁸ მნიშვნელოვანია აღნიშნული ასპექტების დეტალური საკანონმდებლო რეგულირების არსებობა ასევე ქართულ საკანონმდებლო სივრცეში. დაცვის ღირსია ყველა ინვესტორი, რომელმაც პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო ზიანი განიცადა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ფასიანი ქაღალდების ფაქტობრივი მფლობელი. შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება ინვესტორების დაცვის ხარისხი და მათი ნდობა კაპიტალის ბაზრისადმი.

ინვესტორის მიერ ფასიანი ქაღალდების გასხვისებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ე.წ. ზიანის შემცირების ვალდებულება.¹⁰⁹ ინვესტორი არღვევს ამ ვალდებულებას, თუ ის საინვესტიციო პროდუქტს იმ ფასად გაასხვისებს, რაც საფონდო ბირჟის მიხედვით მიღწევად ფასს ქვემოთაა.¹¹⁰ ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება თანაბრალეულობის წესები სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემცირებას გამოიწვევს.¹¹¹

¹⁰⁷ Geibel, Der Kapitalanlegerschaden, Tübingen 2002, 125.

¹⁰⁸ RegBegr. Zum dritten Finanzmarktförderungsgesetz, BT-Drs. 13/8933, 79.

¹⁰⁹ Oulds, Kümpel/Wittig (Hrsg.), Bank- und Kapitalmarktrecht, 4. Aufl., Köln 2011, Rn. 15.220; Wackerbarth, WpPG, Berliner Kommentare, Holzborn (Hrsg.), 2. Aufl., Berlin 2014, § 24 WpPG Rn. 110; Kumpan, Baumbach/Hopt (Hrsg.), Handelsgesetzbuch, Band 9, Aufl. 38, München 2018, § 23 Rn. 10.

¹¹⁰ Oulds, Kümpel/Wittig (Hrsg.), Bank- und Kapitalmarktrecht, 4. Aufl., Köln 2011, Rn. 15.220.

¹¹¹ Pankoke, Just/Voß/Ritz/Zeising (Hrsg.), WpPG und EU-Prospektverordnung, München 2009, § 44 BörsG, 13 VerkperspG Rn. 73.

V. დასკვნა

ემისიის პროსპექტის ვალდებულების დარღვევის გამო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სპეციალური ნორმის არსებობა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მისასაღებელია, ვინაიდან ასეთი სპეციალური ნორმები ხელს უწყობენ ინვესტორის ინტერესების ეფექტურ დაცვას. შედეგად იზრდება მისი ნდობა და მოტივაცია, მიმართოს თავისი ფინანსები კაპიტალის ბაზრისაკენ. მოსალოდნელია, რომ კაპიტალის ბაზრის სამართლის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კვალდაკვალ სპეციალური ნორმების რაოდენობაც გაიზრდება, ვინაიდან ევროდირექტივები ხშირ შემთხვევაში შეიცავენ პირდაპირ მოწოდებას წევრი სახელმწიფოებისადმი, ეფექტური მექანიზმებით უზრუნველყონ ინვესტორთა ინდივიდუალური ინტერესების დაცვა.

განხილული ნორმის არსებობის პოზიტიურ ფაქტთან ერთად მნიშვნელოვანია აღინიშნოს იმ არაერთი ხარვეზის შესახებ, რომლებსაც ის შეიცავს. მათ შორის, მნიშვნელოვანია, მკაფიოდ განისაზღვროს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს როგორც ფასიანი ქაღალდების არსებულ მფლობელს, ასევე მის ძველ მფლობელს, რომელმაც საჯარო შეთავაზების საფუძველზე შეიძინა ფასიანი ქაღალდები და შემოდგომ გაასხვისა ისინი, და დადგინდეს შესაბამისი სამართლებრივი შედეგები თითოეული მათგანისთვის; განისაზღვროს პროსპექტის ვალდებულება ფასიანი ქაღალდების ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვების მიზნებისათვის, რის პარალელურადაც გაფართოვდება ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირთა წრეც; ასევე უნდა გაფართოვდეს პასუხისმგებელ სუბიექტთა წრე და ასეთად დამატებით განისაზღვროს გარანტიის მიმცემი და ე.წ. „პროსპექტის ფაქტობრივი ავტორები“. კანონმდებლობით პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული პასუხისმგებელ პირთა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი.

კანონის ტექსტში გათვალისწინებულ უნდა იყოს ე.წ. პასუხისმგებლობის განმაპირობებელი კაუზალობა, რაც პროსპექტის ვალდებულების დარღვევასა და მიღებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას შორის მიზეზობრივ კა-

ვშირს გულისხმობს. ინვესტორის ინტერესების ეფექტურ დაცვას ემსახურება ასევე მტკიცების ტვირთის შებრუნება პასუხისმგებელი პირების მხარეზე პროსპექტის ვალდებულების დარღვევასა და ინვესტორის მიერ მიღებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას, ასევე დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირისა და პასუხისმგებელი პირების ბრალეულობის გამოკვლევის ეტაპზე. ამდენად, მიზანშეწონილია ამგვარი გადაწყვეტის დამკვიდრება ქართულ სამართალში.

ასევე უნდა დაინერგოს ერთიანი მიდგომა ნაკლის მქონე პროსპექტის გამოქვეყნებისა და პროსპექტის საერთოდ გამოუქვეყნებლობის შემთხვევებში სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის კუთხით, ხოლო სამართლებრივ შედეგებში გარიგების უკუქცევასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს ინვესტორისთვის ფასიანი ქაღალდების შეძენასთან დაკავშირებული აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

ნორმის თითოეული ასპექტის განხილვისას გამოიკვეთა ასევე სხვა არაერთი ხარვეზი, რომლებიც დეტალურად არის წარმოდგენილ ზემოთ და რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მოთხოვნები, რომლებიც სამოქალაქო სამართლის ნორმების თანახმად სახელშეკრულებო თუ წინასახელშეკრულებო ურთიერთობების ან დელიქტის საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას, სპეციალური ნორმით განსაზღვრული პასუხისმგებლობის შემადგენლობის მიღმა, რჩება ხელშეუხებელი და შეიძლება განხორციელდეს უფლებამოსილი პირის მიერ.

დაბოლოს, ასეთი სპეციალური ნორმების შემუშავებისას მნიშვნელოვანია კანონმდებლის მიერ დაბალანსებული მიდგომის შენარჩუნება და ბაზრის მონაწილეების ურთიერთსაპირისპირო ინტერესების გათვალისწინება. ემიტენტსა და სხვა პოტენციურ პასუხისმგებელ პირებზე განსაკუთრებით მძიმე პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა უარყოფითად აისახება ემისიების რაოდენობაზე, რაც ასევე ნეგატიური გავლენას იქონიებს კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირებაზე.

დიუსელდორფის უმაღლესი სამხარეო სასამართლო:

მსესხებელს არ შეუძლია მოსთხოვოს ბანკს, რომ ამ უკანასკნელმა წარუდგინოს მზღვეველს სარჩელი ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების განხორციელებასთან დაკავშირებით*

გსკ-ის 488-ე პარაგრაფი, გერმანიის დაზღვევის შესახებ კანონის 150-ე პარაგრაფი

OLG Düsseldorf, Urteil vom 30. 11. 2018 (I-7 U 10/18)

1. მსესხებელს კრედიტის გამცემი ბანკის მიერ დადებულ ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულებასთან მიერთებით არ წარმოეშობა ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნა, რომ მან სარჩელის აღძვრის გზით მოითხოვოს სადაზღვეო კომპანიას შესრულების განხორციელება, რომელთა ნებაყოფლობით განხორციელებაზეც მზღვეველი უარს აცხადებს. თუმცა ბანკი შეიძლება ვალდებული იყოს, საკუთარი მოთხოვნები მზღვეველის მიმართ დაუთმოს მსესხებელს.

2. მონარჩენი ვალის დაზღვევისას შემცირებადი სადაზღვეო ანაზღაურებით, მოგვიანებით შეთანხმებული გადავადებით ან განწილვადებით გადახდისგან დამოუკიდებლად, დაზღვეულია მხოლოდ ის თანხა, რომელიც სადაზღვეო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, სახელშეკრულებო გადახდის გრაფიკის დაცვის შემთხვევაში, იქნებოდა დარჩენილი და არა რეალურად დარჩენილი თანხა.

გადანყვეტილება

მოსარჩელემ და მისმა ქმარმა 20.5.2010-ში მოპასუხე ბანკისგან აიღეს სესხი მანქანის ნასყიდობის ფასის დასაფინანსებლად. სესხის ნეტო თანხა შეადგენდა 23 566,71 ევროს, ხოლო სესხის მთლიანი თანხა – 42 976,80 ევროს. შეთანხმებული იყო ეფექტური წლიური 11,66 % და ნომინალური თვიური – 0,493 %. მოსარჩელის ქმარმა განაცხადა თანხმობა მიერთებოდა ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულებას, რომელიც ჰქონდა დადებული მოპასუხე ბანკს სადაზღვეო კომპანიასთან. ამისთვის შეთანხმებული

ლი საზღაური იყო 5430,47 ევრო. „პროცენტის დაცვის დაზღვევის“ [Ratenschutzbetriebsversicherung] მე-2 პარაგრაფის მიხედვით, ამ ტარიფის ფარგლებში სადაზღვეო თანხად გათვალისწინებულია მყარი თანხა (თვიური სახელშეკრულებო პროცენტის ოდენობა) და ამგვარად, სადაზღვეო პერიოდის გასვლასთან ერთად (სესხის ხელშეკრულების თანახმად თავდაპირველად შეთანხმებული პერიოდი) სადაზღვეო თანხა ნულს უტოლდება. მზღვეველი იხდის შესაბამის დაზღვეულ თანხას სადაზღვეო პერიოდში დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში. მსესხებლებს უნდა გადაეხადა თვიური პროცენტის სახით 477,52 ევრო 1.7.2010-დან 90 თვის განმავლობაში.

* იხ. გადანყვეტილების გერმანული ვერსია ჟურნალში: VersR 2019, 801. გერმანულიდან თარგმნა გიორგი რუსიაშვილმა.

სესხის თანხის გადახდის პროცესში, პროცენტის შემცირებისა და გადავადების გამო, მოხდა თავდაპირველი გრაფიკიდან გადახვევა.

7.7.2016-ში მოსარჩელის ქმარი გარდაიცვალა. ამის შემდეგ სადაზღვეო კომპანიამ მოპასუხეს გადაუხადა 8 122,06 ევრო. ამ გადახდის დაჯამების შემდეგ სესხის დარჩენილმა დაუფარავმა თანხამ 17.5.2017-სთვის შეადგინა 16 119,37 ევრო. სადაზღვეო შემთხვევის დადგომის შემდეგ, პროცენტების გადახდის თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით – გადავადებისა და პროცენტების შემცირების გარეშე –, მონარჩენი გადასახდელი თანხის სახით დარჩენილი იყო 8 117,84 ევრო.

მოსარჩელემ აღძრა სარჩელი და ითხოვდა აღიარებას, რომ ბანკს არ ჰქონდა მის მიმართ სესხიდან მოთხოვნის განხორციელების უფლება, რადგან მზღვეველი ვალდებული იყო, სრულად დაეფარა მისი მეუღლის გარდაცვალების მომენტი სათვის ბანკის წინაშე არსებული ვალი. ნებისმიერ შემთხვევაში ბანკი, როგორც დამზღვევი, ვალდებული იყო, მოსარჩელის ინტერესების განსახორციელებლად ეჩივლა მზღვეველისათვის.

სამხარეო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

მოსარჩელის აპელაცია ასევე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მოტივებიდან

1. სარჩელი, რომლის მთავარი მოთხოვნა აღიარებითი სარჩელის სახით არის ფორმული-რეზოლუციური, საპროცესო კოდექსის 256-ე პარაგრაფის მიხედვით, დასაშვებია. აქ საქმე ეხება ნეგატიურ აღიარებით სარჩელს. სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის დაუყოვნებლივი დადგენის სამართლებრივი ინტერესი, ჩვეულებრივ, მოცემულია, როდესაც მოპასუხე აცხადებს, რომ მას აქვს მოსარჩელის მიმართ მოთხოვნა (BGH WM 2017, 1258), რაც აქ სახეზეა სესხის დაუფარავი თანხის მოთხოვნის სახით.

2. თუმცა მოსარჩელის მოთხოვნა, მოხდეს იმის აღიარება, რომ ბანკს მის მიმართ მოთხოვნების განხორციელების უფლება არ აქვს, მო-

კლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, რადგან ის სწორედაც რომ ჯერ კიდევ ვალდებულია გადაუხადოს ბანკს სესხის დაუფარავი ნაწილი (გსკ-ის 488 I 2 პარაგრაფი).

ა. მოპასუხე ბანკის მოთხოვნა სესხის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით ჯერ არ არის შესრულებული (გსკ-ის 362 I პარაგრაფი). მზღვეველს ეს თანხა არ გადაუხდია, რის გამოც სესხის დაფარვის მოთხოვნა არ არის გაქარწყლებული შესრულების შედეგად.

ბ. მოპასუხე ბანკის მოთხოვნა სესხის დაფარვასთან დაკავშირებით არ არის განუხორციელებადი გსკ-ის 242-ე პარაგრაფიდან [კეთილსინდისიერების პრინციპი] გამოყვანილი პრინციპის – **dolo agit, qui petit, quod statim redditurus est¹** – მიხედვით. მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე მოპასუხე ბანკი არ არის ვალდებული, სესხის დარჩენილი ნაწილი სარჩელის აღძვრის გზით გადაახდევინოს სადაზღვეო კომპანიას.

მზღვეველმა 13.9.2016-ში გამოგზავნილი წერილით უარი თქვა სადაზღვეო ანაზღაურების სახით ბანკისათვის დამატებით რამის გადახდაზე. მოპასუხე ბანკს არ აქვს ვალდებულება, მზღვეველს ედავოს და საარჩელის წაყენების გზით მოსთხოვოს ეს თანხა. ბანკს ეს ვალდებულება არ ეკისრება მასსა და მოსარჩელე მსესხებელს შორის წარმოშობილი „სხვისი საქმეების მოგვარების“ ურთიერთობიდან (Geschäftsbesorgungsverhältnis, Senat vom 4. 12. 2015 – I-7U 140/14 – juris Rn. 21), რომელიც წარმოიშვა მოსარჩელის მიერ ჯგუფურ დაზღვევასთან მიერთებით. თუმცა მოპასუხე ბანკი ვალდებულია დაუთმოს მოსარჩელეს საკუთარი მოთხოვნები მზღვეველის მიმართ (Senat vom 4. 12. 2015 – I-7U 140/14 – juris Rn. 21). თუმცა ეს მოთხოვნა მოსარჩელეს არ ნაუყენებია.

გ. თუმცა ეს ისედაც უმნიშვნელოა, რადგან დამზღვევე მოპასუხის ეს მოთხოვნა, მზღვევე-ლისაგან დამატებითი სადაზღვეო ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ისედაც არ არსებობს.

შემცირებად სადაზღვეო ანაზღაურებასთან

¹ არაკეთილსინდისიერად იქცევა ის, ვინ ითხოვს იმას, რაც დაუყოვნებლივ უნდა დააბრუნოს.

დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებით დაზღვეული იყო მხოლოდ ის თანხა, რომელიც, გარდაცვალების მომენტისათვის თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით, ჯერ კიდევ არ იქნებოდა დაფარული. ის ფაქტი, რომ რეალურად დაუფარავი სესხი – მაგალითად, როგორც მოცემულ შემთხვევაში – შეიძლება იყოს უფრო მეტი, გადადებისა და განწილვადების შეთანხმებიდან გამომდინარე, არ ახდენს გავლენას დაზღვეულ თანხაზე, კერძოდ, მზღვეველის მიერ გადასახდელი ამით არ იმატებს.

თვითრად შემცირებადი სადაზღვეო თანხით დაზღვევის შემთხვევაში, დასაწყისში სადაზღვეო თანხა არის ყველა პროცენტის ჯამი. სადაზღვეო ურთიერთობის მიმდინარეობისას სადაზღვეო თანხა მცირდება თანდათანობით იმ ოდენობით, რომელიც შეესატყვისება მსესხებლის მიერ ამ პერიოდისათვის გადასახდელი პროცენტების რაოდენობას. ამგვარად, ჩვეულებრივ, დაზღვეულია არა რეალურად დაუფარავი კრედიტი, არამედ მისი ის ოდენობა, რომელიც გრაფიკის მიხედვით ჯერ კიდევ გასასტუმრებელი იქნებოდა. ეს ოდენობა კი, შეიძლება, მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე მსესხებლის ვალდებულება ბანკის წინაშე (*Winter, in Bruck/Möller, VVG 9. Aufl. 2013 Anh. § 152 Rn. 42*). თუ დაზღვეული გარდაიცვლება, მზღვეველი ფარავს თავის ვალდებულებას გრაფიკის მიხედვით გადასახდელი პროცენტების ერთიანად გადახდით (*Winter, in Bruck/Möller, VVG 9. Aufl. 2013 Anh. § 152 Rn. 44*).

ის ფაქტი, რომ მოცემულ შემთხვევაში, გადავადებისა და განწილვადების შეთანხმებასთან ერთად, შეიძლება ასევე შეთანხმებული ყოფილიყო დაზღვეული თანხის ოდენობის ცვლილება, არც მხარეთა მიერ ყოფილა პროცესზე გაცხადებული და არც საქმის გარემოებებიდან არ იკითხება. გარდა ამისა, არ არსებობს არც იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ეს შედეგი „ავტომატურად“ დგება. ხელშეკრულება ამის საფუძველს არ იძლევა. გარდა ხსენებულისა, ეს იქნებოდა მსესხებლის ისეთი პრივილეგირება, რომელიც ხელშეკრულებით არ ყოფილა გათვალისწინებული, რადგან ის მიიღებ-

და არა მხოლოდ გადავადებით ან განწილვადებით გათვალისწინებულ უპირატესობას, არამედ ასევე გაზრდილ სადაზღვეო დაცვასაც – სადაზღვეო ანაზღაურების გაზრდის გარეშე. ყოველივე ამის გარდა, მსესხებელსა და ბანკს შორის შეთანხმების ცვლილებას არ აქვს (პირდაპირი) გავლენა დამზღვევსა და მზღვეველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელსაც მსესხებელი მხოლოდ შეუერთდა.

დ. მოსარჩელეს არ აქვს არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელსაც ის გაუქვითავდა ბანკს (გსკ-ის 387-ე და მომდევნო პარაგრაფები).

მართალია, გაქვითვის აკრძალვა, რომელიც დაფიქსირებულია მოპასუხის მიერ გამოყენებულ სტანდარტულ პირობებში, ბათილია გსკ-ის 307 I 1, II Nr. 1 პარაგრაფის მიხედვით (BGH VersR 2018, 1392 = NJW 2018, 2042), თუმცა ეს აქ უმნიშვნელოა, რადგან, ზიანის არარსებობის გამო, არ არსებობს არც მოსარჩელის გაქვეთაუნარიანი საპირისპირო მოთხოვნა.

უმნიშვნელოა ის საკითხი, რეალურად მიიღო თუ არა მოპასუხემ მონარჩენი ვალის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის შესაბამისი პროვიზია. უმნიშვნელოა ასევე ის საკითხიც, ეკისრებოდა თუ არა აქ კრედიტის გამცემ მოპასუხე ბანკს ვალდებულება, დაუკითხავად მიეწოდებინა ინფორმაცია მოსარჩელისათვის მის მიერ პროვიზიის აღებასთან დაკავშირებით, რადგან ამ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას მხოლოდ შეზღუდული დაცვითი მიზანი აქვს – მოპასუხის მხრიდან სადაზღვეო შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა ინვესტს მხოლოდ მონარჩენი ვალის დაზღვევიდან წარმოშობილი დამატებითი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას (BGH VersR 2012, 494 = NJW-RR 2012, 416 m. w. N.). გამომდინარე იქიდან, რომ მონარჩენი ვალის დაზღვევის ხარჯები, აქ: 5430,47 ევროს ოდენობით, გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვეო ანაზღაურება – 8122,06 ევრო, რომელიც უნდა მიითვალოს მოსარჩელემ სარგებლის გამოქვითვის ფორმით, სახეზე არ არის მოსარჩელის ზიანი.

სასამართლო პრაქტიკა

► 1 – 5/2022

სასამართლოს განსჯადობაზე შეთანხმება დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ხელშეკრულებაა, რომელიც წესრიგდება მატერიალური სამართლის ნორმებით

სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობასა და კომპეტენციაზე შეთანხმება უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის განჩინება საქმეზე № ა-2761-შ-69-2016

სკ-ის 68-ე, მე-10 მუხლები.

I. ფაქტობრივი გარემოებები

ბელგიის ანტვერპენის სავაჭრო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიხედვით, მონინალმდეგე მხარეებს სოლიდარულად და ცალ-ცალკე დაეკისრათ ძირითადი ვალდებულებისა და პირგასამტეხლოს გადახდა. მოსარჩელემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობით მოითხოვა ამ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება. მოსარჩელე კომპანიის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ბელგიაშია, ხოლო მოპასუხე კომპანიისა - საქართველოში. სასამართლომ მიიღო აღნიშნული შუამდგომლობა განსახილველად. მოპასუხე მხარის ცენტრალურ არგუმენტს წარმოადგენდა ბელგიის სასამართლოს არაკომპეტენტურობა და მითითება საქართველოს სასამართლოზე იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე-

თა ფაქტობრივი და იურიდიული ადგილსამყოფელი იყო საქართველო და შეთანხმება ბელგიის სავაჭრო სასამართლოზე, როგორც კომპეტენტურ ორგანოზე, არ ყოფილა. საინტერესოა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-4 მუხლი, რომელიც ადგენდა ბელგიის სასამართლოს არაექსკლუზიურ იურისდიქციას ნებისმიერ სამართალწარმოებაზე, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან.

II. უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა ბელგიის ანტვერპენის სავაჭრო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ. სასამართლომ მიუთითა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მიხედვითაც, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. უზენაესმა სასამართლომ განმარტა საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი *revision au fond*-ის აკრძალვა, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივი გადამოწმების აკრძალვას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას დაუშვებელია საცნობი გადაწყვეტილების სამართლებრივი შინაარსის შემოწმება და დავის ხელმეორედ არსებითი განხილვა. ცნობის განხი-

ლვისას მონმდება მხოლოდ ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა-არარსებობის საკითხი. სკ-ის 68-ე მუხლიდან გამომდინარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისას შეამოწმოს მოცემული საქმის მიმართ გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს კომპეტენციის საკითხი. სასამართლო მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლზე, რომლითაც დადგენილია განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. აღნიშნული ნორმები ცხადყოფს, რომ თუ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება ეხება საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ განსჯადობას, მისი ცნობა საქართველოში არ მოხდება მაშინაც კი, თუკი უცხო ქვეყნის სასამართლოს განსჯადობაზე მხარეები შეთანხმებულნი არიან. ამრიგად, კანონის მე-10 მუხლი ადგენს საერთაშორისო კომპეტენციის გამომრიცხავ გარემოებებს, რომელთა შეცვლაც დაუშვებელია. უზენაესმა სასამართლომ მოცემულ დავაზე დაადგინა, რომ მხარეთა შორის არსებული დავის ფაქტობრივი გარემოებები არ ექცევა მე-10 მუხლით განსაზღვრულ სფეროში. რაც შეეხება ბელგიის სასამართლოს კომპეტენტურობაზე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო დაეყრდნო სკ-სა და სსკ-ს, რადგან ბელგიასა და საქართველოს შორის აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს სახელმწიფოთა შორის შეთანხმება და არც რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა ორივე სახელმწიფო. სსკ-ის 11 IV მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს ან რომლებშიც მონაწილეობს უცხო ელემენტი. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს სკ-ის მე-8 მუხლიც, რომლის თანახმად, სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე იურიდიულ პირს საქართველოში აქვს რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგი-

ლი საქართველოა, აღნიშნული მიდგომის საფუძველია *actor sequitur forum rei*-ის პრინციპი, კომპეტენცია დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან/ადგილმდებარეობასთან, მაგრამ აღნიშნული მუხლი დისპოზიციური ხასიათისაა და სკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად, მხარეებს შეეძლოთ შეთანხმება ბელგიის სასამართლოს კომპეტენციაზე, რადგან მოსარჩელე კომპანიის ადგილსამყოფელიც ბელგიაშია. მოცემულ შემთხვევაში შეთანხმება ინტეგრირებული იყო ხელშეკრულებაში, მაგრამ საჭირო გახდა მისი განმარტება, რომლის შედეგადაც სასამართლომ დაადგინა ბელგიის სასამართლოს არაექსკლუზიური იურისდიქცია, რაც მხარეებს შესაძლებლობას აძლევდა შეთანხმებულიყვნენ სხვა ქვეყნის სასამართლოს იურისდიქციაზეც ან შეთანხმების გარეშე მიემართათ იმ ქვეყნის სასამართლოსთვის, რომელსაც ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავის მიმართ იურისდიქცია გააჩნდა. შესაბამისად, ბელგიის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად ითვლება.

ნინო ბერულავა

► 2 – 5/2022

უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-46-2020

სკ-ის მე-8 მუხლი.

I. ფაქტობრივი გარემოებები

მხარეები დაქორწინებული იყვნენ იტალიაში და დამოწმებული მონმობის საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო რეესტრში დარეგისტრ-

რირდნენ მეუღლეებად. რამდენიმე თვიანი თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლეები ფაქტობრივად დაშორდნენ ერთმანეთს და წლების განმავლობაში დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ, არ გააჩნდათ თანასაკუთრება და არ ჰყავდათ შვილები. მოსარჩელე ითხოვდა, რომ ქორწინების შეწყვეტა მოხდეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მეშვეობით, რისი წინააღმდეგიც იყო მოპასუხე. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ განქორწინების მოთხოვნით თავად მიმართა ქ. პიზის სასამართლოს. მიაჩნია, რომ განქორწინება თავდაპირველად უნდა განხორციელდეს იტალიაში, ქ. პიზაში, რის გამოც საკითხის განხილვა საქართველოს სასამართლოს მიერ უნდა შეჩერებულიყო. საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის სარჩელი და მხარეთა შორის შეწყდა ქორწინება. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

II. უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

მეუღლეთა განქორწინების სამართლებრივ წინაპირობებს განსაზღვრავს სკ-ის 1122-ე მუხლი, რომლის გ) პუნქტის თანახმად, ქორწინება წყდება განქორწინებით. ამავე კოდექსის 1123-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მეუღლეთა შორის დავის არსებობისას განქორწინების საქმეს წყვეტს სასამართლო. იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო საჩივრით სადავოა საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია. სასამართლომ მოიხმო საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი. კასატორი მე-19 მუხლზე მითითებით აღნიშნავდა, რომ მეუღლეთა შორის განქორწინების საკითხი უნდა გადაეწყვიტა იტალიის სასამართლოს, ვინაიდან ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა აღნიშნულ ქვეყანაში, სხვაგვარად სამართლებრივი შედეგი ვერ დადგებოდა და მხარეები განქორწინებულად არ ჩაითვლებიან. სკ-ით რეგულირებულია სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, მე-8 მუხლის მიხედვით, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს სა-

ქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. 12 I მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ რიგ შემთხვევებში, თუ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა მოსარჩელის მოქალაქეობა და საცხოვრებელი ადგილი, რომელიც იყო საქართველოში. განქორწინების მოთხოვნით მოსარჩელემ საქართველოს სასამართლოს მიმართა მოწინააღმდეგე მხარის მიერ იტალიაში ქალაქ პიზის სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე. სასამართლომ, ასევე, სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე განმარტა ქორწინების ცნობის გარემოება: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ განხორციელებული ჩანაწერი წარმოადგენს არა ქორწინების წარმოშობის დამოუკიდებელ საფუძველს, არამედ იტალიაში, ქ. პიზის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქორწინების საფუძველზე განხორციელებულ ჩანაწერს. აქედან გამომდინარე, საქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებით, მხარეებს შორის შეწყდა იტალიაში, ქ. პიზის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ქორწინება.

ნინო ბერულავა

► 3 – 5/2022

ფაქტობრივი ზიანის დადგენა მომიჯნავე უფლებების დარღვევის გამო

მომიჯნავე უფლებების დარღვევის გამო კომპენსაციის იმ ელემენტის დასადგენად, რომელიც ეხება ფაქტობრივ ზიანს, ათვლის წერტილი უნდა იყოს ქართული ბაზარი ან საქართველოს ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობითა და ეკონომიკით მსგავსი ქვეყანა

უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-613-2020

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოპასუხის მიერ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში არაერთგზის განთავსდა მისი სარეკლამო რგოლი, რომელშიც გამოყენებულ იქნა Pharell Williams-ის მუსიკალური ნაწარმოები „Get Lucky“, შესრულებული Daft Punk-ის მიერ. აღნიშნული შესრულების სარეკლამო რგოლში გამოყენებისთვის/ჩართვისთვის მას უნდა მოეპოვებინა შესაბამისი ლიცენზია მომიჯნავე უფლებების მფლობელისგან. მოსარჩელეს წარმოადგენს ამ უფლების მფლობელის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც, თავის მხრივ, უფლებამოსილი იყო, გაეცა ლიცენზია ნაწარმოების გამოყენებაზე. მოპასუხე შესაგებელში უთითებდა, რომ ნაწარმოებზე მომიჯნავე უფლების მფლობელია Sony Music და ეს უკანასკნელი სარგებლობს ყველა უფლებით, მათ შორის ლიცენზიის გაცემის ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით, ე.ი სადავოდ გახადა წარმომადგენლის, როგორც მოსარჩელის სათანადო და კომპენსაციის სახით გამოანგარიშებული თანხა. რაც მთავარია, მოპასუხემ სადავოდ გახადა სარეკლამო რგოლში, Pharell Williams-ის მუსიკალური ნაწარმოების „Get Lucky“-ის გამოყენების ფაქტი და მიუთითა, რომ სარეკლამო რგოლში გამოყენებულია ე.წ. ინსრუმენტალური ქავერ ვერსია. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, სააპელაციო საჩივარი კი არ დაკმაყოფილდა და ხსენებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

II. უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, მოსარჩელის პოზიცია გამართულია, სასამარ-

თლომ ყურადღება გაამახვილა უფლების მოპოვების ნამდვილობაზე, რაც ასევე მნიშვნელოვანია სათანადო მოსარჩელის დადგენისათვის, თითოეულ მოსარჩელესთან მიმართებაში. მოსარჩელემ განმარტა, რომ მან მომიჯნავე უფლება მოიპოვა სალიცენზიო შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც Sony Music-მა ფილიალს გადასცა მის კატალოგში შესული ფონოგრამებისა და აუდიოვიზუალური მასალების გამოყენების ექსკლუზიური ლიცენზია, საავტორო უფლებების დაცვის უზრუნველყოფით. ფილიალისთვის ლიცენზიის გაცემა მოიცავს შემოსავლის მიღების უფლებას, ფილიალს აქვს ფონოგრამის სინქრონიზაციის უფლება, ასევე ფილიალს აქვს სარჩელის აღძვრის უფლება დამრღვევი მხარის მიმართ, მაგრამ უფლების სავარაუდო დარღვევას ადგილი ჰქონდა ხსენებულ შეთანხმებამდე. საკასაციო სასამართლომ გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ ქვედა ინსტანციებმა ყურადღების მიღმა დატოვეს ეს ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის შესაგებელი სწორად ამ არგუმენტს ემყარებოდა. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ, ამ მხრივ, კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული შედავება. რაც შეეხება სხვა არგუმენტებს, სასამართლოს განმარტებით, მტკიცება იმისა, რომ სარეკლამო რგოლში ნამდვილად ის ფონოგრამა იქნა გამოყენებული, რომელზეც მომიჯნავე უფლების მფლობელია მოსარჩელე მხარე, ეკისრებოდა ამ უკანასკნელს, უშუალოდ აუდიო მასალის კვლევისათვის მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, აქედან გამომდინარე საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სასამართლოს მიერ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული პროცედურების სრულყოფილად განხორციელებიდან. რაც შეეხება თანხის დაკისრების ნაწილს, საკასაციო პალატამ განავითარა საინტერესო მსჯელობა, რომლის დროსაც დაეყრდნო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლს. მომიჯნავე უფლებები დაცულია კანონმდებლობით, თან, რამდენიმე გზით, მათ შორისაა აღიარებითი სარჩელი, სარჩელი პირველადი მდგომარეობის

აღდგენის, მოქმედების აღკვეთის შესახებ და ა.შ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, ე.ი სახეზეა ე.წ. სადამსჯელო თანხა (**Punitive damages**). დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის ამგვარი ზომის დაკისრების მიზანია შემაკავებელი ეფექტის მიღება. ამასთან, ასეთი ტიპის სარჩელებში მნიშვნელოვანია ბრალის ელემენტის არსებობა, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ მოპასუხე მოქმედებდა წინასწარი განზრახვით ან, სულ მცირე, უხეში გაუფრთხილებლობით. 59 VII მუხლის თანახმად, ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათ შორის დამრღვევის განზრახვა. ე.წ. **punitive damages**-გან განსხვავდება **compensatory damages**, რა დროსაც ხდება დაზარალებულის სრული ფაქტობრივი ანაზღაურება და მისი მიზანი არ არის დამრღვევის დასჯა. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად

იქნა გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი, ასევე არასწორად იქნა განმარტებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის დებულებები, შესაბამისად კასატორის პრეტენზია გასაზიარებელი იყო სასამართლოს მიერ. რაც შეეხება ფაქტობრივი ზიანის ელემენტს, უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული რეკლამის დამზადებისა და გავრცელების საფასური, სა-რეკლამო დრო და რეკლამის გავრცელების ტერიტორია. ფაქტობრივი ზიანის ელემენტის დასადგენად ათვლის წერტილი უნდა იყოს ქართული ბაზარი ან საქართველოს ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობითა და ეკონომიკით მსგავსი ქვეყანა, ხოლო იმის მიხედვით, თუ როგორია დარღვევის მასშტაბი, დამრღვევის ქმედების ხასიათი და ის სარგებელი, რომელიც მან მიიღო უფლების ხელყოფის შედეგად, უნდა გაიზარდოს სადამსჯელო სანქციის ელემენტის ოდენობა.

ნინო ბერუღავა